


ლევან დოლიძე
ЛЕВАН ДОЛИДЗЕ

საქართველოს ებრაელთა წვლილი
ფაშიზმზე გამარჯვებაში

Вклад евреев Грузии
в победу над фашизмом



ლევან დოლიძე
საქართველოს ებრაელთა
წვლილი ფაშისტურ
გამარჯვებაში

Леван Долидзе
ВКЛАД ЕВРЕЕВ ГРУЗИИ
В ПОБЕДУ НАД ФАШИЗМОМ



ეძღვნება ებრაე მსოფლიო ომის წლებში
დაცემულ ყველა ებრაელს

Посвящается всем евреям павшим
в годы второй мировой войны

2021



ლევან დოლიძე

საქართველოს ებრაელთა წვლილი
ფაშიზმზე გამარჯვებაში
1441 - 1945

სარჩევი: საქართველოს ებრაელთა წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში 1941-1945 ქართულ ენაზე გვ. 1
 ისრაელში გადასული სამამულო ომის მონაწილე ქართველი ებრაელები გვ 167
 მეორე მსოფლიო ომში დაკარგული ებრაელი მეომრები საქართველოდან გვ 222
 მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ებრაელი მეომრები საქართველოდან გვ 256

რედაქტორი: მერაბ ჩანჩალაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ვალერიან თავდიშვილი

თარგმანი: ლევან დოლიძე, ნუნუ ზუკაკიშვილი,
ნინა ხარაზოვა, ნონა ჯანიმანოვი

კორექტურა: ლევან დოლიძე, ეკა ელიავა

წიგნში გამოყენებულია ფოტოსურათები:
ლევან დოლიძის, მერაბ ჩანჩალაშვილის,
მიხეილ ვიალოვის, ლევან აჯიაშვილის,
არკადი ელიგულაშვილის ფოტო არქივებიდან,
ასევე გამოცემაში გამოყენებულია ინტერნეტიდან
ხელმისაწვდომი ფოტოსურათები

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ლიანა ბეგოიანი, ეკა ელიავა, ნინა არგუტინსკაია,
მზია მახარაძე

ელაზე: გამარჯვების მემორიალი ქუთაისში

ავტორი სსრკ-ს სახალხო მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი

საქართველოს ებრაელთა კავშირი
2021



ვერც ერთი ერის ისტორია ვერ შეედრება უძველესი ებრაელი ერის ცხოვრებას, მის გრძელ გზას თავისუფლებისკენ, რომელიც დანამულია სისხლით და ცრემლით, უთვალავი უბედურებით და ტანჯვით. იყო გაჭირვება, განცდა თითქოს ყველაფერი დასრულდა, დაინგრა. მაგრამ ებრაელი ხალხი ყოველთვის ფენიქსივით აღორძინდებოდა ხოლმე. თუმცა ძნელი გასააზრებელია ის, რაც ტანჯულმა ებრაელმა ერმა ფაშიზმთან ბრძოლის წლებში გადაიტანა.

კაცობრიობის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომზე უფრო დამანგრეველი და სისხლიანი ომი არ მომხდარა. რუსეთის სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არმიის გენერალ მ. ა. გარეევის ბოლო დაზუსტებული მონაცემებით სსრკ-მ ამ ომში დაახლოებით 27 მილიონი ადამიანი დაკარგა, მათ შორის 18 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე. დღეს ყველამ იცის, რომ სსრკ-ს ყველა ერთან ერთად ომში 61 სახელმწიფოს მოსახლეობის თითქმის 80% იქნა ჩათრეული. ამ მრისხანე წლებში ებრაელმა ხალხმა, ისე როგორც არასოდეს მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, შეიგრძნო თავისი არსებობის რეალური საფრთხე და მძლავრ მუშტად შეიკრა სსრკ-ს თაოსნობით, რათა ნებისმიერ ფასად მოეპოვებინა პროგრესული კაცობრიობის გამარჯვება მტერზე.

ებრაელებმა ამ გამარჯვებაში საშინელი ფასი გადაიხადეს. ომის შედეგად 6 მილიონზე მეტი ებრაელი დაიღუპა, უმეტესი ნაწილი საკონცენტრაციო ბანაკებში იქნა მოკლული, განადგურებული ნაცისტების და მათი მომხრეების მიერ.



ცოტა ხნის წინ გამოცემული „რუსეთის ებრაული ენციკლოპედიის“ მონაცემებით კატასტროფის დროს დაახლოებით 2 მილიონი საბჭოთა ებრაელი დაიღუპა. ომის წლებში წითელი არმიის რიგებში დაახლოებით 500 000 ებრაელი იბრძოდა და მათგან თითქმის ნახევარი დაიღუპა! 200 000-ზე მეტი ებრაელი მეომარი სსრკ-ს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

ჩემს მოკრძალებულ ნაშრომში საქართველოს ებრაელების მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის მხოლოდ მცირე რაოდენობის ფაქტებს, მოვლენებსა და ცალკეულ ისტორიებს შევხები, რომელიც ასე თუ ისე ნაკლებათ ცნობილია მკითხველთა ფართო წრისთვის.

თუ სსრკ-ს გამარჯვებაში საერთო წვლილს შევიტანთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოს სტატისტიკა საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. მოსახლეობის ომამდელი საყოველთაო აღწერის შედეგად 1939 წელს საქართველოს მოსახლეობა 3 540 760 ადამიანს შეადგენდა. თუ გაწვეულთა რაოდენობას პროპორციულად შევადარებთ მოსახლეობას, საქართველომ ომში მებრძოლთა ყველაზე მაღალი პროცენტი გააგზავნა – 700 000, ანუ თავისი მოსახლეობის თითქმის 20%, ეს კი ყოველი მეხუთე ჩვენი თანამოქალაქეა. ომიდან 300 000 ადამიანზე მეტი არ დაბრუნდა, ანუ საქართველოს ყოველი მე-12-ე მოქალაქე!

საქართველოდან ფრონტზე 26 000 ქალიც გაემგზავრა. ომის 277 684 მონაწილე სსრკ-ს ორდენებით და მედლებით იქნა დაჯილდოებული. დღემდე არავინ იცის რამდენი იყო მათ შორის ებრაელი. ფაქტობრივად, საქართველოში არ იყო ოჯახი, რომელსაც ომმა გვერდი აუარა. ანალოგიურად იყო საქმე საქართველოს ებრაულ ოჯახებში.

მოვიყვან ფაქტებს, რომლებზედაც საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული. ეს ფაქტები ოფიციალურია. არ იყო საბჭოთა კავშირში ფრონტი, არმია, დივიზია, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები პირადი შემადგენლობის თვალსაზრისით მესამე-მეოთხე ადგილს არ იკავებდნენ! მოქმედ საბჭოთა არმიაში დაღუპულთა შორის რუსებისა და უკრაინელების შემდეგ ქართველი მეომრები მესამე ადგილს იკავებდნენ. შემდეგ მოდიოდ-



ნენ ბელორუსები (253 000), თათრები (188 000), ებრაელები (142 000) და ა.შ. და ეს ოფიციალური მონაცემებია!

საქართველოს ებრაელების მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობაზე მასალის მოძიებასა და ანალიზის პროცესში დავრწმუნდი, რომ ამ სფეროში ბევრი რამ რჩება უცნობი, გამოუქვეყნებელი. იმდენი ფაქტობრივი მასალა დამიგროვდა, რომ ალბათ წიგნისთვისაც საკმარისი იქნება. სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ დაწერა აქამდე თავშიც არ მომსვლია. და ეს იმის მიუხედავად, რომ უკვე 60 წელია ჟურნალისტიკაში ვარ, ამ დროის მანძილზე ომის თემა დომინანტური იყო ჩემს მოღვაწეობაში, ჩემი 4 წიგნი კი საქართველოს გენერლებისა და ადმირალების თემისადმი არის მიძღვნილი. და რაც ყველაზე გასაკვირია, ჩემს კლასელებს, კოლეგებსა და უბრალოდ ნაცნობებს შორის ყოველთვის ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ახლობლების ომში მონაწილეობა თითქმის არასოდეს უხსენებიათ. ამ თემის წამოწევა არ იყო მიღებული. თუმცა ამაში, როგორც ჟურნალისტი, პირველ რიგში საკუთარ თავს ვადანაშაულებ.

ამ პუბლიკაციით მე - ფრონტზე დაღუპული მამის შვილი, რომელმაც ჩემი ნახვა 2 თვემდე ასაკში მოასწრო, მინდა ომის მრისხანე წლების გამოუქვეყნებელი წიგნის ცარიელი ფურცლები შევავსო და ქედი მოვიხარო ყველა იმ ებრაელის წინაშე, პირველ რიგში საქართველოდან, ვინც სამშობლოს დასაცავად მკერდით დადგა.

ქართველი ებრაელების მესამე რაიხის რასობრივ პოლიტიკასთან ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის პირველივე დღეებიდან, 1939 წლის სექტემბერში დაიწყო, როცა გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, სადაც პოლონეთის არმიის ოფიცერი მიხეილ აბრამიშვილი ბატალიონის ნარჩენებს წარუძღვა ჰიტლერელების წინააღმდეგ. ფაშისტებს ებრძოდნენ პოლონეთში 1921 წელს ემიგრირებული ყოფილი ქართველი იუნკერები, ოფიცრები და გენერლები. საინტერესო ფაქტი: პოლონეთში შეჭრილი გერმანული არმიის მეთაურობამ გენერალი ალექსანდრე ზაქარიადე „პოლონეთის უკანასკნელ დამცველ რაინდად“ გამოაცხადა!


ფაშიზმთან ომზე საფრანგეთშიც საუბრობდნენ. ჯერ კიდევ 1940 წლის 14 თებერვალს პარიზში საქართველოს



დევნული მენშევიკური მთავრობის დეპუტატთა სადამფუძნებლო კრებაზე ნოე ჟორდანიამ ოფიციალურად დაგმო გერმანიის ნაცისტური პოლიტიკა და ევროპის ქვეყნების ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მხარდაჭერა გამოუცხადა.

საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ გერმანიის სასიკვდილო მახვილის ქვეშ ქართველი ებრაელებიც აღმოჩნდნენ. მათ შორის ქუთაისში დაბადებული საქართველოდ დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე იოსებ არონის ძე ელიგულაშვილი (12.11.1890 ქუთაისი – 20.10.1952 პარიზი), რომელიც პოპულარული იყო ქართველ ემიგრანტებში. ის საქართველოს საგანძურის სამშობლოში ევაკუაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ, დიდი პირადი თანხა გაიღო ამ მიზნისთვის ავტომობილის დასაქირავებლად და თავად ნოე ჟორდანიას გადასარჩენად, რომელსაც ფაშისტური ანგარიშსწორება ელოდა.

აქვე მიზანშეწონილია ქართველთა და ებრაელთა ერთობის მრავლისმთქმელი ფაქტის მოყვანა. გაგანია ომის დროს, 1942 წლის მაისში ებრაელების მფარველობის გამო ვარშავაში დასმენის საფუძველზე დააპატიმრეს ცნობილი ქართველი არქიმანდრიტი, ევროპის 5 უნივერსიტეტის პროფესორი 43 წლის გრიგოლ ფერაძე. ერთ-ერთი ვერსიით ის გაზის კამერაში იქნა მოკლული, სადაც ნებაყოფლობით შევიდა მრავალშვილიანი ებრაელის ნაცვლად. 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს წმინდა სინოდმა გრიგოლ რომანის ძე ფერაძე (1899-1942) წმინდანად შერაცხა.



გრიგოლ ფერაძე

მაშინ ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში ქართველები ერთობლივად მოქმედებდნენ, ყველაფერში ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ზემოთ ხსენებულმა დალოცვილმა იოსებ ელიგულაშვილმა ქართველ ემიგრანტებთან ერთად რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი გადაარჩინა სიკვდილს. ეს მისი სიტყვები შეიძლება ქართველთა და



ებრაელთა ურყევი მეგობრობის ეპიგრაფად გამოვიყენოთ: „...ამ საქმეში ბევრი ქართველი დაგვეხმარა, მაგრამ ყველაზე მეტად ის ქართველი, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება.“

ამ წიგნზე მუშაობისას ძალზედ საინტერესო დოკუმენტი აღმოვაჩინე. ეს 1944 წლის 16 ოქტომბერს პარიზის მთავარი რაბინის მიერ ნოე ჟორდანიასადმი მიწერილი წერილია: „ბატონმა იოსებ ელიგულაშვილმა მომითხრო იმ დიდსულოვან მხარდაჭერაზე, რომელსაც თქვენს თანამემამულეებრაელებს გაუწიეთ. თქვენი უანგარო დახმარების წყალობით საფრანგეთის ოთხწლიანი ოკუპაციის დროს მათ რასისტული რეჟიმის საშინელება არ შეეხოთ“...

ეს კი უახლესი ინფორმაციაა, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენი წიგნის თემას. და ის საქართველოს პირველმა ქალმა-პრეზიდენტმა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა

ამ მაღალ პოსტზე არჩევამდე, 2018 წლის დეკემბერში გააჟღერა. ქალბატონ სალომეს ბაბუა დედის მხრიდან მელქისედექ (მექი) კედია (1878-1945) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობდა. წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი სხვებთან ერთად საფრანგეთში ემიგრაციაში გაემგზავრა. იმ ადრეულ წლებში მ. კედია, საქართველოში სხვების მსგავსად, გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე იყო. როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო ჰიტლერის გერმანიაში გარკვეულ წრეებთან სიახლოვემ საშუალება მისცა გარდაუვალი სიკვდილისგან გადაერჩინა ბევრი ქართველი ებრაელი. მ. კედიამ დაარწმუნა გერმანელები, რომ ქართველი ებრაელები სხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან და უკვე დიდი ხნის წინ ორგანულად შეერწყმნენ ქართველ ერს.



მელქისედექ კედია

თუმცა საქართველოს დიდი პატრიოტის ი. ა. ელიგულაშ-



ვილის გარეშე ასეთი კეთილი საქმეები უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. და გვინდა ამას კიდევ ერთხელ გავუსვათ საზი. აღსანიშნავია, რომ არაჩვეულებრივი ადამიანის - იოსებ არონის ძე ელიგულაშვილის პიროვნება თანამედროვე საქართველოში საკმარისად არ არის შესწავლილი და დაფასებული. ის უფრო ფართო და დეტალურ ყურადღებას იმსახურებს მათი მხრიდან, ვისთვისაც ძვირფასია ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ადამიანური ფასეულობები.

ი.ა. ელიგულაშვილი დაიბადა და გაიზარდა ქალაქ ქუთაისში, ტრადიციულ ებრაულ ოჯახში. მისი მამა ქალაქში ცნობილი იყო როგორც პირველი გილდიის ვაჭარი და ქველმოქმედი. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იოსებ ელიგულაშვილმა სწავლა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში გააგრძელა და რუსეთში კომერციით დაკავდა. სამშობლოში რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. მალევე საქართველოს საზღვარგარეთ ვაჭრობის კომიტეტის წევრი გახდა. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე მისი ხელმოწერა ადასტურებს. ჯერ კიდევ 1919 წელს ელიგულაშვილი დამფუძნებელთა კრების დეპუტატად აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ კი ის ევროპაში საქართველოს ეკონომიკური აგენტი გახდა.

1921 წელს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ის საფრანგეთში გადასახლდა. როგორც ექვთიმე



ოკუპანტები თბილისში. 1921 წლის თებერვალი

თაყაიშვილი იხსენებდა, საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის შენახვა დიდწილად სწორედ იოსებ ელიგულაშვილის ძალისხმევით და ფინანსებით იყო უზრუნველყოფილი, რომელიც ფაქტობრივად თაყაიშვილის მარჯვენა ხელი იყო.

საფრანგეთში ი.ა. ელიგულაშვილი ერთხმად აირჩიეს საქართველოსა და რუსეთის ქალაქებიდან გადასახლებულ ებრაელთა ასოციაციის თავმჯდომარედ.



სწორედ იოსებ ელიგულაშვილის დაუღალავი და კეთილშობილური მოღვაწეობის წყალობით გახდა შესაძლებელი, ფაშისტური გერმანიის წარმომადგენლებისთვის იმის ახსნა, რომ საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების პროცესში ქართველი ებრაელები იმდენად ასიმილირდნენ ქართველ ერთან, რომ ებრაული ფესვები დაკარგეს და მის ეთნოსს ორგანულად შეერწყნენ. მნიშვნელოვანი როლი ამ კეთილშობილურ საქმეში ქართველი ემიგრანტების გერმანიასა და საფრანგეთში დიდმა კავშირებმა შეასრულა.



იოსებ ელიგულაშვილი

ემიგრაციაში მყოფი მთავრობის მიერ მომზადებულ მემორანდუმში ხაზგასმული იყო, რომ ქართველი ებრაელები ეთნიკური ქართველებისგან არაფრით განსხვავდებიან და კომუნისტურ და სიონისტურ მისწრაფებებს აბსოლუტურად მოკლებულნი არიან. ამ კეთილშობილური და სახიფათო საქმეების წყალობით ძალიან ბევრი ქართველი ებრაელის და ბევრი სხვა ადამიანის გადარჩენა მოხერხდა. არაოფიციალური გზით მომზადებულ ახალ დოკუმენტებში ევროპულ და რუსულ ებრაულ გვარებს ქართული დაბოლოებები „იე“ და „შილი“ დაემატა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ებრაელებისთვის მათი ქართული იდენტურობის დასამტკიცებლად! სხვადასხვა წყაროში ამგვარად გადარჩენილი ებრაელების რაოდენობა რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასამდე მერყეობს!...

მე მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მოვიყვანე, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტი არსებობს. მეორე მსოფლიო ომის უცნობი ფურცლები ქართველი და ებრაელი ერების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ჯერ კიდევ ელის დეტალურ შესწავლას და აღწერას...

დღემდე ვერ ვპატიობ საკუთარ თავს ჩემს საქციელს 1989 წელს, როცა ერთ-ერთი პირველი ქართველი ჟურნალისტების რიგებში საფრანგეთში ლევილში მოვხვდი, სადაც ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობის სხვადასხვა პარტიის



ლიდერები გავიცანი - მამია ბერიშვილი, ჯაბა ხაბუღიანი, შალვა თაყაიშვილი, ასევე ვიქტორ ნოზაძის და, ქალბატონი ლიდია, ლევან ფაღავა - ნოე ჟორდანიას სიძე და მრავალი სხვა. პარიზში არაჩვეულებრივი და უკეთილესი ჩვენი თანამემამულე, ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი ვიქტორ ხომერიკი გემასპინძლობდა. საუბარში ზემოთხსენებული თემაც ახსენეს. მაგრამ სამწუხაროდ მე ეს ფაქტი გამომრჩა, თუმცა მაშინ ქართულ და რუსულ პრესაში სტატიების სერია გამოვაქვეყნე, მათ შორის ქართულ სასაფლაოზე ლევილში და ქართულ რესტორანზე „ოქროს საწმისი“ პარიზში, რომელსაც თბილისელი ებრაელი ქალბატონი ამუშავებდა. ამის შესახებ ჩემმა უფროსმა კოლეგამ და მეგობარმა, საქალაქო გაზეთ „თბილისის“ პასუხისმგებელმა მდივანმა დავით მელუხამ მიაბბო.


ქართველი ებრაელები გმირულად იბრძოდნენ ბრესტიდან კურილის კუნძულებამდე, სტალინგრადიდან ფაშისტური რაიხის ბუნაგამდე - ბერლინამდე. მათ შორის მამაც მეომრებს შევხვდებით: რიგითიდან არმიის სარდლამდე, წითელი არმიის ყველა სახეობის ჯარების მეომრებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურებს, შსსკ-ს თანამშომლებს, საბჭოთა კავშირის გმირებს, დიდების ორდენის სრულ კავალერს, პოლიტკომისრებს, მესაზღვრეებს, გამნადმველების, პარტიზანებს, მზვერავეებს, სამხედრო ექიმებს. ამ წიგნში წავიკითხავთ ებრაელი გოგონების და ქალების გმირობებზე, რომლებიც მტერს ბრძოლის ველებზე ებრძოდნენ, მათ თავგანწირულ შრომაზე საველე ჰოსპიტალებში, ზურგში და მრავალ სხვაზე...

მეორე მსოფლიო ომში ფრონტებზე საქართველოდან 84 გენერალი და ადმირალი იბრძოდა, რომელთა შორისაც იყვნენ - 55 ქართველი, 13 სომეხი, 7 რუსი, 5 ებრაელი, 3 ოსი და 1 აზერბაიჯანელი. ჯამში კი იმ დროს სსრკ-ს გენერლებსა და ადმირალებს შორის 200-ზე მეტი ებრაელი იყო.

ამ გენერლებიდან ერთ-ერთი თბილისელი კომკორი ვ.ნ. ლვოვი იყო (1897-1942). 1940 წელს, როცა სსრკ-ში შემოიღეს გენერლის წოდება ის პირველი გახდა საქართველოდან, ვისაც მაღალი სამხედრო წოდება გენერალ-ლეიტენანტი მიანიჭეს და ბალტიისპირეთის განსაკუთრებული სამხედრო



ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ დანიშნეს, მერე კი ამიერკავკასიის ოლქის სარდლის მოადგილედ. უკვე ომის მსვლელობისას, ამავედროულად ყირიმში მეგრძოლი 51-ე არმიის სარდალი გახდა. ვ.ნ. ლვოვი 1942 წლის 11 მაისს ქერხთან გმირულად დაიღუპა. დაკრძალულია თბილისში, ძველი ვერის სასაფლაოზე. სხვათა შორის, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ლვოვი კარგად იცნობდა ასევე თბილისში 1895 წელს დაბადებულ კორპუსის კომისარს (გენერლის წოდების თანასწორი) იოსებ ფადეის ძე ნამერზელს (ნემერზონი), რომელიც 1924-1925 წლებში ამიერკავკასიის შენაერთს მეთაურობდა, მერე კი 5 წელი კავკასიის წითელი არმიის პოლიტ-სამართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა, 1937 წელს კი არმიის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის უფროსად დანიშნეს. 1938 წელს რეპრესირებული იქნა, მოგვიანებით კი რეაბილიტირებული.



ვლადიმერ ლვოვი

ომის დროს დიდება მოიხვეჭა ებრაელი ერის კიდევ ერთმა მამაცმა შვილმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორმა, ასევე თბილისელმა, ბორის ივანეს ძე შნეიდერმა. ცნობილი თბილისელის ვანიჩკა შნეიდერის შვილი მამამისივით მშვენივრად ფლობდა ქართულ ენას. ომის დროს გამოცდილი ტანკისტი მეთაურობდა ბატალიონს, პოლკს, ბრიგადას, დივიზიას. 1944 წლის 10 სექტემბერს, ლვოვის გათავისუფლების შემდეგ მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. უკვე 1941 წლის 1 აგვისტოს ლვოვი „გალიჩინის დისტრიქტის“ ცენტრად გამოაცხადეს, ფაშისტები აქ განსაკუთრებულად



ბორის შნეიდერი



მხეცობდნენ. სახელმწიფო ენად გერმანული გამოაცხადეს. სსრკ-ს ტერიტორიაზე ლვოვის გეტო, მინსკის გეტოს შემდეგ, ყველაზე დიდი და განშტოებული იყო. განსაკუთრებით ცუდი დღე დაუდგათ ებრაელებს, რომლებიც ძალით იქნენ მოთავსებულები გეტო „იუდენლაგში“, სადაც 136 000 ადამიანი განადგურდა. ლვოვის რაიონში სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა, ერთ-ერთ მათგანში თბილისელი გენერალი დაიჭრა და 1945 წლის 8 თებერვალს ისე გარდაიცვალა, რომ გონს არ მოსულა. დაკრძალულია ქალაქ ლვოვში. ის 37 წლის იყო. სხვათაშორის 1990 წელს ლვოვის ებრაულ სასაფლაოზე დაკრძალეს ომის აქტიური მონაწილე 76 წლის მაიორი ბათუმელი იაკობ ბორისის ძე გერშტეინი.



ალექსანდრე ბორმანი

ერთ-ერთი პირველი საბჭოთა გენერალი საქართველოში მფრინავი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ბორმანი (1902-1982) გახდა, რომელიც ბათუმში დაიბადა და გაიზარდა. ბათუმის აეროკლუბი, საფრენოსნო სასწავლებელი, სამხედრო აკადემია, სსრკ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებში სამსახური. ომამდე პოლკოვნიკი ა.ვ. ბორმანი კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის 19-ე ავიადივიზიის მეთაური იყო. სწორედ ამ წოდებაში შეხვდა ომის დაწყებას.

1941 წლის 27 დეკემბერს ა.ვ. ბორმანს ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. იგი სხვადასხვა მაღალ თანამდებობას იკავებდა. 1945 წლის 4 თებერვალს კი მესუთე საჰაერო არმიის სარდლის მოადგილედ დანიშნეს. ომი გერმანიაში დაასრულა. ებრაელი გენერალი მოსკოვში 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ტროეკუროვის სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. სხვათა შორის, ა. ვ. ბორმანი საქართველოდან საბჭოთა კავშირში ავიაციის 7 გენერალთაგან ერთ-ერთი იყო.

ჭეშმარიტ თბილისელს უწოდებდნენ სახელმწიფო უშიშროების გენერალ ბენიამინ ნაუმის ძე გულსტს. ბენომ, რო-



გორც მას მეგობრები ეძახდნენ, თბილისის მე-5-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. 21 წლის ასაკში დაიწყო სამსახური საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. მოგვიანებით მისი ოჯახი ეწეოდა „ჩეკისტების“ სახლში გადავიდა სასახლის ქუჩაზე (რუსთაველის გამზირი, №1). ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები საქართველოს შსს-ში, სადაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც გულმოდგინე და საქმის მცოდნე თანამშრომელი. კარგად ფლობდა ქართულ ენას. მოსკოვში გადასვლისას ლავრენტი ბერიამ საქართველოდან ყველაზე გამოცდილი თანამშრომლები წაიყვანა თან, მათ შორის სახელმწიფო უშიშროების მაიორი ბენო გულსტი. 1939 წლის 24 აპრილს ბერიამ პირადად გადასცა სსრკ შსს საპატიო მუშაკის ნიშანი. კავკასიისთვის ბრძოლის დღეებში ბ. ნ. გულსტს სახელმწიფო უშიშროების კომისრის წოდება მიანიჭეს, რაც გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებას უტოლდებოდა. ამ მღელვარე დროს იგი ბერიასა და სსრკ-ს შსს-ს სხვა ქართველ გენერლებთან ერთად განსაკუთრებულ დავალებებს ასრულებდა. სხვათაშორის, მისი ოჯახი საქართველოში 1955 წლამდე რჩებოდა. გენერლის ქალიშვილი ალა თბილისში, ჩვენს 43-ე სკოლაში სწავლობდა. აქვე გათხოვდა და დიდი სიყვარულით სარგებლობდა.



ბენიამინ გულსტი

1953 წლის ივნისის ბოლოს გენერალ-მაიორი ბენო გულსტი ბერიას საქმეზე დააპატიმრეს. ამ დროისთვის მის მკერდს 7 საბრძოლო ორდენი ამშვენებდა. მაგრამ, როგორც არ ეცადნენ ანტიბერეილები, ვერაფერზე მოსდეს შარი. გენერალი ბენო გულსტი მოსკოვში 1972 წელს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა, იქვეა დაკრძალული.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი სოლომონ რაფაილის ძე მილშტეინი, და არა მარტო საქართველოში. ახალგაზრდო-



სოლომონ მილშტეინი

ბაში კავკასიის არმიაში მსახურობდა, მერე კი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს კოლეგიის მდივნად მუშაობდა. 1931 წლის ნოემბერში ლავრენტი ბერიამ ნიჭიერი თანამშრომელი თანაშემწედ საქართველოს კპ ცკ-ში წაიყვანა, სადაც გარკვეულ დროში განსაკუთრებული განყოფილების გამგედ დანიშნეს. სოლომონ რაფაელის ძემ კარგად იცოდა ქართული ენა და თავისი შეფის მსგავსად ფიზიკური კულტურის და სპორტის დიდი მოყვარული იყო, რამაც განაპირობა

მისი ახალი დანიშნვა საქართველოს სსრ-ს ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, სადაც მან მოკლე ვადაში მნიშვნელოვანი კვალის და თანამოაზრეთა შეკრული კოლექტივის დატოვება შეძლო. როცა 1938 წლის 25 ნოემბერს ღ. პ. ბერია სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისრად დანიშნეს, მისი ნდობით აღჭურვილ პირთა ჯგუფთან ერთად ს. რ. მილშტეინი, რომელიც იმ დროს ასევე საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის პოსტს იკავებდა, სსრკ-ს შსსკ-ს ცენტრალურ აპარატში აღმოჩნდა, სადაც სატრანსპორტო სამართველოს ჩაუდგა სათავეში.

1940 წლის 14 მარტს ს. რ. მილშტეინს სუ-ს კომისარის მესამე რანგის წოდება მიანიჭეს, რაც გენერალ-ლეიტენანტის წოდების ტოლფასია. ომის დროს მას პირდაპირი მოვალეობების გარდა, დაზვერვის, კონტრდაზვერვის ხაზით საიდუმლო დავალებების შესრულება უწევდა. სამხედრო პერიოდში მის მოღვაწეობაზე საბჭოთა კავშირის 11 უმაღლესი ჯილდო მეტყველებს, მათ შორის ლენინის 2 ორდენი, წითელი დროშის 2 ორდენი, სამამულო ომის პირველი ხარისხის 2 ორდენი, სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენი, კუტუზოვის პირველი და მეორე ხარისხის ორდენები.

1953 წლის 19 მარტს ს.რ. მილშტეინი 55 წლის ასაკში უკრაინის სსრ-ს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ



დანიშნეს. არაოფიციალური წყაროებიდან ირკვევა, რომ 1953 წლის 26 ივნისს, ბერიას მკვლელობის შემდეგ, ს.რ. მილშტეინი იმავე დღეს, კიევში, მის სამუშაო კაბინეტში დახვრიტეს. მისი გარდაცვალების ოფიციალურ თარიღად კი 1955 წლის თებერვალია მითითებული.

სხვათა შორის, ზემოთ ხსენებული ქართველი ებრაელი გენერლების გარდა, სხვადასხვა წლებში გათანაბრებულნი იყვნენ გენერლის წოდებამდე ცნობილი ჩეკისტი გლებ ბოკი (1879-1937), რომლის საპატივცემოდ გემს დაერქვა მისი სახელი, ანატოლი გეკერი (1888-1937), მიხეილ ლევანდოვსკი (1890-1937), არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ბორის აბრამის ძე ძემაშვილი (1929-2010), რომელიც ცხოვრობდა და დაკრძალულია მოსკოვში, ამჟამად ცოცხალია გენერალ-მაიორი გრიგორი აბრამის ძე ბეინინსონი (დაიბადა 1947 წელს ქალაქ რუსთავში).



გ. ბოკი

ა. გეკერი

მ. ლევანდოვსკი

ბ. ძემაშვილი

ომის დროს დიდების ორდენის სრული კავალერი (დაწესებულია 08.11.1943) საქართველოდან 22 მამაცი მეომარია, მათ შორის ერთი ეთნიკური ებრაელი ილია დავითის ძე სეფიაშვილი გახდა. ამ საქმის მცოდნე ხალხი მათ „სამჯერ გმირებს“ უწოდებდა. სხვათა შორის, ისინი ოთხჯერ ნაკლებნი იყვნენ რაოდენობით, ვიდრე საბჭოთა კავშირის გმირები - სულ 2582 ადამიანი. ილია დავითის ძე სეფიაშვილი დაიბადა 1904 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჭაბუკი საშოვარზე ქუთაისში წავიდა, სადაც აბრეშუმის კომბინატში მუშად მოეწყო. რაღაც დროის შემდეგ შრომისმოყვარე და მოკრძალებული ბიჭი ცვლის უფროსად დანიშნეს. გერმანიასთან ომის დაწ-



ილია სეფიაშვილი

ყებისთანავე ილია სეფიაშვილი მობილიზებული იქნა. მოკლევადიანი კურსების გავლის შემდეგ ის 23-ე გვარდიის საარტილერიო ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელ პოლკში ჩარიცხეს.

მაღევე გახდა ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაური, რომლითაც ბერლინამდე მივიდა. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი არტილერიისტების თქმით ეს ყველაზე სახიფათო თანამდებობაა. პირდაპირი დამიზნების იარაღს ბრძოლაში ყველაფერი ესვრის, რასაც სროლა შეუძლია. მითუმეტეს გერმანელებთან, რომლებიც ტანკების გარეშე შეტევაში პრაქტიკულად არ მიდიოდნენ. აი საიდან მას ამდენი ჭრილობა. სეფიაშვილი სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა, რვაჯერ (!) იყო დაჭრილი, მაგრამ ყოველთვის ბრუნდებოდა მშობლიურ ნაწილში.

დიდების პირველი ორდენი გვარდიის სერჟანტმა ილია სეფიაშვილმა პოლონეთის მიწაზე, 1944 წელს მიიღო, როცა ფაშისტებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს მწყობრიდან იქნა გამოყვანილი საარტილერიო დანაყოფი. ცოცხალი მხოლოდ ილია გადარჩა. ცეცხლს არ წყვეტდა, გაანადგურა მეტოქის მანქანები და რამდენიმე მეზობელი. 1945 წლის მარტში მას მეორე ხარისხის დიდების ორდენი გადასცეს. ბრძოლები უკვე გერმანიის ტერიტორიაზე მიდიოდა. საბჭოთა მეომრების გადაადგილებას მტრის ორი ცეცხლის წერტილი უშლიდა ხელს. ილია სეფიაშვილმა აქაც გამოიჩინა საზრიანობა და თავისი ქვემეხის ზუსტი ნასროლით გაანადგურა მეტოქე ბერლინის აღებისას ქუჩებში სასტიკი ბრძოლები მიდიოდა. გვარდიის არტბატარეის ზემდეგი ამჯერადაც ზუსტი დამ-



დიდების 1-ლი, მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენები



იზნებით ურტყამდა მიზანს, გამოჰყავდა მწყობრიდან მტრის ტექნიკა, ამასთან 40 მეტრძოლი ტყვედ აიყვანა. მერე კი მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ზარბაზანი პირდაპირ ტროტუარზე გამოაგორა და ზუსტი დარტყმით რამდენიმე ტანკი გაანადგურა, რომლებიც გზას უღობავდნენ საბჭოთა ქვეით ჯარს. ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა.

ასობით იარაღის გრუხუნის ფონზე, თანამებრძოლებმა ილია სეფიაშვილი ბოლსა და ნახანძრალში, უგონო მდგომარეობაში, სამი ჭრილობით იპოვეს. ჩვენი თანამემამულე დიდხანს მკურნალობდა პოსპიტალებში. მოგვიანებით კი გმირის მკერდზე პირველი ხარისხის დიდების ორდენი გაბრწყინდა, რომელიც მას ომის შემდეგ მშობლიურ ქუთაისში გადასცეს. დიდების ორდენების სრული კავალერი უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა სსრკ-ში, თანაც მათ შორის მხოლოდ... 13 ებრაელი იყო. ერთ-ერთი მათგანი იყო ჩვენი, ქართველი ებრაელი ი.დ. სეფიაშვილი. ქართულმა საზოგადოებამ მის შესახებ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, ნეკროლოგიდან შეიტყო, ისიც სრულად არა, მის ებრაულ წარმოშობაზე კი, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, სრული სიჩუმე...

ასეთივე გმირული გზა გაიარა 1920 წელს დაბადებულმა არონ ისაკის ძე ელიგულაშვილმა. არონ ელიგულაშვილი 8 წლის იყო, როცა 1928 წელს ქუთაისში მომხდარმა ხანძარმა გადაწვა ებრაული უბანი, რომლის დროსაც დაღუპულებს შორის იყო დედამისი სარა. ოჯახის ერთადერთი მარჩენალის მამის კისერზე დარჩა 5 ობოლი ბავშვი. მამისთვის დახმარების გასაწევად არონი იძულებული გახდა რომ მე-7 კლასიდან სწავლისთვის თავი დაენებებინა და მუშაობა დაეწყო. მან მხოლოდ ჯარიდან დაბრუნების შემდეგ შეძლო სკოლის დამთავრება.



არონ ელიგულაშვილი

ჯარში 1940 წელს შემოდგომაზე გაიწვიეს და მოხვდა ლენინგრადის კიროვის სახელობის სასწავლებელში, 1941



ლენინგრადის საარტილერიო სასწავლებელი

წლის თებერვლიდან კი გადაყვანილი იქნა ლენინგრადის საარტილერიო სასწავლებელში. ომის დაწყების დროს იყო მე-8 არმიის მე-10 დივიზიის 204-ე პოლკის ათმეთაური და პირველივე დღეს გადასროლილი იქნა ფრონტის წინა ხაზზე ლატვიაში, გააფრთებული ბრძოლები დიდი მსხვერპლით გამოირჩეოდა, სულ რამოდენიმე დღეში დივი-

ზიის პირადი შემადგენლობის 14 000 კაციდან ცოცხალი მხოლოდ 330 ჯარისკაცი გადარჩა! 204-ე პოლკის პირადი შემადგენლობის 3500 ჯარისკაციდან კი ცოცხლად 30 გადარჩა. მართალია, შემდგომ დღეებში პოლკი შევსებას დაუბულობდა, მაგრამ მსხვერპლის რაოდენობა სამწუხაროდ არ მცირდებოდა. სექტემბრის შუა რიცხვებში დივიზიამ დარჩენილი 437 მეზობლით ლენინგრადის მიმართულებით დაიხია და იცავდა ქალაქს ბლოკადის დროს.

გავისხენებ არონ ელიგულაშვილის ბრძოლის ერთ ეპიზოდს: გერმანელთა მიზნებისა და დაგეგმილი ოპერაციების შესახებ ინფორმაციის არ არსებობის გამო სარდლობამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა ოპერაცია ტყვეს ასაყვანად. შეირჩა მზვერავთა 13 კაციანი ჯგუფი, რომელთაგან 9 კაცი დაიღუპა, დარჩენილებმა კი მაინც მოახერხეს მძიმე დავალების შესრულება, მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია და ასევე ტყვედ აიყვანეს გერმანელი ოფიცერი. ამ ოპერაციის დროს არონ ელიგულაშვილი ყუმბარის ნამსხვრევებით მძიმედ დაიჭრა, იყო საშიშროება ორივე ფეხის ამპუტაციის, მაგრამ ექიმებმა შესძლეს ორივე ფეხის შენარჩუნება. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი ისევ ბრუნდება ლენინგრადის ფრონტზე და სამწუხაროდ ისევ დაიჭრა, ამჯერად თავში, შემდეგ ისევ მონაწილეობა ბრძოლებში 56-ე მსროლელთა დივიზიაში, 59-ე ტანკსაწინააღმდეგო ნაწილში, 1944 წლიდან კი მსახურობდა 1186-ე ტანკსაწინააღმდეგო ნაწილში საქვემეხო ბატარეის



მეთაურად. სარდლობას არ გამოორჩენია მისი მამაცობა და ომის დროს ჩადენილი გმირული ქმედებები, იგი დაჯილდოვებული იყო დიდების მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენებით, წარდგენილი იყო დიდების 1-ლი ხარისხის ორდენით დასაჯილდოვებლად, მაგრამ მისი საბუთები არეულობის დროს სადღაც დაიკარგა. ასეთი შემთხვევებიც ხშირად ხდებოდა ომის დროს!!! იგი დაჯილდოვებულია მრავალი საბრძოლო მედლით, მადლობის სიგელებით და წერილებით, მის ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილას იყო გამოფენილი სპეციალური ჯილდო: ხალიჩა სტალინის გამოსახულებით.

ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის ნოემბერში არონ ელიგულაშვილი ბრუნდება მშობლიურ ქუთაისში, სადაც ლუბა (ციფორა) სეფიაშვილთან ერთად შექმნა მყარი და თბილი ებრაული ოჯახი, მათ აღზარდეს 2 შვილი, ციური და ცეზარი. მათი შთამომავლები ამჟამად ისრაელში ცხოვრობენ და ამაყობენ გმირი ბაბუის სახელით.

არონ ისაკის ძე ელიგულაშვილი გარდაიცვალა 1974 წელს. იგი დაკრძალეს ქუთაისის ებრაულ სასაფლაოზე. დაკრძალვის დროს რელიგიურ რიტუალებთან ერთად ჩატარდა ომის გმირებისადმი მიძღვნილი სამხედრო წესებით გათვალისწინებული ქმედებები-საპატიო ყარაულით დაწყებული და გამოსათხოვარი ზაღპებით დამთავრებული. ქალაქ ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნულ მუზეუმში დღემდე ინახება არონ ელიგულაშვილის სამხედრო ექსპონატები და ჯილდოები.

ომის დროს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 157 მეომარ ებრაელს მიენიჭა. ეს რიცხვი 2019 წლის 8 მაისს რუსულ ტელეარხ „როსია-24“-ის ეთერში რუსეთის ებრაული სათვისტომოების ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბოროდამ გააუღერა. სსრკ-ს 157 ებრაელი ვაჟკაცი! თავს უფლებას მივცემ გმირების ამ სიიდან მხოლოდ 2 გვარი დავასახელო - ორი ჩინებული ტანკისტი, რომლებსაც ქართველ მებრძოლთა შორის მრავალი მეგობარი ჰყავდათ. მით უმეტეს, რომ ინგლისის პრემიერ მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა საბჭოთა ტანკს T-34 მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო ტანკი უწოდა.



ბელორუსის პირველი ფრონტი

ბელორუსის პირველი ფრონტის 1-ლი გვარდიის სატანკო ჩერტოვის ლენინის ორდენის ორგზის, წითელი დროშის, სუვოროვის, კუტუზოვის და ბოგდან ხმელნიცკის ორდენების ჯავშანსატანკო ძალების მარშალ მ. ე. კატუკოვის სახელობის ბრიგადის მეთაურის

საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკის (როგორც მისი მეგობრებისგან შევიტყვე, უკვე მზადდებოდა საბუთები მისი გენერალ-მაიორის წოდებაზე წარსადგენად) აბრამ მათეს ძე ტემნიკის გვარს ამ სახელოვანი ფრონტის ყველა ნაწილში კარგად იცნობდნენ. როცა ბერლინის შტურმისას 37 წლის აბრამ ტემნიკის ტანკები მსროლელეების მხარდაჭერის გარეშე დარჩა, თავისი შტაბის ოფიცრებს ორდენების დაკიდება, ავტომატების აღება და სახლების ფაშისტებისგან გაწმენდა უბრძანა. ომის დასრულებამდე წუთები რჩებოდა, აბრამ ტემნიკს კი წინ ჩინებული კარიერა ელოდა, რომელსაც დასაბამი ჯერ კიდევ 1939 წელს, მდინარე ხალხინ გოლზე იაპონელ დამპყრობლებთან ცხელ ბრძოლებში დაედო, თუმცა გამარჯვება ფაშიზმზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. აბრამ ტემნიკი 1945 წლის 29 აპრილს, ამ სასიკვდილო ბრძოლაში, მამაცური სიკვდილით დაიღუპა. ის ტირგარტენში (გერმანია) დაკრძალეს. სიკვდილის შემდეგ მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მის საბრძოლო ჯილდოებს შორის არის - ლენინის ორდენი, წითელი დროშის 3 ორდენი, ბოგდან ხმელნიცკის II ხარისხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის 2 ორდენი, მედლები.

მამაცი ებრაელი მეთაურის, ლამაზი გენერლის დავით აბრამის ძე დრაგუნსკის (1910.15.02-1992.12.10, მოსკოვი) სახელი ფართოდ იყო ცნობილი არა მარტო სსრკ-ში. მისი გმირობის შესახებ საბჭოთა ხალხმა გაზეთ „პრავდა“-ში გამოქვეყნებული მასალიდან შეიტყო ხასანის ტბასთან იაპონელებთან ცხელი ბრძოლების პერიოდში, სადაც ის სატანკო ასეულს ხელმძღვანელობდა. 1941 წლის ივლისში, მ. ე.




ფრუნზეს სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ დავით დრაგუნსკი ფაშისტებს ომის უკანასკნელ დღემდე ებრძოდა. 1943 წლის ნოემბერში ის 1-ლი უკრაინული ფრონტის გვარდიელთა 55-ე სატანკო ბრიგადის მეთაურად დანიშნეს. 1944 წლის აგვისტოში სანდომირის პლაცდარმის გაფართოების ბრძოლებში მისმა ბრიგადამ მტრის დიდი ძალების შეტევა მოიგერია. მალევე დავით დრაგუნსკის მკერდი გმირის ოქროს ვარსკვლავმა დაამშვენა. მეორე ოქროს ვარსკვლავი მან ტელტოფ-არხის ფორსირებასა და ბერლინისათვის ბრძოლებში მიიღო. ომი პოლკოვნიკის წოდებით დაასრულა. 1949 წელს გენშტაბის სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ დივიზიას, არმიას ხელმძღვანელობდა.



დავით დრაგუნსკი

1965 წელს დავით დრაგუნსკი გენერალ-ლეიტენანტის წოდებაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაურის პირველ მოადგილედ დანიშნეს. მაშინ ოლქის შტაბის მახლობლად ვცხოვრობდი და კარგად მახსოვს, რომ შტაბის ჭიშკრიდან მანქანით გამოსულ სახელოვან და ძალიან პოპულარულ გმირსა და გენერალს გამვლელები ყოველთვის აპლოდისმენტებით და ღიმილით ხვდებოდნენ. 1970 წელს მას სატანკო ძალების გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის მკერდს ამშვენებდა: ლენინის 2 ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, წითელი დროშის 4 ორდენი, სუვოროვის II ხარისხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის 2 ორდენი, ორდენი „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“, უცხოური ორდენები და მედლები. მის პატარა სამშობლოში, ბრიანსკის ოლქში მისი ბრინჯაოს ბიუსტი დგას.

ამ სახელოვან გმირებს შორის დავასახელებ საქართველოს მკვიდრ შვილებს, ერთ-ერთი მათგანი ძირძველი ბათუმელი ვალენტინ ეფიშის ძე შაპირო იყო (20.07.1922 – 25.09.1996 მოსკოვი). გმირის ვარსკვლავამდე გზა ბათუმის აეროკლუბ-



ვალენტინ შაპირო

გარი მერკვილაძე

ში დაიწყო, სადაც ავიაციის საწყისებს თავისი სკოლის მეგობარ გარი მერკვილაძესთან ერთად ითვისებდა. სკოლისგან თავისუფალ დროს მეგობრები ქალაქგარეთ გარბოდნენ და საათობით შეედლოთ უ-2-ის ფრენაზე დაკვირვება და თავს

მის კაბინებში წარმოიდგენდნენ ხოლმე. ასე დაიწყო ბათუმელი ჭაბუკების გზა უკვდავებისკენ, ისევე როგორც მათ უფროსი მეგობრის და თანამემამულის - ა.ვ. ბორმანის. ბათუმელი ბიჭები მეხუთე ოკეანის დამპყრობლები - ებრაელი ვალენტინ შაპირო და ქართველი გარი მერკვილაძე საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ. ვ. შაპირომ 590(!) საბრძოლო გაფრენა განახორციელა, მათ შორის 455 მტრის ჯარის დასაზვერად. 48 საჰაერო ბრძოლაში მან 12 ფაშისტური ქორი ჩამოაგდო.

1978 წელს ვ. შაპირო გვარდიის პოლკოვნიკის წოდებით გავიდა თადარიგში და თავის ოჯახთან ერთად მოსკოვთან ახლოს ქალაქ ბალაშიხაში დარჩა საცხოვრებლად, სადაც ომის ვეტერანს გენერალ-ლეიტენანტ ლეონიდ მარლანიძეს დაუმეგობრდა. გმირის მამა - მესაზღვრე ეფიმ შაპირო ომის დასაწყისში 1941 წლის ივნისში დაიღუპა. სსრკ-ს საზღვრის დაცვისას ბალტიისპირეთში იგი გმირულად დაეცა. მის მკერდს ლენინის ორდენი, წითელი დროშის 4 ორდენი, სამამულო ომის 1 და 2 ხარისხის ორდენები, წითელი ვარსკვლავის ორდენი და სხვა ჯილდოები ამშვენებდა.

კიდევ ერთი ებრაელი - საბჭოთა კავშირის გმირი ისაი პავლეს ძე კაზინეცი (1910-1942) მამის უკრაინის სამოქალაქო ომში დაღუპვის შემდეგ, დედასთან ერთად ბათუმში ცხოვრობდა. აქ დაამთავრა ადგილობრივი მუშათა სკოლა, შემდეგ კი ბათუმის ნავთობქარხანაში მუშაობდა. საქართველოს კომკავშირის საგზურით ი. კაზინეცმა კიევის ნავთობის ინსტიტუტში ჩააბარა. მერე - არმია, მის შემდეგ



კი სამსახური რუსეთსა და ბელორუსში, სადაც მოუსწრო ომმა. როგორც მინსკის პარტიის მიწისქვეშეთის ქალაქკომის მდივანი, აქტიურად ჩაერთო პიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლაში, შექმნა საბრძოლო რაზმების ქსელი, გახდა 100-ზე მეტი დივერსიული აქტის ორგანიზატორი. მაგრამ მალე იგი პროვოკატორმა გასცა. 1942 წლის 23 მარტს ისაი კაზინეცი დააპატიმრეს, 7 მაისს კი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. სხვათა შორის, მინსკის ორი ქუჩა საბჭოთა კავშირის გმირების საქართველოდან: ებრაელი ისაი კაზინეცის და ქართველი სერგო ჩიგლაძის სახელებს ატარებს.



ისაია კაზინეცი



სერაფიმ იაცკოვსკი

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება საქართველოდან კიდევ ერთმა ებრაელმა მიიღო - თბილისელმა სერაფიმ ვადიმის ძე იაცკოვსკიმ (1917-1998.) ომის დროს მან 280 საბრძოლო გაფრენა განახორციელა დაზვერვის მიზნით, ჩამოაგდო 2 თვითმფრინავი, ყველაზე სახიფათო დავალებებს ასრულებდა. მის მკერდს 7 საფრონტო ორდენი ამშვენებდა - ლენინის ორდენი, წითელი დროშის 3 ორდენი, სამამულო ომის 1 ხარისხის 2 ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი. ავიაციის პოდპოლკოვნიკი რეზერვში 1963 წელს გავიდა. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში.

საბჭოთა კავშირის მეოთხე გმირი-ებრაელი საქართველოდან იყო მიხეილ იაკობის ძე ვალიანსკი. დაიბადა 1915 წლის 25 მაისს ქუთაისში, მუშის ოჯახში. 1936 წელს დაამთავრა აეროფოტო-გეოდეზიური ტექნიკუმი და სპეციალობით დაიწყო მუშაობა. 1937 წელს მიხეილი ჯარში გაიწვიეს, სადაც




მიხეილ ვალიანსკი

ნიჭიერი ქუთაისელი მალევე გააგზავნეს სამხედრო ქვეით სასწავლებელში, რომელიც მან 1939 წელს დაამთავრა.

ფაშისტურ გერმანიასთან პირველივე დღეებიდან ჩაება მტერთან სასიკვდილო ბრძოლაში ქუთაისელი ებრაელი. ომის წლებში ბევრის გადატანა მოუწია მამაც ებრაელს, ორჯერ დაიჭრა, მაგრამ ყოველთვის ბრუნდებოდა მწყობრში. მთავარი გმირობა მიხეილ ვალიანსკიმ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჩაიდინა.

1945 წლის 30 მარტის ღამეს 252-ე მსროლელთა დივიზიის 932-ე პოლკის ტყვიათმცვორცნელთა ოცეული, რომელსაც ლეიტენანტი მ. ი. ვალიანსკი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთმა პირველმა მიაღწია მოწინააღმდეგის ძლიერად გამაგრებულ მარცხენა ნაპირს ქალაქ კომარნოში. ქუთაისელი ოფიცრის ტყვიათმცვორცნელებმა პლაცდარმისთვის გააჩაღეს ბრძოლა და სხვა საბჭოთა მეომრებთან ერთად ქალაქი ფაშისტებისგან გაათავისუფლეს. სიმამაცისთვის მიხეილ იაკობის ძე ვალიანსკი საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებით დააჯილდოვეს და დააწინაურეს.

ომის შემდეგ კაპიტანი მ. ი. ვალიანსკი თადარიგში გავიდა. ოჯახთან ერთად სევასტოპოლში ცხოვრობდა. 1987 წლის 23 ივნისს საბჭოთა კავშირის გმირი, ლენინის, სამამულო ომის I და II ხარისხების, წითელი ვარსკვლავის ორდენების და 12 მედლის კავალერი მიხეილ იაკობის ძე ვალიანსკი გარდაიცვალა. დიდი პატივით დაკრძალეს გმირი-ქალაქის სევასტოპოლის დიდების ხეივანში. სამწუხაროდ საქართველოში მის შესახებ არასოდეს საუბრობდნენ. აი ასეთი დასანანი დაუღვევრობა...





დღეს აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ერთი უბრალო ებრაული ოჯახის საფრონტო ამბის მწირ სტრიქონებს ქუთაისიდან. იგი თანახმიერია საქართველოს ტანჯული ისტორიისა და განსაკუთრებით ქართველების და ებრაელების, რომლებიც უკვე 26 საუკუნეა გვერდიგვერდ მოდიან, ჭირსა და ღხინში. ამ ოჯახიდან ფრონტზე სამივე ძმა იაკობაშვილი წავიდა. უფროსი - იზია, პროფესიით ეკონომისტი, სტალინგრადისთვის ბრძოლაში დაიღუპა. შუათანა - ინჟინერი აბრამი გმირულად დაეცა ქერჩთან. უმცროსი ძმა გარი, რომელსაც მოსკოვის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, კალინინის მიმართულებაზე უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ამ საშინელი ამბების გაგების შემდეგ ოჯახის წევრები შოკში იყვნენ, ვერ იჯერებდნენ, რომ შვილები, რომლებსაც მშობლები ბედნიერი მომავლისთვის ზრდიდნენ, დაიღუპნენ.

უბედური დედა რამდენჯერმე წავიდა ფოთში, სადაც ყირიმის საზარელი სასაკლავოზე გადარჩენილები ჩამოდიოდნენ. მაგრამ მისი მოლოდინები, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ტრაგიკული იყო სამი შვილის მამის ბედიც. როცა ბენიამინ იაკობაშვილმა უფროსი შვილის - გარის დაჭრის თაობაზე მიიღო წერილი ნალჩიკის ჰოსპიტალიდან, დაუყოვნებლივ გაემგზავრა მასთან შესახვედრად. უზარმაზარი სირთულეების გადალახვის შემდეგ ჰოსპიტალში მისვლისას მამამ გაიგო, რომ მისი შვილი ისევ ფრონტზე გაემგზავრა. ნაწვალევი და ძალადაკარგული უბედური მამა იქვე გარდაიცვალა. გული... ასეთი იყო ჯარისკაცების მამის ბედი!

ქუთაისში, ყოფილ დიმიტროვის ქუჩაზე №18 სახლის კედელზე, მემორიალური დაფა დაღუპული ძმებ იაკობაშვილების პატივსაცემად 1990 წლის 9 მაისს გაიხსნა. რამდენიმე წელიწადში კი, 2009 წელს, საქართველოს იმჟამინდელმა მთავრობამ ქუთაისში განუმეორებელი გამარჯვების მემორიალი ააფეთქა - ქართველი ხუროთმოძღვარ მერაბ ბერძენიშვილის ქმნილება. მაშინ დამანგრეველბმა საკრამენტული ფრაზა წარმოთქვა: „ეს ჩვენი ომი არ ყოფილა!“... არადა ქუთაისიდან იმ ომში ათობით ათასი ადამიანი წავიდა, მათ შორის ბევრი ებრაელი. მაშინ საქართველოში ყველაზე დიდი ებრაული თემი ქუთაისში ცხოვრობდა.



გამარჯვების
მემორიალი ქუთაისში

ასობით, ათასობით ებრაელი საქართველოდან იქნა გაწვეული ჯარში, მოხალისეებად მიდიოდნენ თბილისიდან და ქუთაისიდან, ცხინვალიდან და ახალციხიდან, კულაშიდან და საჩხერედან, ბათუმიდან და სოხუმიდან, სამტრედიიდან, ბანძიდან, ვანიდან, ონიდან, ლაილაშიდან, ბრეტიდან, სურამიდან, ქარელიდან - რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია ბევრი, ძალიან ბევრი ფურცელი იმ ომში ებრაელების მონაწილეობის შესახებ. მეც კი - გამოცდილ ჟურნალისტს, რომელმაც ჩემს მოღვაწეობისთვის დომინანტურ მეორე მსოფლიოს ომის თემას არა ერთი

ათეული წელი და ასობით პუბლიკაცია მიუძღვენი, ამ წიგნის მომზადების პროცესში გამოაცა საქართველოს ებრაელების მასობრივმა მონაწილეობამ ომში და მათმა გმირობამ, მათმა დიდმა წვლილმა ფაშიზმზე გამარჯვებაში. დარწმუნებული ვარ, არაებრაელებისთვის აქ მოყვანილი ფაქტები და ციფრები ნამდვილი აღმოჩენა გახდება.

საერთო სწრაფვამ და საქართველოში არსებულმა ატმოსფერომ მისი მოსახლეობა ერთ მუშტად შეკრა ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლისთვის, ეროვნებისა და რწმენის მიუხედავად. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც მტერს მძლავრ დაბრკოლებად აღუდგა, საქართველოს ებრაელები გახდნენ. ისევე, როგორც სსრკ-ს, ევროპისა და აშშ-ს ებრაელები, რომლებისთვისაც ჰიტლერის გერმანიასთან ბრძოლას ალტერნატივა არ ჰქონდა. შესაძლოა დღეს ამან ვინმე გააკვიროს, მაგრამ რთული შესადარებელია ის, რაც იმ მრისხანე დღეებში ხდებოდა საქართველოში და სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში. დიდიდან დადამებამდე საქართველოს სამხედრო კომისარიატებში ასობით, ათასობით ნორჩი, ახალგაზრდა ბიჭი იდგა, რომლებსაც ძალიან უნდოდათ ფრონტზე წას-



ვლა. ოჯახები და სკოლები ვერ აჩერებდნენ მოზარდებს, რომლებსაც ბრძოლა სწყუროდათ. ნახევარ გზაზე იჭერდნენ, მატარებლების ვაგონებიდან უკან აბრუნებდნენ.

ომის საწყის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე რვა სრული ეროვნული მსროლელთა დივიზია შეიქმნა: 224, 242 (სამთო-მსროლელი), 276, 296, 349, 392, 406 და 414, ეს კი 100 000 მეომარზე მეტია. აი საიდან საქართველოს ასეთი უზარმაზარი დანაკარგი ცოცხალ ძალაში ომის დასაწყისში. ამავე დროს ქვეყანაში კიდევ რამდენიმე შენაერთი შეიქმნა, რომლებშიც 30-დან 60% ქართველები იყვნენ. სულ მალე ყირიმის და კავკასიის მთისწინეთის უმძიმესი ბრძოლების წიაღში აღმოჩნდებიან, იმ დროს მტერი მნიშვნელოვნად სჯაბნიდა საბჭოთა ჯარების ძალებს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში დიდებულმა მეთაურმა, რომელიც ჯერ 242-ე სამთო-მსრო-

რელ დივიზიას (1941 წლის 26 ივნისიდან), მერე კი ანაპის წითელ დროშოვან 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიას მეთაურობდა და რომლის მებრძოლებმაც განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი კავკასიისა და ყირიმის ბრძოლებში, გენერალ-მაიორმა გ. გ. ყურაშვილმა (1900-1978) დაწერა ძალიან საჭირო პატრიოტული წიგნი ოჯახებზე, რომლებმაც ბრძოლის ველზე 2, 3, 4 და მეტი ძმა გაუშვეს. ჩემი მეზობლის და უფროსი მეგობრის გენერალ-მაიორ გიორგი გა-




გიორგი ყურაშვილი

ბრიელის ძე ყურაშვილის გარდაცვალების შემდეგ მე მისი კეთილშობილური საქმის გაგრძელება მხვდა წილად. რამდენიმე წლის მანძილზე ქალაქის გაზეთებში „ვეჩერნი თბილისი“ და „თბილისი“ ქვეყნდებოდა ჩემი სტატიები ამ თემაზე, საერთო რუბრიკაში „ძმთა სისხლით“. და აი, ათწლეულების შემდეგ მე კვლავ შევხვდი ამ ამაღელვებელ, ზოგ შემთხვევაში კი ტრაგიკულ ფაქტებს, როცა ომში ერთდროულად ოჯახის რამდენიმე წევრი მიდიოდა - ძმები, მამები და მათი შვილები, მაგრამ ამჟამად ყველანი იყვნენ



ებრაული ოჯახებიდან, როგორც ეს ზემოთხსენებულ ბენიამინ იაკობაშვილის ოჯახის შემთხვევაში.

მარტვილის რაიონის პატარა სოფელ ბანძაში ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. ომის წლებში სოფელი დაცარიელდა. თითქმის ყველა ებრაელი ჭაბუკი ომში იბრძოდა. შაბათ აჯიაშვილის ოჯახიდან ფრონტზე მისი 4 ვაჟი წავიდა: გაბრიელი, ევრემი (პულე), იოსები და სოლომონი. ომში წავიდნენ მათი მამიდაშვილები ელიაუ და დავითი, რომლებმაც სახლში ნახევრად ბრმა დედა დატოვეს, ასევე მათი ახლო ნათესავი ბეხორ აჯიაშვილი.



დავით აჯიაშვილი

დღეს ფართოთ არის გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლისა და პოეტის ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილის სახელი, და არა მარტო საქართველოში და ისრაელში. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მამამისი - დავითი ომის პირველ დღეებიდან ჩაება სასიკვდილო ბრძოლებში ფაშისტურ ოკუპანტებთან. სიკვდილის ბოლო დღეებშიც კი ვერ ივიწყებდა ვაჟკაცი მეომარი სოფელ ბანძიდან იმ საშინელი ომის დღეებს, განსაკუთრებით ბრძოლებს ყირიმში, ქერჩთან. 1943 წელს დავით აჯიაშვილი მძიმე სენის გამო დემობილიზებული იყო.

შინ მის მშობლებს მოუვიდათ მწარე უწყება - ამ ოჯახიდან ფრონტზე წასული მეორე შვილის ელიაუს უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ.

ოთხი შვილის მამა ომისა და შრომის ვეტერანი დავით შაბათას (შაფათას) ძე აჯიაშვილი ბოლო წლებში ცხოვრობდა ისრაელში, სადაც გარდაიცვალა 2010 წელს 95 წლის ასაკში, დაკრძალულია ქალაქ ლოდის ახალ სასაფლაოზე.

ჩემი მოკრძალებული დათვლით, ფრონტზე ამ პაწაწინა სოფლიდან 47 ებრაელი იბრძოდა, რომელთაგან უდიდესი ნაწილი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა!

ამ ებრაული გვარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მებრძოლი, მამაცი მეომარი პოლკოვნიკი სოლომონ დავითის ძე აჯიაშვილი იყო. 1940 წელს, სარკინიგზო ტრანსპორტის ინ-



სტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 25 წლის სპეციალისტი პეჩერის სარკინიგზო კვანძზე გაგზავნეს. მალევე ის ლენინგრადის ფრონტის ცნობილი „სიცოცხლის გზის“ დისპეტჩერად დანიშნეს. ბლოკადის გარღვევის შემდეგ გამოცდილი სპეციალისტი სტალინგრადში მიავლინეს, სადაც არაერთხელ იქნა აღნიშნული მეთაურობის მიერ. მამაცმა მეომარმა ომი ამიერკავკასიის სარკინიგზო ჯარის შემადგენლობაში დაასრულა და ჩინებული გზა გაიარა ლეიტენანტიდან პოლკოვნიკამდე. ს. დ. აჯიაშვილი თბილისში, მეუღლის გვერდით არის დაკრძალული.



სოლომონ აჯიაშვილი

გამარჯვებული და უვნებელი დაუბრუნდნენ ოჯახს ფრონტიდან სოლომონის ძმა სამხედრო ექიმი პოდპოლკოვნიკი იაკობ აჯიაშვილი და მათი ბიძაშვილები - აბესალომ და ისაკ აჯიაშვილები. მათი და ყველა სხვა მეომრის მშვიდობით დაბრუნება სოფელში აღინიშნებოდა სახალხო ზეიმით. ხარობდა მთელი სოფელი, განსაკუთრებით კი სოლომონის და აბესალომის მამა – ბანძაში გამორჩეული ოჯახის უფროსი - რაბინი დავით აჯიაშვილი.

ჩვენ ზევით უკვე ავღნიშნეთ, რომ ომის წლებში ებრაელებით კომპაქტურად დასახლებული სოფელი ბანძა ახალგაზრდებიდან დაცარიელდა. ახალგაზრდებს შეუერთდა 40 წლის გერშონ სეფიაშვილი. წითელ არმიასი მან მსახურობა დაიწყო კავშირგაბმულობის ქვედანაყოფში. ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში გერშონი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მისმა და მისი თანამებრძოლების ვაჟკაცობამ სასწაული მოახდინა - გვიან დამით მათ შეძლეს ტყვეობიდან გაპარვა და თავის ნაწილამდე მიღწევა. შემდეგ - უკან დახევა, ისევ გაუთავებული ბრძოლები. ასე აღმოჩნდა საქართველოს შვილი პოლონეთის საზღვარზე. 1945 წლის დასაწყისში გერშონ სეფიაშვილი უკვე ევროპაში იბრძოდა. აქ, პოლონეთის საზღვარზე ქართველი ებრაელი კვლავ შეიპყრეს ფაშისტებმა, საიდ-



გერშონ სეფიაშვილი

ანაც მალევე იგი სხვა ტყეებთან ერთად წითელმა არმიამ იხსნა.

დასნეულებული და დაინვალიდებული გერშონ სეფიაშვილი ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში შინ დაბრუნდა. 65 წლის შრომისა და ომის ვეტერანი 1966 წელს თბილისში გარდაიცვალა. საყვარელი და ძალზედ პოპულარული სატელევიზიო გადაცემა „ილუზიონი“-ს ავტორი და წამყვანი ცნობილი კინომცოდნე, დრამატურგი და ჟურნალისტი ოთარ სეფიაშვილი მისი ღირსეული შვილი იყო.

გორელი ისაკ კრიხელი ჯარში გერმანიასთან ომამდე 2 წლით ადრე გაიწვიეს. მამაცი და საზრიანი ახალგაზრდა სამხედრო მფრინავი გახდა და მოსკოვის ცას იცავდა. დაიღუპა 1942 წელს. თანაპოლკელებმა „უვარსკვლავო გმირი“ შეარქვეს. მისი უმცროსი ძმა მიხეილი 18 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა და ყირიმის ბრძოლებში დაიღუპა. ასევე ორი ძმა აბრამი (აბრაშკა) და ალექსანდრე (შურა) ისრაელის ძე ფიჩხაძეები ფრონტზე ომის დასაწყისში აღმოჩნდნენ. პირველი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მეორე დაიღუპა. ბრძოლის ველზე დაიღუპნენ და უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ სამი ძმა გაგრიდან - იაკობსონები: მიხეილი, რუდოლფი და იულიუსი, ასევე ძმები - რიგითები აბრამი, ალექსეი და ანტონი დავით ოჩერაშვილის ოჯახიდან.

სამი ძმა აბრამიშვილი - არონი, ვასილი და ნიკოლოზი არ დაბრუნებულან ბრძოლიდან. უფროსი და უმცროსი 1944 წლის აგვისტოში დაიღუპნენ, შუათანა კი 1941 წლის ნოემბერში. ამ დაობლებულ ოჯახში 3 „შავი ქაღალდი“ მოვიდა. სამ-სამი ძმა ებრძოდა ფაშისტებს - ილია, მოშე და დანიელ ამშიკაშვილები; გაბრიელი, ნაფტანი და დავით მენახის ძე ალელიშვილები; აბრამი, ვანო და სიმონი ისაკ დავარაშვილის ოჯახიდან; აბრამი, ისრაელი და გარი იაკობაშვილები; იოსებ კრიხელის შვილები - ილია, მიხეილი და მორდეხი; ყურაშვილი ნოე, სიმონი და სოლომონი; სერჟანტები არსენ, ევქთიმე მორდეხის ძე ელიშაკოვები - ყველანი დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.



ქუთაისში კარგად იყო ცნობილი დანიელ თავდიდიშვილის ოჯახი, რომელშიც 3 მშვენიერი ვაჟი იზრდებოდა - იაკობი, ილია და დავითი. ომმა ამ ოჯახის ყველა გეგმა არია. უფროსი ძმა - იაშა ფინეთში იბრძოდა, სადაც ოცეულს მეთაურობდა. მოგვიანებით გერმანელების შეტევებს ლენინგრადთან იგერიებდა, სადაც მეავტომატეთა ოცეულის მეთაური იყო და მძიმედ დაიჭრა. 1944 წელს იქნა დემობილიზებული. იაკობ დანიელის ძე თავდიდიშვილი მშვენიერი სპორტსმენი იყო, გახდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ქუთაისელი ბორის ისაკის ძე იაკობაშვილი (1920-1985) ომამდე კაუნასში მსახურობდა, გამნადმველთა ასეულში, უფროს სერჟანტად. იგემა უკან დახევის სიმწარე, დაკარგა ამხანაგები. ომის ბოლოს კი კენიგსბერგის შტურმში მიიღო მონაწილეობა. ომის დროს სამჯერ დაიჭრა. სახლში, ბათუმში 1946 წელს დაბრუნდა, სადაც მაშინ მისი ოჯახი ცხოვრობდა: მეუღლე, ქალიშვილი და ორი ვაჟი. მამაცი მეომარი დაჯილდოვდა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, მედლებით „სიმამაცისთვის“, „კენიგსბერგის აღებისთვის“ და სხვა საფრონტო ჯილდოებით. ომის გმირი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა 1985 წელს. დაკრძალულია ბათუმის ებრაულ სასაფლაოზე.



ბორის იაკობაშვილი

მისი უფროსი და რახილ ისაკის ასული ფრონტზე მოხალისედ 19 წლის ასაკში წავიდა. ხანმოკლე კურსების შემდეგ ებრაელი გოგონა საზენიტო ნაწილში გადაიყვანეს, სადაც წინებულად უმკლავდებოდა საზენიტო იარაღს ტყვიამფრქვევს. ჰქონდა ჯილდოები. ომის შემდეგ ოჯახთან ერთად ქუთაისში ცხოვრობდა, სადაც 1988 წელს გარდაიცვალა. იქვე დაკრძალეს, ებრაულ სასაფლაოზე. მათი უფროსი ძმა არონ ისაკის ძე იაკობაშვილი აჭარის სასაზღვრო ჯარებში მსახურობდა. რთული დრო იყო, საბჭოთა კავშირის და თურქეთის საზღვარზე ყოველდღე საგანგებო შემთხვევები ხდებოდა. მიღებული ჰქონდა ჯილდოები. ომის ვეტერანი სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, გარდაიცვალა 44 წლის ასაკში, 1961 წელს.



ილია კუკაშვილი

ასევე მამაცად და უშიშრად იბრძოდნენ და-ძმა კუკაშვილები ხარაგაულის რაიონიდან. ილია მიხეილის ძე ომს მოქმედ არმიაში შეხვდა. ბრძოლით გამოიარა ყირიმი და კავკასია. ორჯერ დაიჭრა. ჰოსპიტალის შემდეგ დემობილიზებული იქნა. ომის ვეტერანი 1992 წელს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა დამ ლუდმილა მიხეილის ასულმა კუკაშვილმა მთელი ომი მოქმედ არმიაში გაატარა, სავლელე ჰოსპიტალებში სამხედრო ფელდშერად მსახურობდა. ძმასა-

ვით საფრონტო ჯილდოები მასაც ჰქონდა. თავისი დიდი სიყვარული ქართველ ებრაელს ბერლინში შეხვდა. მისი მეუღლე სამხედრო ექიმი, სამედიცინო სამსახურის მაიორი ივან დიმიტრის ძე ევშოვი გახდა. ომის შემდეგ მებრძოლთა ოჯახი გერმანიაში ცხოვრობდა. 1947 წელს კი ქმრის სამშობლოში, კრასნოდარში გადასახლდნენ. ომის ვეტერანი ლ. მ. კუკაშვილი 1988 წელს გარდაიცვალა. ის 66 წლის იყო. ამის შესახებ ამ დღეებში ფრონტელის ვაჟმა მიხეილ კუკაშვილმა მომიყვა.

სოხუმიდან ფრონტზე წავიდნენ ძმები სიმონ და არონ იოსების ძე მანაშეროვები. 18 წლის არონი კრასნოდარისთვის ბრძოლებში დაიღუპა, სიმონი კი 1942 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ მათი ახლო ნათესავები - უფროსი ლეიტენანტი მიხეილი და სერჟანტი აბრამ მიხეილის ძე მანაშეროვები. ჩემს მიერ ამ დღეებში შედგენილი სიის თანახმად ომში ორ-ორი მრავალი ძმაც იბრძოდა. კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. ილია და ვასო იაკობის ძე ბაბაშვილები - უფროსი ძმა, რიგითი, 1942 წელს, 36 წლის ასაკში დაიღუპა, უმცროსი კი, მასზე ერთი წლით პატარა ვასო, 1943 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მათი ბიძაშვილი ლეიტენანტი იაკობ ალექსანდრეს ძე ბენიაშვილი 1944 წლის ოქტომბერში მოკლეს.



გმირულად ებრძოდნენ ფაშისტებს და-ძმაროკეტლიშვილები. 1942 წელს ილელ არონის ძე ყირიმის ბრძოლის წიაღში აღმოჩნდა. დაიჭრა, დაბრუნდა მწკრივში. მაშინ 23 წლის იყო. მისი და იოჰაბედ არონის ასული როკეტლიშვილი მოკლევადიანი კურსების შემდეგ მო-



იოჰაბედ და ილელ როკეტლიშვილები

ქმედ არმიას შეუერთდა. ომის ბოლო დღემდე იბრძოდა. სახლში გამარჯვებით და საფრონტო ჯილდოებით 1945 წელს დაბრუნდა. გარდაიცვალა 1986 წელს თბილისში. დაკრძალულია ვარკეთილის ებრაულ სასაფლაოზე.

ფრონტზე ებრაული გვარის - ციციაშვილების 20-ზე მეტი წარმომადგენელი ჭაბუკი წავიდა. მათგან ორი ძმა - მიხეილი და იოსები კავკასიის მთისწინეთში იბრძოდნენ. რაღაც პერიოდი უფროსი - ლეიტენანტი მიხეილ აბრამის ძე ციციაშვილი 392-ე ქართველ მსროლელთა დივიზიის გამოცდილი მეთაურის გენერალ-მაიორ გიორგი ყუფარაძის (1895-1954) ადიუტანტი იყო. ტრაგიკული აღმოჩნდა ქუთაისელი იანკელ მიხეილის ძე ციციაშვილის ბედი. ლენინგრადში ცხოვრობდა. ომის დასაწყისში ფაშისტებმა ოჯახის ყველა წევრი - მეუღლე, ბავშვები, სიდედრი მოუკლეს. მალევე იანკელ ციციაშვილიც დაიღუპა ლენინგრადის დაცვისას. აი ასეთი ტრაგიკული ბედი.

ასევე გმირულად ებრძოდნენ ფაშისტებს თბილისელი ძმები გურიელაშვილები. უფროსი - ზემდეგი მიხეილ აბრამის ძე 1944 წლის 17 თებერვალს მოკლეს, უმცროსი კი - ბენიამინ აბრამის ძე გმირულად დაეცა 1942 წლის იანვარში.

ომის დროს ბევრი ებრაელი ცხოვრობდა ქალაქ ცხინვალში, ზოგი მათგანი ზემოთ უკვე ვახსენე. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხის ებრაელების მასობრივ გმირობაზე მოწმობს. „სამხრეთ ოსეთის ომის გმირთა“ წიგნში შეტანილია ბესარიონ ჯანაში-



ლის სახელი. ფრონტზე მზვერავად მსახურობდა, არაერთხელ მოუპოვებია საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად საჭირო ცნობები მეთაურებისთვის. ერთ-ერთ ასეთ სახიფათო დავალების დროს მძიმედ დაიჭრა. სახელში საბრძოლო ჯილდოებით, ინვალიდად დაბრუნდა. მამაცი მეომრების სახელი მოიხვეჭეს ასევე ცხინვალელმა მამისთვალოვებმა: სერჟანტებმა ხაიმ რაფაელის ძემ, დავით შაქროს ძემ და რიგითმა რაფაელ ნიკოლოზის ძემ - ყველანი უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ 1942-1943 წლებში...

ჩემი წიგნისთვის მასალის შეგროვებისას უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დიდი რაოდენობა უკვე აღარ მიკვირდა. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ 2 000 000 საბჭოთა მეომარზე მეტი დაიკარგა! ამ თემაზე ბევრჯერ დამიწერია.



ბრძოლა ყირიმში

და როცა მსგავს მონაცემებს ვაწყდები ყოველთვის ამას ვიხსენებ. ომის პირველ წლებში რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა. უკრაინის, ბელორუსის, მოსკოვის და ლენინგრადის მოვლენებს თუ არ ჩავთვლით, ქართველი მეომ-

რებისთვის ომის ნამდვილ ჯოჯოხეთად ყირიმი იქცა.

მაშინ საქართველო ერთ დღეში გაჭაღარავდა. ყირიმის მისასვლელთან სასტიკი ბრძოლები 1941 წლის ოქტომბერში დაიწყო. მას შემდეგ კი კავკასია და სტალინგრადი!

1975 წელს მოსკოვში ინტერვიუს ვიღებდი არმიის გენერლისგან, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირ პ. ი. ბატოვისგან, რომელიც 1940 წლიდან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე და ამავდროულად თბილისის გარნიზონის უფროსი იყო. ომის დაწყებიდან ყირიმში იმყოფებოდა, 1941 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე 51-ე არმიის ჯერ სარდლის მოადგილე, ნოემბრიდან კი სარდალი იყო, რის შემდეგაც თანამდებობა ზემოთხსენებულ თბილისელ გენერალ-ლეიტენანტ ვ.ნ. ლვოვს გადააბარა, რო-



ქერჩის ბრძოლა

მელიც 1942 წლის 11 მაისს ქერჩთან დაიღუპა. პაველ ივანის ძე ბატოვმა შინაურ გარემოში მომიყვა საზარელი ფაქტის შესახებ, მაგრამ მოხოვა არ გამოემქვეყნებინა. ყველაფერში იგრძნობოდა მისი სიყვარული საქართველოსა და მისი ხალხისადმი.

ათწლეულების შემდეგ თავს უფლებას ვაძლევ მაშინ მიცემული პირობა დავარღვიო. აი დიდებული სამხედრო მეთაურის სიტყვების მიახლოებული გადმოცემა: „1941-42 წლებში ყირიმში რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა. 41 წლის ნოემ-

ბრის მძიმე დღეებში ყირიმში 5-6 დღეზია ჩავიდა, რომლის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. მათ სიმამაცისა და გამბედაობის სასწაულები წარმოაჩინეს, როგორც სხვა ქართულმა ნაწილებმა ადრეულ ბრძოლებში. შუა ნოემბერში ქერჩიდან ტამანზე დავიწყეთ ევაკუაცია. გადასვლა უზარმაზარ სირთულეებს უკავშირდებოდა, დიდი, დანაკარგები გვექონდა. მტრისადმი გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ყირიმის ფრონტის სარდლობამ მთელი რიგი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. სწორედ იმ მრისხანე დღეებში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი ლევ მესლისი სტალინს ყირიმის მტრისაგან 5 დღეში გათავისუფლებას შეპირდა, 1942 წლის 5 იანვრისთვის. ჩატარდა სასწრაფო ოპერაციები, რეალური მეტეოროლოგიური მდგომარეობის, ავიაციის მხარდაჭერის, კავშირის გათვალისწინების გარეშე. ამ ყველაფერმა კატასტროფა გამოიწვია. არმიის რიგები სწრაფად მცირდებოდა. ცხელ ბრძოლებში ცოცხალი ძალის და საბრძოლო მასალის ნაკლებობა იყო. შევსება



საიუბილეო მედალი



ამიერკავკასიიდან, ძირითადად საქართველოდან მოდიოდა. ერთ-ერთ იერიშში გერმანელებმა, რომლებიც რიცხოვრივ უპირატესობას ფლობდნენ, საბჭოთა ძალები ყირიმის აღმოსავლეთ ნაპირთან მოამწყვდიეს. ამ დროს ქერჩის მხრიდან ნაპირზე თითქმის 2 პოლკი გადმოსვეს, რომლებშიც დაახლოებით 1500 - 1700 ქართველი მებრძოლი იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა - ახალწვეული. მთელი ღამე მოდიოდნენ პოზიციის დასაკავებლად, წინ კი უკვე ჩანდნენ გერმანელები, რომლებმაც მასიური ცეცხლი გახსნეს. ახალგაზრდა, გამოუცდელმა ბიჭებმა არ იცოდნენ სად წასულიყვნენ, ხაფანგში აღმოჩნდნენ. იარაღის გამოყენება ვერც კი მოასწრეს, ისე დაიღუპა ყველა მათგანი...

ხშირად ვყოფილვარ ყირიმში, ფაშისტებთან ომთან დაკავშირებული ყველა სამახსოვრო ადგილი მოვინახულე. არც მანამდე და არც შემდეგ არსად შემხვედრია ამდენი სამხედრო სამარხი და ძმათა სასაფლაო ქართული გვარებით. ტყუილად კი არ იმეორებდნენ გამოცდილი ფრონტელები, რომ ყირიმის მიწა ქართული სისხლით არის გაუღენთილი. ამის შესახებ ათობით სტატია დავწერე. მაგრამ ყველაზე გულისამაჩუყებელი ჩემთვის გახდა ერთი შემთხვევა ყირიმში 1992 წელს, წარსულში შორეული ზღვაოსნობის კაპიტანმა, მაშინ კი ჯერ კიდევ არსებული თევზჭერის ფლოტის აჭარის სამმართველოს თევზის ექსპერიმენტალური კომბინატის დირექტორმა ყირიმში, ქართული სათვისტომოს მეთაურმა და ტეშმარიტმა პატრიოტმა სერგო სერგოს ძე თავაძემ მიიწვია ქ. ქერჩში ქართული სამთავრობო დელეგაციის წევრები, მათ შორის ვიყავი მე - მაშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსი. 1992 წლის 13 ივნისს ქერჩში ყირიმის ბრძოლებში დაცემული ქართველი მეომრების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის საზეიმო გახსნა გაიმართა. თარიღი შემთხვევით არ შეირჩა - 13 ივნისი დაღუპულთა სრულიად სახალხო ხსენების დღეა...

ჩემს ვალად ვთვლი გავიხსენო იმ ხალხის კეთილი საქმე, ვინც საკუთარი შრომითა და სახსრებით ჩვენი მეომრების სამარხები შეინარჩუნა, შემდეგ კი ძეგლი-მემორიალი აღმართა. საუბარია ერთ პატარა ადგილზე სოფელ გლაზოვკასთან, ქერჩთან. ომამდე სასაფლაოს ადგილას მოხუცი ცოლ-ქმარი




დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულთა "ხსოვნის ბაღი" (სოფელი გლაზოვკა)

იაროსლავსკების ძველი პატარა ქოხი იდგა. გერმანული სარდლობის მკაცრი ბრძანების მიუხედავად ისინი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეძებდნენ დაცემულ საბჭოთა მეომრებს და თავიანთ ბოსტანში მარხავდნენ. დაჭრილებს კი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ, მწირი მარაგიდან ნამცეცებს უნაწილებდნენ, პროდუქტებს თანასოფლელებთან აგროვებდნენ. ებრაელების საბუთებს სხვაგან მარხავდნენ. მათი კეთილშობილური, თამამი საქციელის შესახებ გლაზოვკაში ყველამ იცოდა, მაგრამ სოფელში მოღალატე არ მოიძებნა!

გამარჯვების შემდეგ, ახლობლების საფლავების საძებნელად აქ უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ზღვისპირეთის არმიის სარდლობამ აქ ძმათა სასაფლაოს გაკეთება, კეთილმოწყობილი იქნა ცალკეული სამარხები. მერე კი ყველაფერი საკუთარ ხელში ქართველმა პატრიოტებმა აიღეს. მიხეილ და ანნა იაროსლავსკები სხვა სახლში გადაასახლეს, მათი გარდაცვალების შემდეგ კი „მშობლიურ“ სასაფლაოზე დაკრძალეს და მარმარილოს ძეგლი დაუდგეს. ამაში დიდი წვლილი შეიტანა სოხუმელი აბულაძეების ოჯახმა.

ამის შემდეგ ძმათა სასაფლაოს ელენა პეტრეს ასული ლევინა უვლიდა, მის კეთილშობილურ მისიას თევზის კომბინატი აფინანსებდა. ამ პატრიოტი ებრაელი ქალბატონის მემორიალური მეურნეობა უზარმაზარი იყო. მემორიალში შესვლისას, ფასადის მთელ სიგანეზე, ცემენტის დაშვებული დროშების ქვეშ ყველა დაკრძალულის სახელია. მახსოვს, მათ შორის ებრაული გვარებიც იყო.



როცა მეომრებს კრძალავდნენ, წითელარმიელების უბის წიგნაკებში და ოფიცრების მოწმობებში არ იყურებოდნენ, არ არკვევდნენ ვინ საიდან იყო, რა ეროვნების. ყველას გვერდიგვერდ მარხავდნენ, როგორც ახლობლებს და ნათესავეებს, რომლებმაც ახალგაზრდა სისხლი საერთო, საყოველთაო საქმისთვის დაღვარეს. ძმათა სასაფლაოზე ძალიან ბევრი სახელი იყო ჩამოთვლილი. დაახლოებით 4 000 მეომარი, მათ შორის საბჭოთა კავშირის 6 გმირი.

აქ განისვენებს სერგო თავაძის ორი ბიძა: ტიხონ დანიელის ძე და აკაკი. მასსოვს ძმები აბრამიშვილების, ალთუნაშვილების, აღუმაძეების და სხვების საფლავები. ჩემს ჩანაწერებში აღმოვაჩინე, რომ მემორიალის ფილაზე ამოტვიფრულია სიტყვები: „ეს ძეგლი აღმართულია კომბინატ „გრუზრიბა“-ს, დირექტორი თავაძე ს.ს., კომბინატ „სტროიდეტალი“-ს, დირექტორი კოტრიკაძე გ.ნ., კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, თავმჯდომარე იურჩენკო პ.ი. მიერ, ღ.ი. მოროზოვის პროექტის მიხედვით“. ორიგინალური მემორიალი, მის უკან კი არის სასაფლაო და შორიდანვე ჩანს წარწერა: „გამვლელო, გახსოვდეს! აქ განისვენებენ ჩვენი და თქვენი თავისუფლებისთვის დაღუპული ქართველი მეომრები...“



ჩვენი საქართველოში დაბრუნებიდან მალევე 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო ძმათა სისხლისმკვლეელი ომი აფხაზეთში, რომელმაც დროებით დაჩრდილა ჩემი ყირიმში მგზავრობის მიზანი...

ყირიმის ხორცსაკეპში და არამარტო იქ დაცემული საბჭოთა მეომრები ყოველთვის მკაცრ ათვლას არ ექვემდებარებოდნენ.



ამასთან დაკავშირებით ცნობილ დრამატურგთან, გიორგი მდივანთან ინტერვიუს გავიხსენებ, რომელსაც მოსკოვში შევხვდი. იგი ომის წლებში გაზეთ „პრავდას“ სპეციალურ სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა და იმ დროს ყირიმში იმყოფებოდა. უკანასკნელი იყო, ვინც სასწაულებრივად მოახერხა იმ ჯოჯოხეთიდან თვითმფრინავით გამოღწევა. აი ჩემს ბლოკნოტში ჩაწერილი მისი სიტყვები: «როცა პატარა სიმაღლეზე „კუკუ-რიზნიკით“ გადაუფრინეთ ქერჩის სრუტეს, ზღვა თითქმის არ ჩანდა. ეს სივრცე მთლიანად იყო დაფარული პილოტურებით, ქუდებით, უსაჩიხო ქუდებით... ბევრი დაიხრჩო, სრუტის სანაპირო ზოლი სულ სავსე იყო დაცემული და დაჭრილი მეომრებით, ძირითადად საქართველოდან... ბრძოლებში დასუსტებული 51-ე არმიამ ქერჩის ნახევარკუნძულზე გერმანელების შეჩერება ვერ შეძლო და ქერჩისკენ დაიხია. 16 ნოემბერს კი სასწრაფოდ იქნა ევაკუირებული ტამანის ნახევარკუნძულზე...“

თითქმის ყოველი მესამე დაღუპული ან დაკარგული მეგრძოლი საქართველოდან ომით ამ გადამწვარ მიწაზე დარჩა. ეს კი თითქმის 90 000 ადამიანია! განსაკუთრებულად ტრაგიკული იყო ნაჩქარევად შექმნილი 224-ე მსროლელთა ქართული დივიზიის ბედი, რომელსაც უშიშარი პოლკოვნიკის (გენერალ-მაიორის წოდება 1943 წლის 17 ნოემბერს მიენიჭა) ვალერიან სერგოს ძე ძაბახიძის (1903-1986) მეთაურობით. 1941 წლის 25 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით ეს დივიზია ყირიმში ქერჩის სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობდა, უზარმაზარი დანაკარგი განიცადა.

დავამატებ, რომ გენერალი ყურაშიილი, რომელიც თავის 414-ე დივიზიასთან ერთად 1944 წლის აპრილ-მაისში ყირიმს ათავისუფლებდა, დროდადრო საფრონტო ისტორიებს მიყვებოდა და აღნიშნა, რომ მის დივიზიაში ბევრი ებრაელი იყო, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი: „როგორც წესი, - ამბობდა გენერალი, - ებრაელები არასოდეს ნებდებოდნენ. მშვენივრად ესმოდათ რა ელოდათ ფაშისტურ ტყვეობაში. უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდნენ, ისიც რომ არ ჰქონდათ, ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. ფაშისტებს მხოლოდ უგონოდ მყოფი ებრაელის დატყვევება შეეძლოთ, რომელიც ვერ მოძრაობდა. ამიტომ დივიზიაში ებრაელებს ხშირად ყველაზე სახიფათო ადგილებში ვაგზავნიდით, სადაც სიკვდილამდე იდგნენ...“



რამდენ საიდუმლოს ინახავს მეორე მსოფლიო ომის ისტორია! სულ ახლახანს, დიდი გამარჯვების 74-ე წლისთავისთვის, რუსეთში საიდუმლო გრიფი მოხსნეს ყირიმის გათავისუფლების დროინდელ საბუთებს, კერძოდ დოკუმენტებს სევასტოპოლის ფაშისტებისგან გათავისუფლების შესახებ. წინ იმ საშინელი ომის ახალი ან არ შევსებული ფურცლები გველოდება.

ჩემი 60-წლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე მიწევდა შეხვედრები საბჭოთა კავშირის გამოჩენილ მარშლებთან, მთავარსარდლებთან, ადმირალებთან, დივიზიების მეთაურებთან, ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან. ერთხელაც არ მსმენია არავისგან ებრაელების დალატის ან დეზერტირობის შესახებ. ებრაელი მეომრების გმირობასა და ვაჟაკაცობის შესახებ მსოფლიო კიდევ არაერთხელ გაიგებს!

ვინმეს თუ დაუთვლია რამდენი პოლიტმუშაკი, ძველებურად კი კომისარი ებრაელი იყო ომის იმ წლებში, რომლებსაც მეთაურების უფლებები ჰქონდათ და მათსავით აგებდნენ პასუხს სიცოცხლის ყველა სფეროსა და სამხედრო მოღვაწეობაზე? ისინი ხომ არმიის ყველაზე უშიშარ, მტკიცე და სანდო კადრებად ითვლებოდნენ. ფაშისტებთან სასიკვდილო ბრძოლაში პირველები მიდიოდნენ შეტევაში, ხშირად კი პირველები იღუპებოდნენ.

სწორედ ამ შეუდარებელი სიმტკიცისთვის ეძახდნენ გერმანელები პოლიტკომისრებს „სამჯერ კომუნისტებს“. ისინი თითქოს ფოლადისგან იყვნენ შექმნილები. ტყვედ აყვანისას ფაშისტების ბრძანება ყოველთვის ერთნაირად უღერდა: „ებრაელები და კომისრები, ნაბიჯი წინ“. უდავო ფაქტი იყო, რომ კომისრების თანამდებობაზე უფროსობა პირველ რიგში ირჩევდა ებრაელებს - ყველაზე სანდოებს და განათლებულებს, გამძლეებს.

სტალინგრადის ბრძოლის დიდებული გმირი, გვარდიის გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე კალაძე (1909-1997), რომელიც 1945 წელს მსროლელთა 165-ე დივიზიასთან ერთად ბერლინის გარღვევაში მონაწილეობდა, ომში პირველივე დღიდან მსროლელი 190-ე დივიზიის კომისრის თანამდებობაზე ჩაერთო. ღარიბი გლეხის შვილი, სამტრედიის რაი-



ონის სოფელ კულაშში დაიბადა და გაიზარდა, სადაც მაშინ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. ახლოს ვიცნობდი ამ არაჩვეულებრივ ადამიანს, ბევრჯერ დამიწერია მის შესახებ, რჩევას ვეკითხებოდი. ნიკოლოზ კალაძე ჩემი წიგნის „გენერლებად არ იბადებიან“ და სხვა ნაშრომების რეცენზენტი იყო. მიყვებოდა, რომ ომის გზებზე და საკუთარ სამხედრო ქვედანაყოფებში (განსაკუთრებით მსროლელთა 51-ე დივიზიაში, რომელიც გმირულად იბრძოდა) ხშირად ხვდებოდნენ ებრაელი მეომრები, როგორც თავისი მშობლიური კულაშიდან, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებიდან, მათ შორის პოლიტხელმძღვანელების და მათი მოადგილეების თანამდებობაზე.



ნიკოლოზ კალაძე

საბჭოთა მედიაში ომის ისტორიის გაშუქებისას, მასში ებრაელების მასობრივად მონაწილეობის თემას, რბილად რომ ვთქვათ, გვერდს უვლიდნენ. მაგრამ თუ პოლიტკომისრების - ამ „სამჯერ კომუნისტების“ შემადგენლობას გავანალიზებთ, შეუიარაღებელი თვალთაც დავინახავთ ამ სამხედრო-პოლიტიკურ ფენაში არაერთ ებრაელს, № 1 ებრაელი კომისარ, უშიშარ ლევ ზაქარის ძე მეხლისით დაწყებული (1889-1953). მკითხველს შევახსენებ, რომ იგი არმიის პირველი რანგის კომისარი იყო და 1937-40 წლებში წითელი არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს თაოსნობდა. ომის დაწყებისთანავე ის ამ თანამდებობაზე დააბრუნეს და ამავედროულად სსრკ-ს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნეს. მაგრამ ყირიმის კატასტროფის შემდეგ, რომელშიც მეხლისიც მონაწილეობდა, ის თანამდებობიდან გადააყენეს და მხოლოდ სსრკ-ს თავდაცვის კომისრის მოადგილის პოსტზე დარჩა. მოგვიანებით ლ.ზ. მეხლისი სსრკ-ს სახელმწიფო კონტროლის მინისტრად დაინიშნა. სხვათაშორის, 20-იან წლებში ის ი. ვ. სტალინის თანაშემწე იყო და ბელადის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა.



ჩემს არქივში აღმოვაჩინე ცნობები ცალკეულ პოლიტმუშაკებზე და კომისრებზე საქართველოდან, მათ შორის ებრაელებზეც. ამ თემაზე ბევრი სტატია იქნა გამოქვეყნებული საქართველოდან ებრაელი პოლიტმუ-

შაკების - „სამჯერ კომუნისტების“ კიდევ რამდენიმე გვარი მაქვს. ერთ-ერთი მათგანია დავლაშერაძე იოსებ სოლომონის ძე. პოლიტხელი მამაცი მეომარი იყო, არაერთხელ გაუძღვა მეომრებს შეტევაში შეძახილით: „სამშობლოსთვის! სტალინისთვის!“, ყოველთვის ყველაზე წინ მიდიოდა, პისტოლეტით აწეულ ხელში. ის უგზო-უკვლოდ დაიკარგა ყირიმში, 1942 წლის აპრილში.

ასევე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ყირიმის ბრძოლებში თბილისელი პოლიტხელები - ემანუილ ისაკის ძე როზენგაფტი და აღფრედ აღექსანდრეს ძე ფელდზერი. პოლიტხელი ილია დავითის ძე დანიელოვი კავკასიაში ბრძოლებისას, 1943 წლის მარტის შუა რიცხვებში მოკლეს. თბილისელი მიხეილ დავითის ძე ბენიაშვილი - სატანკო ბატალიონის პოლიტხელი - უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1944 წლის ნოემბერში, პოლონეთის ტერიტორიაზე. ასევე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ქართველი ებრაელები - პოლიტხელები ემანუილ ისაკის ძე და შაია დავითის ძე ზილბერგბერგები, ორივე ომის პირველივე წელს. 1941 წლის აგვისტოში გმირულად დაეცა უფროსი პოლიტხელი იაკობ აბრამის ძე ფელდმანი.

პოლიტხელები აჭარიდან მიხეილ მიდელის ძე შაცი 1943 წლის 26 აპრილს ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლისას მოკლეს, ბორის მარკის ძე ხაზანოვი კი 1945 წელს პოლონეთში. კავკასიისთვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ბატალიონის პოლიტკომისარმა, შემდეგ კი პოდპოლკოვნიკმა ლეონიდ აღექსანდრეს ძე კონონოვიჩმა.

განსაკუთრებით დიდი დანაკარგები „კომისრების გვარდას“ ომის პირველ წლებში ჰქონდა. დაცემულთა შორის ბევრი ქართველი ებრაელი იყო. მათ შორის: ლეონიდ ის-



რაელის ძე ბერიშვილი, ნიკოლოზ აბრამის ძე მამადაშვილი, ბენიამინ სამუელის ძე ხომერიკი, აბრამ ისრაელის ძე მიროვი, მოსე შმულის ძე გოფმანი, ლაზარე მოსეს ძე გორდონი, ილია დანიელის ძე დანიელოვი, ლევ იაკობის ძე ლეჟენი, ისრაელ აბრამის ძე ფელუკოვი, ნაუმ გრიგორის ძე დოლგინი, აბრამ იაკობის ძე რუბა, იოსებ ისრაელის ძე პერცოვსკი, ლაზარ სამუელის ძე გრინბერგი.

ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა თბილისის ვაჟთა მესამე სკოლაში ვსწავლობდი, გაბრიელ ნამთალაშვილს დავუძეგობრდი. ამჟამად ჩემი კოლეგა კარგად არის ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი და მწერალი, რუსულენოვანი ებრაული გაზეთის „26 საუკუნე“-ს რედაქტორი.

სხვათაშორის, ცოტა ხნის წინ გამოიცა მისი არაჩვეულებრივი წიგნი „გასეირნება ფეთხაინში“, რომელიც ერთ-ერთ პირველს მიბოძა სამახსოვრო წარწერით და რომელიც უკვე რამდენჯერმე გადავიკითხე. თუმცა მისგან არასოდეს მსმენია, რომ მისი სახელოვანი უფროსი ძმა ლევანი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა. ამის შესახებ არც თავად ბატონ ლევანს და არც მის მეუღლეს - ექიმ მერის უხსენებიათ, რომელთანაც 60-იან წლებში ქვიშხეთის პიონერბანაკში მომიწია მუშაობა. მისი მეუღლე იქ ხშირად ჩამოდიოდა და არაფორმალურ გარემოში ვსაუბრობდით. ქართველი ებრაელების - ომის მონაწილეების, მათი შვილების, ძმების, თავად მებრძოლეების ეს ხაზგასმული მოკრძალება ბევრ ჩემს კოლეგას, ნაცნობს და მეგობარს ახასიათებს.

ლ. ნ. ნამთალაშვილის (ნამგალაშვილის) ფაშიზმთან ბრძოლის შესახებ ამ წიგნზე მუშაობისას „რუსეთის ებრაული ენციკლოპედიიდან“ გავიგე, რომელიც ცოტახნის წინ მოსკოვში გამოიცა. მაშ ასე, გაბრიელ ნაფტალის ძის უფროსი ძმა 1925 წლის 7 მაისს, თბილისში დაიბადა. ეს ოჯახი ჩემსავით სოლოლაკში ცხოვრობდა. სკოლა-



ლევან ნამგალაშვილი



ში, თანატოლების მსგავსად ლევანი ავიაბოდელების წრემ გაიტაცა. 1941 წლის იანვარში თბილისში, პლენანოვის გამზირზე სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური სკოლა შეიქმნა, სადაც თბილისის პრაქტიკულად მთელ ახალგაზრდობას უნდოდა ჩაბარება. მკაცრი შერჩევის გავლა 16 წლის ლევანს გაუმართლა.

გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე ლევანი ფრონტზე იწვევდა, მაგრამ ასაკის გამო უარი უთხრეს. ერთი წლის შემდეგ ბრძოლის ველზე მოხალისედ წასვლა მაინც მოახერხა. სამწუხაროდ მისი საფრონტო ბიოგრაფიის შესახებ ცოტა რამ ვიცით. იგი კავკასიისთვის ბრძოლაში სადაზვერვო ჯგუფის შემადგენლობაში აღმოჩნდა. გამოირჩევიდა სიმამაცით და სიმტკიცით, პირადად ააფეთქა ხიდი, რითაც მტერს გზა ჩაუხერხა, მიენიჭა საბრძოლო ჯილდოები. ომიდან კონტუზიით დაბრუნდა, 21 წლის ასაკში.

დღეს ლევან ნაფთალის ძე მთელს მსოფლიოში ცნობილია, როგორც ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი წარჩინებული მოღვაწე. სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ღაურვატი, საქართველოს სახალხო არტისტი, „კინემატოგრაფიის ფრიადოსანი“ - აი მის ჯილდოთა არასრული ჩამონათვალი. 1991 წლის აპრილში ისრაელში გადასახლდა და მალე გახდა ქართული კულტურის ელჩი ამ ქვეყანაში. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ეხმარებოდა ახალგაზრდა



კინემატოგრაფისტებს, ბევრი მათგანი მისი სტუდენტი იყო „ვეიკში“. ლევან ნაფთალის ძე 2006 წლის 20 თებერვალს გარდაიცვალა, დაკრძალულია მეუღლის, მერის გვერდით, ისრაელში, ქალაქ რეჰოვატის მახლობლად, ადგილობრივ სასაფლაოზე. ჩვენ კი მისი ჩინებული კინოსურათები დაგვრჩა: „ჯარისკაცის მამა“, „ბებერი მეზურნეები“, „დათა თუთაშხია“, „წიგნი ფიცისა“ და სხვა განუმეორებელი ოპერატორული აღმოჩენები ფილმებში, რომლებიც ქართული კინოს ოქროს ფონდში შევიდნენ.



ფრონტზე ჩემი კიდევ ერთი კლასელის - ნოდარ ჯინჯიხიაშვილის ახლო ნათესავეებიც იბრძოდნენ, რაც ასევე მოგვიანებით შევიტყვე. ებრაელი ბიჭი ფეთხაინიდან დღეს ფართოდ ცნობილი მწერალია. ცხოვრობს და მუშაობს აშშ-ში, სადაც ნოდარ ჯინის სახელით იცნობენ. წელს, ჩემსავით 82 წელი შეუსრულდება. ოცნებობს კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს თბილისში.

ვინ არ იცნობს დღეს მშვენიერ წყვილს - ცნობილ სპორტულ კომენტატორს ჯამლექ ხუხაშვილს და შეუდარებელ ევა ბაბალაშვილს - ქართველ და ებრაელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს, რომლებმაც 2018 წლის იანვარში საერთო თანაცხოვრების ოქროს იუბილე აღნიშნეს. ერთი გვერდიც არ იქნება საკმარისი მათი ტიტულების, წოდებების, ჯილდოების და პრემიების ჩამოსათვლელად. მაგრამ მათი მშობლების და ნათესავეების გმირობაზე მე, როგორც ბევრმა სხვამ, ცოტა ხნის წინ შევიტყვე, ზარების და თხოვნების შედეგად, როცა ამ თემაზე ვმუშაობდი.

ევას მამა - მორდეს ბენიამინის ძე ბაბალაშვილი (1914-1963)

ჯარში ომის პირველივე დღეებში გაიწვიეს. 6 თვიანი კურსების შემდეგ 27 წლის ქართველი ებრაელი სატანკო ნაწილში გადაანაწილეს, რომელიც ყირიმში იბრძოდა. ტანკს მოხვედრილმა ფაშისტურმა ჭურვმა მარცხენა მხარი დაუზიანა, მორდესი სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ მეგობრებმა მამაცი ტანკისტის გადარჩენა მოახერხეს. სახლში ინვალიდად დაბრუნდა, საბრძოლო მედლებით. სტუ-ს ინჟინერ-მშენებლის დიპლომით დასრულების შემდეგ სპეციალობით მუშაობდა. მაგრამ ომიანობამ სერიოზულად დაუზიანა ჯანმრთელობა და ადრე გარდაიცვალა, 50 წლისაც არ იყო. დაკრძალულია ორთაჭალის ებრაულ სასაფლაოზე.



მორდეს ბაბალაშვილი

ომის დასაწყისში 5 ძმიდან უმცროსი - რახმონ ბაბალაშვილი, რომელიც სამსახურს ბელორუსიაში გადიოდა, უმძიმეს



მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბჭოთა მეომრების გმირობის მიუხედავად, ფაშისტებმა სწრაფად მოახერხეს საბჭოთა დივიზიების განადგურება და ომის მეექვსე დღეს მინსკში შესვლა. 1943 წელს რახმონი დაიჭრა. უგონოდ მყოფი ტყვედ აიყვანეს. მერე იყო საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთის ტერიტორიაზე. სასწაულად შეძლო თავისი ებრაელობის დამალვა. სპორტსმენი იყო - მოჭიდავე, ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა და მალე გამოკეთდა. თანაპოლკელთან ერთად რახმონმა ტყვეობიდან გაქცევა შეძლო, თხრილის მეშვეობით. ასე აღმოჩნდა უკრაინის ტყეებში, სადაც პარტიზნებს შეხვდა. ომის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, მერე კი ისრაელში გადასახლდა, სადაც 2010 წელს, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა. ომში იბრძოდა ევა ბაბაღაშვილის ბიძა დედის მხრიდან - ქვეითი იაკობ ილიას ძე ისოშვილი, რომელიც 1943 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ომის პირველივე დღეებში გაიწვიეს ჯარში ჯამლეტ ხუხაშვილის მამა - შალვა ისაკის ძე, რომელიც მოქმედი ჯარის ქვეით არმიაში მსახურობდა. 1942 წელს ყირიმის ცხელ ბრძოლებში კაპიტანი შ.ი. ხუხაშვილი მძიმედ დაიჭრა მარჯვენა



შალვა ხუხაშვილი

ფეხში. სანბატი, ჰოსპიტლები: შეიძლება ითქვას გაუმართლა - გამოცდილ ქირურგებთან მოხვდა, რომლებმაც ფეხი შეუნარჩუნეს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდად დარჩა. პროფესიით ისტორიკოსი იყო, იკავებდა საპასუხისმგებლო თანამდებობებს, მშობლიურ ცხინვალში ოლქის გაზეთის რედაქტორი იყო. გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა თბილისის ზღვის სახელით ცნობილი უზარმაზარი წყალსაცავი შეიქმნა, რაც მთელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ომის ვეტერანი, ორდენ-

ოსანი და პატივცემული შალვა ხუხაშვილი მის პირველ დირექტორად დანიშნეს. იგი 1975 წელს გარდაიცვალა.

ფრონტზე ჯამლეტ ხუხაშვილის ბიძებიც იბრძოდნენ დედის და მამის მხრიდან. მათ შორის იყო პენცინ ისაკის ძე



ხუხაშვილი, რომელიც 1942 წელს ყირიმში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ომის მონაწილეები ჯამლექ ხუხაშვილის და ევა ბაბალაშვილის ცნობილი ებრაეული ოჯახის სხვა ნათესავებიც იყვნენ.

ომის სხვადასხვა ფრონტზე ებრაეული გვარის შათაშვილის რამდენიმე წარმომადგენელი იბრძოდა. მათ შორის საქართველოს ებრაეული საზოგადოებრივი სახლის დირექტორის რევაზ შათაშვილის ნათესავი - უფროსი ლეიტენანტი ისაკ ფილხაზის ძე შათაშვილი, რომელიც ქალაქ ნოვოროსიისკის გათავისუფლებისას, 1943 წლის ოქტომბერში გმირულად დაიღუპა. 1909 წელს დაბადებული გვარდიის ეფრეიტორი ივანე (ვანო) ალექსის ძე შათაშვილი ყირიმში იბრძოდა, იცავდა კავკასიას, შემდეგ კი სტალინგრადის ბრძოლაში მონაწილეობდა. მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები, მათ შორის მედლები „სიმამაცისთვის“, „სტალინგრადის დაცვისთვის“.

ომის პირველივე დღეებიდან ფრონტზე იმყოფებოდა 1905 წელს დაბადებული მიხეილ არონის ძე შათაშვილი. ცნობილია, რომ მამაცი მებრძოლი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და მედლებით იქნა დაჯილდოვებული, გვარდიის წითელარმიელი გიორგი არშლევის ძე შათაშვილი არმიაში 1942 წელს გაიწვიეს, 18 წელი რომ შეუსრულდა. ხანმოკლე კურსების შემდეგ გუშინდელი სკოლის მოსწავლე ფრონტზე გააგზავნეს. ვაჟკაცობისთვის გ. ა. შათაშვილი დააჯილდოვეს მედლით „სიმამაცისთვის“. შათაშვილების გვარიდან ომის წლებში იბრძოდა ვაჟკაცი მეომარი აბრამ დავითის ძე შათაშვილი.



წიგნის მომზადებისას, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში „26 საუკუნე“, ქართულენოვანი გაზეთის „ჟამი ერთობისა“ რედაქტორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ზაირა დავარაშვილის კაბინეტში შემოხვევით შევიტყვე, რომ მისი რამდენიმე ახლო ნათესავი ომის აქტი-



ური მონაწილე იყო. მისი ბიძა - აბრამ იცხაკის ძე პაატაშვილი ჯარში 1941 წელს გაიწვიეს. ქერხთან კონტრშეტევის დროს დაიჭრა, სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ გონების დაკარგვამდე იცავდა თავს. ომის შემდეგ ეკონომისტად მუშაობდა. 4 შვილის მამა ადრე გარდაიცვალა - 39 წლის ასაკში. მისი ერთ-ერთი ვაჟი - ვახტანგ პაატაშვილი - მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. ასევე მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია ერთ-ერთი მისი უმცროსი ქალიშვილი - ლილი აბრამის ასული, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს.

ომის დაჯილდოვებულ მონაწილეთა შორის დავარაშვილების გვარის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი აღმოვაჩინე. ესენი არიან ორდენოსნები: 1920 წელს დაბადებული ეფრემ აბრამის ძე, ლეიტენანტი, დაჯილდოვებულია წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით, მედლით „კავკასიის დაცვისთვის“; აბრამ ზაქარიას ძე 1920 წელს დაბადებული, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი; აკაკი მოსეს ძე 1918 წელი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი; ალექსანდრე დავითის ძე 1913 წელი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი; აკაკი მოსეს ძე 1918 წელი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი; ილია ზაქარიას ძე 1912 წელი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი; მიხეილ იაკობის ძე 1921 წელი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენი; მორდეს ხაიმის ძე 1918 წელი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენი; რუბენ აბნელის ძე 1913 წელი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი; წითელარმიელმა შალვა მოსეს ძემ 1922.15.12 ფრონტზე წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „სიმამაცისთვის“ დაიმსახურა; წითელარმიელები იოსებ სამუელის ძე, მიხეილ იოსების ძე და შალიკო ირაღის ძე დაჯილდოვებულნი იქნენ მედლით „კავკასიის დაცვისთვის“. ყველა მათგანი დავარაშვილის გვარს ატარებდა.

ომის აქტიური მონაწილე იყო მიხეილ იოსების ძე დავარაშვილი. დაიბადა 1911 წელს სურამში. ჯარში 1941 წლის 23 ივნისს გაიწვიეს. ომობდა ყირიმში, კავკასიაში, სტალინგრადში. ორჯერ დაიჭრა, მიღებული ჰქონდა საბრძოლო ჯილდოები. სამწუხაროდ მსროლელთა 61-ე დივი-



ზიის უფროსი სერჟანტის მ. ი. დავარაშვილის მომდევნო ბედი უცნობია. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის ითვლებიან: გაბრიელ მოშე-ხაიმის ძე, რიგითი ბესარიონ ხაიმის ძე (დაიღუპა 1941 წელს), რიგითი ბესკა აბრამის ძე (უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1943 წელს); სერჟანტები ვანო ისაკის ძე (უ. დ. 1942 წელს), ხაიმ ხაიმის ძე (უ.დ. 1942 წელს), სიმონ ისაკის ძე (უ.დ. 1943 წელს), რიგითები სიმონ ხაიმის ძე და შალვა ბეხორის ძე - ორივე 1943 წელს მოკლეს, აბრამ დავითის ძე (1905-1943) - ყველა მათგანი ასევე დავარაშვილი იყო. თბილისელმა ისკა აბრამის ძე ელიაშვილი, ასევე ზაირა დავარაშვილის ნათესავმა, მთელი ომი გაიარა და სახლში ინვალიდად დაბრუნდა. გარდაიცვალა 1967 წელს.


ფრონტზე იბრძოდნენ ჩვენს ქვეყანაში თავისი კეთილი საქმეებით კარგად ცნობილი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის მერაბ შალვას ძე ჩანჩალაშვილის ნათესავებიც. ძმები ილია და შალვა ჩანჩალაშვილები

ომის პირველი თვეებიდან იბრძოდნენ, ომის ქურის ეკლიანი გზა გაიარეს. ილია შალვას ძე - მერაბის ბაბუა და ბაბუის ძმა - შალვა შალვას ძე სახლში გამარჯვებით დაბრუნდნენ. პირველი 1960 წელს გარდაიცვალა, უმცროსი - შალვა კი 1945 წელს. 40 წლისაც არ იყო.



ძმები ილია და შალვა ჩანჩალაშვილები

ომში იბრძოდა მერაბის ბიძა- არონ გაბრიელის ძე ელი-შაკოვი (1922 - 1985). 19 წლისა ჩაერთო სასიკვდილო ბრძოლაში მტერთან, მსროლელთა 224-ე ქართული დივიზიის შემადგენლობაში, რომლის მებრძოლთა უმრავლესობა ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციის (25.12.1941 – 02.01.1942) პერიოდში დაიღუპა. ერთ-ერთ ბრძოლაში, ნადმის ნამსხ-



არონ ელიშაკოვი

ვრეკმა მარჯვენა ფეხი დაუზიანა. საბედნიეროდ, არონ ელიშაკოვი გამოჯანმრთელდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდად დარჩა, ძლიერ კოჭლობდა. მამაცი მეომარი დაჯილდოვებული იქნა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და მედლით „სიმამაცისთვის“.

ბატონ მერაბის კიდევ ერთი ნათესავი - დანიელ ილიას ძე ელიშაკოვი ომში რიგითი იყო, კავკასიისთვის ბრძოლაში დაიღუპა 1943 წლის სექტემბერში. გრანდიოზულ ბრძოლაში კავკასიისთვის მერაბ

შალვას ძე ჩანჩალაშვილის კიდევ ოთხი ახლო ნათესავი მონაწილეობდა - ელიშაკოვები. ყველა მათგანს სერჟანტის წოდება ჰქონდა და ყველანი უზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ: აბრამ მეირის ძე (1943 წ., ნოემბერი), არსენ მორდესის ძე (1944 წ., თებერვალი), ისაკ დავითის ძე (1942 წ., აპრილი) და ექვთიმე მორდესის ძე (1943 წ., სექტემბერი).

მედალ “კავკასიის დაცვისთვის” დაჯილდოვებულთა სიაშია მე-15-ე სამხედრო სარკინიგზო ბატალიონის წითელარმიელი სარდიონ ალექსის ძე ჩანჩალაშვილი. გამორიცხული არ არის, რომ სახელი და მამის სახელი შეცდომითაა დაწერილი. ეს სავსებით შესაძლებელია. 1919 წელს დაბადებული მამაცი მეომარი სარდიონ ალექსის ძე ჩანჩალაშვილი წითელი არმიის რიგებში 1938 წლიდან მსახურობდა. ფაშისტებთან ბრძოლაში ომის პირველ თვეებში ჩაერთო. იგემა უკან დახევის სიმწარე და გამარჯვების სიხარული. იაკობ ჩანჩალაშვილი - მეორე ბელორუსული ფრონტის გვარდიის 43-ე საშტურმო საავიაციო პოლკის ზემდეგი იყო, ამ ფრონტს 1944 წლიდან ლეგენდარული სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი მეთაურობდა, პოლკი ბერლინის აღებაში მონაწილეობდა. დაჯილდოვებული იქნა საბრძოლო მედლებით. სამწუხაროდ, ი. ს. ჩანჩალაშვილზე ცოტა რამ ვიცით.



31 წლის აბრამ შაბათის ძე ჩანჩალაშვილი კარგად იყო ცნობილი ომამდელ თბილისში თავისი კეთილი საქმეებით. კარგი ფეხბურთელის რეპუტაცია ჰქონდა. მოქმედ არმიაში საქართველოს დედაქალაქის კიროვის რაიონის სამხედრო კომისარიატმა 1942 წლის მარტში გაიწვია. მსახურობდა 63-ე არმიის ცალკეულ მექანიზირებულ ბატალიონში, რომელიც 1942 წლის 10 ივლისს შეიქმნა. ამ არმიის მეომრები მამაცად იბრძოდნენ. 1942 წლის 4 ნოემბერს დანაყოფს პირველი დამრტყმელი გვარდიული არმია დაერქვა, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი სახელგანთქმული სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. კუზნეცოვი მეთაურობდა. იმ დროს ეს არმია საბრძოლო მოქმედებებს ჩრდილოეთ-დასავლეთ ფრონტზე აწარმოებდა, მოსკოვსა და ლენინგრადს შორის. საარქივო მასალებში 1942 წელს დაჯილდოვებულთა სია აღმოვაჩინე, რომელშიც აბრამ შაბათის ძე ჩანჩალაშვილია მოხსენიებული. ერთი წლის მანძილზე ის ორჯერ დააჯილდოვეს: მედლით „სიმამაცისთვის“ (ჩანაწერის ნომერი - 22300440) და სამამულო ომის II ხარისხის ორდენით (ჩანაწერის ნომერი - 1510607810).



სამამულო ომის
II ხარისხის
ორდენი

იმავე სიაში ნახსენებია ელიშაკოვების გვარის ორი მეომარი. არონ იაკობის ძე ელიშაკოვი ცხინვალში 1908 წელს დაიბადა. მის ჯილდოებს შორისაა სამამულო ომის II ხარისხის ორდენი, მედალი „სამხედრო დამსახურებისთვის“. გამოცდილი ჯარისკაცი მიხეილ ილიას ძე ელიშაკოვი ომს საკადრო ნაწილებში შეხვდა, დაჯილდოვებული იქნა სამი საბრძოლო მედლით და სამამულო ომის II ხარისხის ორდენით. იგი თბილისში 1913 წელს დაიბადა.

ფრონტიდან გამარჯვებული და უვნებელი დაბრუნდა მერაბ ჩანჩალაშვილის მეზობელი ასაფ (ასე) ნასიმის ძე ჯანიმანოვი (1910-1980) ასე ძია, როგორც მას მიმართავდნენ, ყოველთვის მზად იყო დახმარება გაეწია ყველა მეზობელისა და ნათესავისთვის. სამწუხაროდ მას და მის ოჯახს არ მიეცა



ასაფ ჯანიმანოვი

საშვალემა მშვიდად გაეგრძელე-
ბინა ცხოვრება, „ხალხის მტერის“
ბრალდებით სხვა ერებთან ერთად
მათაც მიწვდა შინსახკომის რეპრე-
სიები, ის და ყველა ირანელი წარ-
მოშობის ებრაელი (რომლებსაც
ჩვენში ლახლუხებს ეძახიან) 50-
ანი წლების ბოლოს გაუფრთხილე-
ბლად, ყოველგვარი მომზადების
გარეშე ერთ ღამეში გამოყარეს
სახლებიდან, შეყარეს სასაქონლო
ვაგონებში და გადაასახლეს ყაზა-
ხეთის ტრამალებში. მგზავრობის
დროს აუტანელი სიცივის და პი-
რობების გამო ადგილამდე ყველამ

ვერ ჩააღწია. დაასახლეს რეზერვაციაში, რომლის დატო-
ვების უფლება არ ჰქონდათ, პირობები კი სიმკაცრით არ
ჩამოუვარდებოდა გერმანული კონცლაგერისას.

სტალინის სიკვდილის შემდეგ მათ მიეცათ უფლება
დასახლებულიყვნენ ყაზახეთის ქალაქებში, აქედან გაჩნდა
თბილისელი ებრაელების დიდი თემი ქალაქ ალმაატაში, სა-
დაც დღესაც კი ცხოვრობს რამდენიმე ათეული ოჯახი, დიდი
ნაწილი კი 80-ან წლებში ისრაელში ავიდა. ასე ჯანიმა-
ნოვი 1959 წელს დაბრუნდა თბილისში, მშობლიურ სახლში
და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის და მისი ოჯახის
ყველა წევრი ყოველგვარი ბოღმისა და ბოროტების გარეშე
აგრძელებდა სიკეთის კეთებას. დაკრძალულია ვარკეთილის
ებრაულ სასაფლაოზე...

კავკასიისთვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე
იყო თბილისის მკვიდრი კინოსტუდია „ქართული ფილმის“
წამყვანი კინოოპერატორი ნიკოლოზ ნაგორნი. 43 წლის
ასაკში იგი მოხალისედ წავიდა ფრონტზე თავის განუყრელ
კინოკამერასთან ერთად, რომელზეც აფიქსირებდა კავკა-
სიისათვის ბრძოლების უნიკალურ კადრებს. ომის დამ-
თავრების შემდეგ იგი კვლავ აგრძელებდა დაუღალავ შრო-
მას კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სადაც გახდა წამყვანი
ოპერატორი. 1967 წელს მიენიჭა საქართველოს კულტურის



დამსახურებული მოღვაწის წოდება. საბრძოლო ჯილდოების გარდა ნიკოლოზ ნაგორნი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი ორდენით.

მამის კვალს გაყვა მისი ვაჟი იგორ ნაგორნი (1933-2020), რომელიც საქართველოს ტელევიზიის დაარსების პირველი დღიდან ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მუშაობდა ტელეოპერატორად. იგი იყო მრავალი საერთაშორისო კინო და ტელე ფესტივალების მონაწილე. მას, როგორც მის მამას, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ძალიან გამიმართლა ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის დასაწყისში. გაზეთ „Вечерний Тбилиси“-ს რედაქციაში ჩემი კეთილი დამრიგებლები იყვნენ ფრონტელები - ორდენოსნები, ლენინგრადის 872 დღიანი დაცვის მონაწილეები ილია მოსეს ძე ბრინერი და სემიონ ვლადიმერის ძე სვერდლინი. პირველი პასუხისმგებელი მდივანი იყო, მეორე კი ქალაქის მეურნეობის განყოფილების გამგე. ჩემთვის ორივე დიდი ავტორიტეტი იყო და არა მარტო ჟურნალისტიკაში, ისე მესაუბრებოდნენ, როგორც თავის ტოლს, რაც მაკვირვებდა და მახარებდა. ყოველთვის ვცდილობდი სიყვარულით და ერთგულებით მეპასუხა.

ს.ვ. სვერდლინთან თანაავტორობაში გამოვეცი ხატოვანი ბუკლეტი „საბჭოთა საქართველო“, რომელიც იმ წლებში სსრკ-ს რესპუბლიკებს შორის საუკეთესოდ აღიარეს. მე და ილია ბრინერი განუყრელები ვიყავით, კარგად ვიცნობდი მის ოჯახს. სიცოცხლის ბოლო წლები მისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო. თუმცა, ებრაული საქველმოქმედო ორგანიზაციის - ხესედის თანამშრომლები ზრუნავდნენ მასზე, მაგრამ მარტოობა ტანჯავდა. მისი მეუღლე - მშვენიერი სოფია ტაგერი, ექიმი, უკვე გარდაცვლილი იყო, ქალიშვილი მარინა კი ოჯახთან ერთად აშშ-ი ცხოვრობდა. ხშირად მივდიოდი მასთან სახლში, სატელეფონო საუბრების გარეშე კი ერთი საღამოც არ გადიოდა. 2009 წელს 92 წლის ილია მოსეს ძე ბრინერი უკანასკნელ გზაზე გადავიდა. დაკრძალულია ნავთლუდის ებრაულ სასაფლაოზე.

ვახსენე რა საქველმოქმედო ორგანიზაცია ხესედი მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ჯოინთის და სოხნუთის წარმო-



მადგენლობები საქართველოში, თბილისის ებრაული სახელი და მასთან არსებული ორგანიზაციები ხესედი, „კლუბი 26 საუკუნე“. ამ ორგანიზაციებს დიდი წვლილი მიუძღვით მთელს საქართველოში ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახებისთვის გაწეული თანადგომისა და საქველმოქმედო საქმიანობისათვის, ამ გაჭირვებულ და არასტანდარტულ სიტუაციაში მათი ხალმძღვანელობა და ყველა თანამშრომელი ახერხებს დაამყაროს უშუალო კონტაქტი ყველა ვეტერანის ოჯახთან და გაიზიაროს მათი ყოველდღიური პრობლემები. ბარაქალა და მადლობა მათ.

„Вечерний Тбилиси“ -ს მშობლიურ რედაქციას ისევ მოვიგონებ და „ინფორმაციის მეფე“ გრიგორი ლევინს გავიხსენებ, რომლის გვარის 9 წარმომადგენელი იბრძოდა ფრონტზე. გამიმართლა, რომ კიდევ ერთი ფრონტელის, მრავალი საბრძოლო ჯილდოთი დანუსხულ პოლკოვნიკ იური ივანის ძე ბენის მეგობარი ვიყავი. ის „მრისხანე“ უწყებაში მსახურობდა - საქართველოს სსრ-ს „კვბ“-ში ყოვლისშემძლე თავმჯდომარის თანაშემწე იყო. ჟურნალისტი და მწერალი ბევრ რჩევას მაძლევდა ჩემს საქართველოს გენერლებისადმი მიძღვნილ წიგნებზე, გამუდმებით ინტერესდებოდა გენერლების სახელების ჩემი ძიების პროცესით, უადვილებდა ამ თემაზე ჩემს სტატიებს სამხედრო ცენზურის გავლას, რომელიც იმ წლებში აბსურდამდე მიდიოდა. გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით და ხშირად ვნახულობდი, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როცა უკვე სიარული უჭირდა. საქართველოს გენერლებზე ჩემი მორიგი წიგნის გამოცემისთანავე 2000 წელს, იური ბენმა მასზე პირველი რეცენზია დაწერა და წინასწარ დაურეკა თხოვნით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორ ალექო ასლანიშვილს, რათა რეცენზია ოპერატიულად გამოექვეყნებინათ. იური ბენი ხშირად გამოდიოდა პრესაში. რამდენიმე წიგნის ავტორია. ყველაფერს ფსევდონიმით „ი. ბენიძე“ აქვეყნებდა.

საფრონტო კორესპონდენტი და მამაცი მეომარი იყო პოდპოლკოვნიკი ი. მ. კეზერაშვილი. თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა კავკასიისთვის ბრძოლაში. შთამომავლებს იმ დღეებზე ფასეული მოგონებები დაუტოვა, რომლებშიც თავისი მეგობრების საფრონტო გმირობები აღწერა. იაკობ



კეზერაშვილი მრავალი წელი იყო თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო მუზეუმის უფროსი, რომელთანაც ყოველთვის იკრიბებოდნენ ომის ვეტერანები.

საქართველოში ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი იყო საფრონტო კორესპონდენტი მ. ბ. ტრასკუნოვი. ომის დროს ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯგუფის ჯარების საფრონტო გაზეთების „ბოევია კრიმსკაია“ და მოგვიანებით „ვპერიოდ კ პობედე“-ს პასუხისმგებელი მდივანი იყო, რომლებიც 4 ენაზე: რუსულად, ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად გამოიცემოდა. ტრასკუნოვმა უკანასკნელი ინტერვიუ ჩამოართვა მე-18-ე არმიის ლეგენდარულ სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძეს, რომელიც მალევე ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც 1944 წლის 22 თებერვალს გარდაიცვალა.



საქინფორმის განყოფილების გამგის თანამდებობაზე ყოფნისას (მაშინ ამ სააგენტოს „გრუზტაგი“ ეწოდებოდა) მარკ ტრასკუნოვი სააგენტოს დირექტორის მოადგილესთან, ჟურნალისტ და მწერალ ზურაბ ლომიძესთან - ფრონტელის შვილთან მეგობრობდა. როცა ომის ვეტერანი, ორდენოსანი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ტრასკუნოვი გარდაიცვალა, ის თბილისში, ნავთლუღის ებრაულ სასაფლაოზე დაკრძალეს. შემდეგ მისი ოჯახი მოსკოვში გადაბარგდა. ეს სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოხდა, მას შემდეგ მისი ქალიშვილი ანნა მარკის ასული თბილისში მამის დაბადების დღეზე ყოველწლიურად ჩამოდის. როგორც წესი, ის ყოველთვის ზურაბ ლომიძის სტუმართმოყვარე ოჯახში ჩერდება ხოლმე...

დავით ბააზოვის დიდი და ცნობილი ებრაული ოჯახიდან, რომლის მრავალმა წევრმაც 30-იან წლებში შსსკ-ს ინკვიზიციის წისქვილი გამოიარა, მეორე მსოფლიო ომის ველებზე ბევრი იბრძოდა. მათ შორის ჩემი უფროსი ძმის



კლასელის და ჩემი მეგობრის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის (2015 წ.), პოეტის, თარჯიმნის და მწერლის ნათან ბააზოვის რამდენიმე ნათესავი. მათ შორის ჰაში ბესარიონის ძე ბააზოვი, რომელიც ჯარში 1941 წლის აგვისტოში გაიწვიეს და რამდენიმე თვეში ყირიმის ყველაზე ცხელი ბრძოლების წიაღში მოხვდა. 1942 წლის თებერვალში კ. ბააზოვი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ასევე უგზო-უკვლოდ დაიკარგა აბრამ ბააზოვი და ძმები ბააზოვები ცხინვალიდან: ფაფაშა სამუელის ძე - მოსკოვისთვის ბრძოლაში, მისი უმცროსი ძმა იოსები კი 1943 წელს კავკასიის მთისწინეთში. დანიილ მოსეს ძე ბააზოვი 1940 წლის 14 ოქტომბრიდან იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში. მაშინ ებრაელი ჭაბუკი ქარელიდან 21 წლის იყო. გმირობისთვის და სიმამაცისთვის დანიელ ბააზოვი დაჯილდოვებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით, მათ შორის „სიმამაცისთვის“. ხანანო შამილის ძე ბააზოვი 1913 წელს ქალაქ გორში დაიბადა. მამაცი მეომარი ერთ წელიწადში ორჯერ დააჯილდოვეს, მათ შორის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

სწორედ ომის თემამ დამაახლოვა გულითად ადამიანთან, რესპუბლიკური გაზეთის „სოფლის ცხოვრება“ რედაქტორთან მიხეილ დანიელის ძე დავითაშვილთან, რომელთანაც მისი სიცოცხლის ბოლო დღემდე ვმეგობრობდი. ამავე თემამ დამამეგობრა არაჩვეულებრივ ადამიანთან საქართველოს სსრ-ს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან მიხეილ ხანანაშვილთან, რომელსაც 2021 წელს 89 წელი შეუსრულდა.



მიხეილ დავითაშვილი ოჯახთან ერთად

მისი დიდი ოჯახიდან ომის ფრონტებზე იბრძოდნენ არტილერიტები დანიელი, ეფრემი და ქვეითი გაბრიელ ხანანაშვილი, რომელიც მცირე მიწაზე ომობდა. აი რა მომიყვა ბატონმა მიხეილმა:




„მაშინ 12 წლის ვიყავი. მიმა ძიას სახლში შემთხვევით აღმოვჩნდი. გამოცდილ ფრონტელს აღფრთოვანებული თვალებით ვუყურებდი. საკაცით შემოიყვანეს. ტკივილგამაყუჩებლები არ შეველოდა. მაგრამ მაინც გამიღიმა მე, ბიჭს...“. მალე მიხეილ დავითაშვილს დიაბეტი განუვითარდა, ფრონტზე მიღებული იარა მთელი ცხოვრება აწუხებდა. მხოლოდ ახლობლების და ნათესავების ვიწრო წრემ იცოდა, როგორ იტანჯებოდა ამის გამო მთელი ცხოვრება.

დღეს აღბათ ერთეულებს თუ ახსოვს, რომ იგი ომამდე საქართველოს რუსულენოვან გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ მუშაობდა. ომის პირველ დღეს, კვირას, 1941 წლის 22 ივნისს მ. დ. დავითაშვილი სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა. დაუყოვნებლივ დაბრუნდა სახლში და უკვე ორშაბათს, შეირობინა რედაქციაში, ჩააბარა მასალა და პირდაპირ სამხედრო კომისარიატში წავიდა, სადაც უკვე იდგა თბილისელი ბიჭების რიგი. ასე მოხვდა მოქმედ არმიაში. მალე კი გაზეთების ფურცლებზე მისი პირველი საფრონტო მასალები გაჩნდა.

ყირიმი. 1942 წელი, მაისი. 398-ე მსროლელთა დივიზია უზარმაზარი დანაკარგებით იხევს უკან, ძლივს აკავენს ფაშისტებს, 10 კილომეტრში კი უკვე ზღვა მოსჩანს. სწორედ მაშინ დანიშნეს მ. დავითაშვილი, როგორც უშიშარი და გამოცდილი ოფიცერი, 821-ე მსროლელთა პოლკის პირველი ბატალიონის პოლიტკომისრად. დაბალი, სუსტი, მაგრამ გამბედავი კომისარი, ხელში აწეული პისტოლეტით გაუძღვა მეომრებს მორიგ იერიშზე... ნაღმების აფეთქებების და სროლის ყიჟინის ფონზე, როცა ველზე დაჭრილი იწვა, ქართულად წარმოთქმული გახარებული „ვაშა“ გაიგონა და გონება დაკარგა. ფეხში ნამსხვრევით მიღებული ჭრილობა სერიოზული აღმოჩნდა. ცხოვრების ბოლომდე ინვალიდად დარჩა.

ამ მამაცი ფრონტელი მეომრის და მადალპროფესიული ჟურნალისტის კეთილ საქმეებზე დიდხანს შეიძლება მოვყვეთ. ჩვენ, ჟურნალისტები, „ფუტკარს“ ვეძახდით. არც დასვენება იცოდა, არც სიმშვიდე. რთული სარედაქტორო დატვირთვის გარდა მიხეილ დანიელის ძე საკმაოდ აქტიური ადამიანი იყო, მონაწილეობდა ომის ვეტერანების თითქმის ყველა საზოგად-



დოებრივ ღონისძიებაში, მისთვის ამ წმინდა თემას ასობით პუბლიკაცია და სტატია მიუძღვნა. თავისი მთავარი წიგნი - მე-18-ე არმიის სახელგანთქმულ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძეზე დაწერა, სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა მის ოჯახთან. მოხარული ვარ, რომ მიხეილ დავითაშვილმა თავისი გულწრფელი მეგობრობის პატივი მარგო. წიგნზე მუშაობისას მე მას გარკვეული ფაქტების მოძიებაში დავეხმარე (გენერალი ლესელიძე ჩემი ოჯახის ნათესავი იყო) და ომის დროინდელი იშვიათი ფოტოსურათი ვაჩუქე - 1943 წლის ნოემბრით დათარიღებული, ნოვოროსიისკის გათავისუფლების შემდეგ გადაღებული, რომელიც 1963 წლის ზაფხულში ლ. ი. ბრეჟნევმა თავისი საყვარელი და პატივცემული სარდლის ვაჟს - ოთარი ლესელიძეს გამოუგზავნა და რომელიც მ. დ. დავითაშვილმა სიხარულით მოათავსა თავის წიგნში...

ჩემდამი კეთილი დამოკიდებულების გამო ყოველთვის დიდი პატივისცემით და მადლიერებით ვიხსენებ ბრწყინვალე ჟურნალისტს, მწერალს და „ლიტერატურული გაზეთის“ საკუთარ კორესპონდენტს ედუარდ ელიგულაშვილს, რომელშიც იშვიათად ერწყმოდა ერთმანეთს სუფთა და უბრალო ადამიანური სიყვარული. ყოველთვის ყურადღებიანი იყო მეორე მსოფლიო ომის დროის თემასთან და ყოველთვის აღნიშნავდა ჩემს პუბლიკაციებს ამ თემაზე. და აი, მხოლოდ ახლა, საარქივო მასალებზე მუშაობისას აღმოვაჩინე მისი ოჯახის ნათესავები, რომლებზეც არასოდეს არაფერი უთქვამს. ესენი არიან სტალინგრადის ბრძოლის აქტიური მონაწილეები - ოფიცრები ბენიამინი იოსების ძე და არკადი დავითის ძე ელიგულაშვილები, ორივე ქუთაისიდან.

ფაშისტებს ებრძოდნენ ჩემი კოლეგის და მეგობრის, არაჩვეულებრივი მიშა ფიხხაძის ნათესავები, რომელიც ჩვენი უახლოესი ურთიერთობის წლებში საკავშირო გაზეთის



«Лесная промышленность»-ის საკუთარი კორესპონდენტი იყო, ახლა ისრაელში ცხოვრობს. ომის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო მისი ნათესავი ხაიმ ფიხხადე.



სტალინგრადის ბრძოლა! რამდენია მასზე დაწერილი, მოყოლილი, გადაღებული... სწორედ იქ და კავკასიისთვის ბრძოლაში წყდებოდა არამარტო სსრკ-ს, არამედ პროგრესიული კაცობრიობის და ებრაელი ერის ბედი - იარსებებს ის თუ არა? ზემოთ უკვე აღვნიშნე - მეორე მსოფლიო ომში ებრაელების როლი ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი, კერძოდ, ქართველი ებრაელების წვლილი ფაშისტური გერმანიის განადგურებაში. მე შეძლებისდაგვარად მხოლოდ პატარა ნაწილი ჩამოვთვალე, მათი გმირობა კავკასიისთვის უმძიმეს და სისხლისმღვრელ ბრძოლაში, როცა მტერი უკვე ხმამაღლა აკაკუნებდა თავისი ავტომატებით ჩვენი სახლების ფანჯრებსა და კარებში. ყოველგვარი პათოსის და გაზვიადების გარეშე შემიძლია გავუსვა ხაზი საქართველოს ებრაელების საერთო სწრაფვას ქვეყნის ყველა მოქალაქესთან ერთად უნგრეველ კედლად დამდგარიყვნენ უმოწყალო მტრის გზაზე. ასევე იყო სტალინგრადში. ამ ბრძოლაში ასობით ქართველი ებრაელი მონაწილეობდა.

ჩემს ხელთ აღმოჩნდა ამ გრანდიოზულ ბრძოლასთან დაკავშირებული ჩანაწერები. ჩემი მეზობლის, ყოფილი კოლეგისა და მეგობრის რობერტ ჩიკვაშვილის ნათესავმა შთამომავლებს იმ მრისხანე დღეების უნიკალური მოგონებები დაუტოვა. საუბარია სტალინგრადის ბრძოლის აქტიურ მონაწილეზე - რუბენ შაბათის ძე ჩიკვაშვილზე, რომელიც 780-ე მსროლელთა პოლკში ქვემეხის 76-ე ქვედანაყოფს



მეთაურობდა. იმ პოლკში არაერთი ქართველი ებრაელი მსახურობდა: იარალის მტენავი ხაიმ ენუქაშვილი, ჭურვების მომწოდებელი ისხაკ თავდიდიშვილი, მსროლელები მაისე ლევიაშვილი, ეფრემ ხანანაშვილი, გაბო ჩახვაშვილი, ყველასთვის საყვარელი მასხარა, ოცეულის მზარეული სერჟანტი ილუშა ჩიკვაშვილი, მუსიკალური ოცეულის მეთაური, მხიარული მუსიკოსი კორიკ შაულოვი და სხვები.

1942 წლის ივლისი. რუბენ ჩიკვაშვილის პოლკი, სადაც იგი მსახურობდა დონის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა. პოლკის საბრძოლო ამოცანა - არ მისცენ მტერს ვოლგისაკენ, სტალინგრადისკენ გარღვევის საშუალება. სწორედ იმ ცხელ დღეებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გარიკ გორელაშვილმა, რომელმაც ერთი დღის განმავლობაში პირდაპირი დამიზნებით გამოიყვანა მწყობრიდან 4 გერმანული ტანკი და 20-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა. გვერდიგვერდ მამაცად ებრძოდნენ მტერს ხაიმ ენუქაშვილი და ისხაკ თავდიდიშვილი. არ ჩამორჩებოდნენ მათ მსროლელები მაისე ლევიაშვილი და ეფრემ ხანანაშვილი, რომლებიც ავტომატებიდან ცეცხლს ასხამდნენ მტრულ სამიზნეებს. 1942 წლის 26 ივლისს პოლკმა ორი შეტევა მოიგერია. თუმცა ძალები არათანაბარი იყო. პოლკი იძულებული გახდა დიდი დანაკლისით დაეთმო თავდაპირველი პოზიციები. ერთ-ერთი გამოსტომის დროს გაბო ჩახვაშვილმა შეუმჩნევლად შეძლო ფრიცებთან გადასვლა და მათ სანგრებს ყუმბარები დაუშინა. ჭეშმარიტი სიმამაცე!

მდგომარეობა უფრო გართულდა 1942 წლის აგვისტოში. განსაკუთრებით დიდ უსიამოვნებებს უქმნიდნენ სტალინგრადის დამცველებს ფაშისტური ფასკუნჯები, რომლებიც გამუდმებით ბომბავდნენ საბჭოთა მოწინავე პოზიციებს.



ფაშისტებმა ჩვენი დაცვის გარღვევა რამდენიმე ადგილას მოახერხა და წნეხი გააძლიერა. ჩვენებს თითქოს ძალები ელეოდათ. ერთი მეორეს მიყოლებით მწყობრიდან გამოდიოდა ტექნიკა,



არ ყოფნიდათ ჭურვები, ტყვიები, ყუმბარები, საკვებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მაშინ მტერი საბჭოთა ძალებს ჰაერშიც და მიწაზეც ჯაბნიდა. მძიმე ბრძოლები მიდიოდა სოფლებთან მალინოვკა და კარპოვკა, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდნენ. მათ გვერდით ფაშისტური აეროდრომი იყო. იქ ნამდვილი ტრაგედია დატრიალდა. ღამის ბრძოლაში სოფელ კარპოვკასთან მტერმა დაღლილების და ძაღვამოცლილების წინააღმდეგ ასზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი გამოიყვანა.

ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ ჩვენი ძმები-თანაპოლკელები გარიკ გორელაშვილი, გაბრიელ ჩახვაშვილი, ხაიმ ენუქაშვილი და ეფრემ ხანანაშვილი. მტერთან ყველა დაპირისპირებაში მონაწილეობდა მათი მხიარული მეგობარი ილუშა ჩიკვაშვილი, რომელიც ყველას მისი მხიარული ხასიათის და რაც მთავარია, გემრიელი საჭმლის გამო უყვარდა. ასეულის მზარეული ყოველთვის ახერხებდა საკვების ბრძოლის წინა ხაზზე მიტანას, უწყვეტი სროლის და დაბომბვების მიუხედავად, ყოველთვის მზად იყო ანეკდოტის მოსაყოლად და ყველაზე რთულ მომენტშიც შეექმლო თანაპოლკელების გამხსნევა. სექტემბერში მტერმა ახალი შეტევა დაიწყო. ამ პოზიციების გადაღახვის შემდეგ ფაშისტები შევიდნენ სტალინგრადში და ბრძოლებს უკვე ქალაქის ქუჩაში აგრძელებდნენ. ავიაციამ უწყვეტლად ბომბავდა საბჭოთა ჯარს. მაგრამ სიჩუმის უიშვიათეს მომენტებში თანამემამულეებთან თავის მუსიკალურ ოცეულთან ერთად ჩნდებოდა ქუთაისელი ებრაელი ზორიკ შაულოვი და საყვარელი მელოდიებით აათმაგებდა უსაზღვროდ დაღლილი მეომრების ძალებს. ერთ-ერთი ასეთი საფრონტო კონცერტის დროს ზორიკ შაულოვი მძიმედ დაიჭრა ნამსხვრევით. 1942 წლის სექტემბრის ბოლოს გერმანელებმა მორიგი იერიში განახორციელეს. მტრის ტანკების ცეცხლმა ჩვენი ქვემეხის დანაყოფი მწყობრიდან გამოიყვანა. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრნენ იცხაკ თავდიდიშვილი და რუბენ ჩიკვაშვილი...“.

მათთან ერთად სტალინგრადის ბრძოლაში ასობით საქართველოს ებრაელი მონაწილეებდა. აი ზოგი მათგანი: ჩიკვაშვილი ბორის დანიელის ძე და რუბენ იოსების ძე - ორივე



დაიღუპა პირველი სტალინგრადში 27.09.1942, მეორე კი ბელორუსიის გათავისუფლებისას, 18.08.1944.

სტალინგრადის ბრძოლის აქტიური მონაწილეები ასევე იყვნენ 1943 წელს დაღუპული უფროსი ლეიტენანტები ჯანაშვილი მიხეილ მოსეს ძე, ელიგულაშვილი ბენო იოსების ძე, იაკობიშვილი ისრაელ ბენ-ისრაელი; ქუთაისელი რიგითები: წიწუაშვილები იონა ჰაიმის ძე და დანიელ გაბრიელის ძე, რიჟინაშვილი მიხეილ გაბრიელის ძე, რომელიც 20 წელი იყო ქუთაისის საშუალო სკოლის დირექტორი, ცხინვალის საშუალო სკოლის დირექტორი მანაშეროვი იოსები მორდების ძე, რომელიც 1943 წელს ტყვეობაში აღმოჩნდა ბელორუსიაში, მერე კი პოლონეთში საკონცენტრაციო ბანაკში იყო - მისი შემდგომი ბედი უცნობია; სოხუმელი ფიჩხაძე ევრემ აბრამის ძე, ახალციხელი გორელაშვილი შალომ ფინხაზის ძე, სურამელი ალელიშვილი დავით მენახის ძე, მირილაშვილი ხაიმ დავითის ძე. ბათუმიდან - ორდენოს-



ანი მიხელაშვილი მენაშე იაკობის ძე (1905-1974), პაკენტრიგერი მოსე აბრამის ძე (1918-1958) და შიხმანი მიხეილ გრიგორის ძე (1905-1984), რომლებიც ბათუმის ებრაულ სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი. სტალინგრადის ბრძოლაში დაიღუპა სამხედრო ექიმი დავით სურამელი. ილია ბუზუკაშვილმა სტალინგრადიდან ბერლინამდე გაიარა გზა. დიას, სტალინგრადი ნამდვილად ფოლადის ქალაქი იყო. ზოგ ახალწვეულს სამხედრო ფიცის დადება პირდაპირ მის სანგრებში მოუწია.

დიდი ხნის წინ ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქმა, მწერალმა ზურაბ ლომიძემ სტალინგრადის ბრძოლაში საქართველოდან წასული მეომრების შესახებ შესანიშნავი წიგნი დაწერა. მან აღწერა სასტიკი ბრძოლა გერმანელების დაბომბვების სასწაულებრივად გადარჩენილი ოთხ სართულიანი საცხოვრებელი სახლისთვის, პენზის ქუჩის 61 ნომერში, რომელიც ისტორიაში „პავლოვის



„პავლოვის სახლი“

სახლის“ სახელით შევიდა და რომელსაც გვარდიის მე-13-ე მსროლელთა დივიზიის გადარჩენილი მეზობლები სერჟანტ იაკოვ ფიოდორის ძე პავლოვის თაოსნობით იცავდა. 6 ეროვნების 24 მეომარი მტკიცედ იცავდა თავს ამ სახლში, იგერიებდნენ ფაშისტების უწყვეტ იერ-

იშებს და შენობას 1942 წლის 27 სექტემბრიდან 1943 წლის 12 მარტამდე ინარჩუნებდნენ. 1945 წლის 27 ივნისს იაკობ პავლოვს (1917 – 1981) საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. 24 მამაც მეომარს შორის იყვნენ მეზობლები საქართველოდან - ქართველი სტაფანოშვილი, აფხაზი ცუგბა და ებრაელი მოშიაშვილი.

არანაკლებ საინტერესოა მისი ნათესავის ქარელელი დანიელ მოშიაშვილის ბედი – რომელიც გმირულად იბრძოდა სტალინგრადში. დანიელ მოშიაშვილი დაიბადა 1919 წელს, ჯარში კი 1938 წელს გაიწვიეს.

გამოიარა ფინეთის ომი, რომლის დამთავრების შემდეგ სახლში აპირებდა დაბრუნებას, როცა გერმანიასთან დაიწყო ომი. ნაღმმტყორცნელთა პოლკის ზემდევის წოდებაში ჩაერთო ფაშისტებთან სასიკვდილო ბრძოლაში, ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა და ჰოსპიტალში იწვა. შემდეგ მოსკოვის დაცვაში მონაწილეობდა. მერე კი იყო სტალინგრადის ეპოპეა. კვლავ დაიჭრა. 1943 წლის თებერვალში მწყობრში დაბრუნდა. ისევ ბრძოლა. 1944



დანიელ მოშიაშვილი

წლის აგვისტოში მესამედ დაიჭრა, მაგრამ ამჯერად მძიმედ. ნაღმის ნამსხვრევებმა მარჯვენა ფეხი დაუზიანა. არსებობდა ამპუტაციის რისკი, მაგრამ გაუმართლა. თუმცა სიცოცხ-




ლის ბოლომდე ინვალიდად დარჩა. ერთი წლის შემდეგ, 1946 წლის მაისში დანიელ მოშიაშვილი დამსახურებულად დააჯილდოვეს ჯარისკაცების უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – წითელი ვარსკლავის ორდენით, მე-3 ხარისხის დიდების ორდენით, რომელიც მისი საბრძოლო მედლების რიცხვს შეემატა, რომელთა შორისაც იყო მედალი „სტალინგრადის დაცვისთვის“, რომლითაც ძალიან ამაყობდა. სახლში სხვა ომი ელოდა. უფროსობას მისი გულმოდგინება და პირდაპირობა არ მოსწონდა და ხშირად ეკამათებოდა. წლების მანძილზე იდგა საცხოვრებელი სახლის მიღების რიგში. როგორც იქნა ახალი ბინის გასაღები გადასცეს, სადაც ომის ვეტერანი ფეხის თრევით, გაჭაღარავებული და დაბერებული შევიდა. იყო ქარელის ებრაული თემის წინამძღოლი, სამწუხაროდ იმ დროინდელი ე/წ „ობხსს“-ს მეშვეობით ცდილობდნენ მასზე ზემოქმედებას, გამოგონილი ბრალდებით აღძრეს საქმე მის წინააღმდეგ და ჩხრეკის დროს ბინიდან სხვა და სხვა ნივთებთან ერთად წაიღეს მისი საბრძოლო ჯილდოები, რომლებიც ოჯახის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად არ დაუბრუნეს და უგზო-უკვლოდ გააქრეს. ომის გმირი დანიელ არონის ძე მოშიაშვილი გულნატკენი ჩუმად გარდაიცვალა, ისევე როგორც ცხოვრობდა, 1981 წელს. აი ასეთი სევდიანი ისტორიებიც იყო.

სტალინგრადისთვის იბრძოდა ბათუმელი ებრაელი ვა-



სილ მარკის ძე სუპრიჩევი (1912.17.01 - 1968.27.10). გამნაღმველთა ნაწილებში მსახურობდა. არაერთი ათეული სხვადასხვა ფაშისტური ნაღმი გააუვნებლა. ამბობენ, გამნაღმველი მხოლოდ ერთხელ ცდებო.

შეიძლება ითქვას ჩვენს თანამემამულეს ძალიან გაუმართლა. აფეთქების გამო მარცხენა ხელი დაკარგა. 1943 წლის დეკემბერში სახლში საბრძოლო ჯილდოებით დახუნძული ინვალიდი დაბრუნდა. ბათუმში მღებავად მუშაობდა. ვასია ძია, როგორც მას ქალაქელები ეძახდნენ, უყვარდათ სიკეთისთვის და პატიოსნებისთვის. ის დღესაც ახსოვთ.



იაკობ აბრამიშვილი

სტალინგრადიდან ბერლინამდე - ეს გზა ღირსეულად გაიარა 1914 წელს დაბადებულმა იაკობ (იაშა) შიმეონის ძე აბრამიშვილმა, რომელიც მთელი ომის 1941-1945 წლების განმავლობაში წინა ხაზზე იბრძოდა თავგანწირულად. ოჯახს იგი მრავალი საბრძოლო ჯილდოებით დაუბრუნდა მაიორის წოდებით. 64 წლის ომისა და შრომის ვეტერანი გარდაიცვალა 1978 წელს თბილისში.

ბოლო, 2020 წლის დაზუსტებული მონაცემებით, სტალინგრადის ბრძოლაში სსრკ-მ 100 000 მეომარი დაკარგა, მხოლოდ უფალმა იცის რამდენი იყო დასახინრებული და დაინვალიდებული. მედალს „სტალინგრადის დაცვისთვის“ მართლაც ძვირი ფასი ჰქონდა!

ქუთაისელ ვეტერან ზებულონ აბრამის ძე ციციაშვილს მშობლიურ ქალაქსა და ფრონტზე სიყვარულით „მარშალ როკოსოვსკის“ ეძახდნენ. მამაცმა მეომარმა გამოიარა ცეცხლოვანი ყირიმი, კავკასიის მთისწინეთი, ნახევარი ევროპა, სანამ ფაშისტური მხეცი თავისივე ბუნაგში - ბერლინში არ გაანადგურა. სამჯერ დაიჭრა, ბრძოლაში მარჯვენა ხელის 3 თითი დაკარგა. გმირობისთვის და მეთაურის რანგში წარმატებისთვის ი. ბ. სტალინისგან მაღლობის 24 (!) წერილი მიიღო. პოდპოლკოვნიკ ციციაშვილის მკერდს რამდენიმე ორდენი და მედალი ამშვენებდა.

სტალინისგან მაღლობის 9 წერილი დაიმსახურა ასევე ქუთაისელმა, ეფრეიტორმა ალექსანდრე დავითის ძე სარიშვილმა. მის საფრონტო სიაშია აქტიური მონაწილეობა კავკასიის, ყირიმის, უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის გათავისუფლებისთვის და გამარჯვების ბრძოლები გერმანიაში.

თითქმის ასეთივე საბრძოლო გზა გაიარა ახალციხეში 1908 წელს დაბადებულმა ილია ეუშვაყის ძე კეზეროტიმ. იგი ადრეულ ასაკში დაობლდა და უფროსი დის ოჯახში იზრდებოდა. ომის დაწყების დროს, უკვე სამხედრო ოფიცერი, სპეციალური მისიით იყო ირანში, საიდანაც სასწრაფოდ



ილია კეზეროტი

გადმოისროლეს ფრონტის წინა ხაზზე, საავიაციო პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის გათავისუფლებაში და ისე მიაღწა ბერლინს რომ მთელი ომის განმავლობაში ერთი ნაკაწრიც არ მიუღია. ბერლინის აღების შემდეგ კი 1948 წლის ბოლომდე იკავებდა გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა საავიაციო პოლკის ტექნიკური ნაწილის უფროსის თანამდებობას. დაჯილდოვებულია 10-

ზე მეტი საბრძოლო ორდენით და მედლებით, მრავალჯერ აქვს მიღებული უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ. სტალინის მადლობის სიგელი. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში დაოჯახდა და შეეძინა ორი ვაჟი. ილია ეუშვაყის ძე კეზეროტი გარდაიცვალა 1988 წელს, დაკრძალულია თბილისის ებრაულ სასაფლაოზე.

ახალციხიდან გაიწვიეს ფრონტზე კაცოშვილი გაბრიელ აბრამის ძე (1909-1986), როკეტლიშვილი იონათანი (1907-1995), კაცობაშვილი ხაიმი, ხასიდაშვილი ილო, დავარაშვილი ბესო (ბესკა) აბრამის ძე, დავარაშვილი მორდეხი და მრავალი სხვა ახალგაზრდა, რომელთაგან ბევრი ვერ დაბრუნდა მშობლიურ სახლში.

თბილისელი ებრაელი დავით ილიას ძე კაჟილოტი - ჩემი კარგი მეგობრის და კოლეგის, შალვა კაჟილოტის ახლო ნათესავი, ომის პირველივე დღეებიდან იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე მექანიზირებული ბრიგადის შემადგენლობაში. ომის შემდეგ 28 წლის ოფიცერი, რომლის მეკრდსაც ამშვენებდა წითელი დროშის ორდენი, წითელი ვარსკვლავის 2 ორდენი, სამამულო ომის ორდენი, 4 საფრონტო მედალი, სახლში დაბრუნდა. დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

სამწუხაროდ საქართველოში ცოტა რამ იციან მამაცი ქართველი ებრაელის, 1944 წლის ზაფხულში ბელორუსიის გათავისუფლების გრანდიოზული სამხედრო ოპერაცია „ბაგრა-



ტიონის“ მონაწილე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილის პოდპოლკოვნიკ ილია იოსების ძე მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს გმირული საფრონტო ბედის შესახებ. პოდპოლკოვნიკმა დი-



ვიზიის მოწინავე ნაწილებთან ერთად თავი გამოიჩინა ცხარე ბრძოლებში ქალაქ პოლოცკისთვის. ფაშისტების მრავალრიცხოვანი გარნიზონი დაამარცხა და 5000-მდე ჰიტლერელი გაანადგურა. სამწუხაროდ, უშიშარი ოფიცერი ილია იოსების ძე მაღალაშვილი გმირულად დაეცა პოლოცკის გათავისუფლების დროს. დიდი ლიტვური სამთავროს ამ ძველი დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, დაკრძალულია ძმათა სასაფლაოზე.

მე და ჩემი შვილი გიორგი, რომელიც ახლა მინსკში ცხოვრობს, პოლოცკში წავედით, ყვავილები მივიტანეთ ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულის საფლავზე, რომლის სახელსაც ქალაქის ერთ-ერთი უღამახესი ქუჩა ატარებს. ცნობილია, რომ ილია იოსების ძე მაღალაშვილი თბილისიდან იყო. ომმა საკადრო ნაწილებში მოუსწრო, როცა უფროსი ლეიტენანტის წოდებას ატარებდა. მრავალი ბრძოლის მონაწილეა, დაჯილდოვებული იქნა წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით, მედლებით...

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ რაც ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ამჟამად „პიონერ-ფილმის“ ხელმძღვანელის გრიგოლ ჩიგოვიძის სახლში, რომელიც მაშინ პირველი მაისის ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც ბევრი ებრაელი ბინადრობდა, მისი მეზობელი გავიცანი - გამოცდილი ფრონტელი ებრაელი ალექსანდრე (შურა) მუსიევი. მასზე და მის საბრძოლო მეგობრებზე არაერთხელ დამიწერია. უფროსი ლეიტენანტი ა. მუსიევი ბავშვთა სახლის აღსახურდელი იყო, ომამდეც რთული ცხოვრება ჰქონდა. ფრონტზე 337-ე მსროლელთა დივიზიის 1197-ე პოლკში მსახურობდა,



რომელიც მტერთან მძიმე ბრძოლებში იყო ჩართული თერგის მარჯვენა ნაპირზე. ეს 1942 წლის ზაფხულში იყო, როცა გერმანელები კავკასიის მთისწინეთში აღმოჩნდნენ. სხვათაშორის, მაშინ ფაშისტურმა არმიამ კავკასიისკენ ყველაზე გრძელი გზა გაიარა და ბევრი სტრატეგიული ობიექტის დაპყრობა მოასწრო. აგვისტოს ბოლოსთვის ჩვენი გმირის პოლკი გენერალ კ. ნ. ლესელიძის 47-ე არმიის შემადგენლობაში შეიყვანეს. სამთო პირობებში ბრძოლების შემდეგ ა. მუსიევი ორ საზღვაო დესანტში მოხვდა - ბრძოლებში „ცეცხლოვან მიწაზე“ ელსტიგენში და ქალაქ ნოვოროსიისკის გათავისუფლებისთვის 1943 წლის ოქტომბერში, უკვე ცნობილი მე-18-ე არმიის შემადგენლობაში. კიდევ ერთხელ დაიჭრა და მოსკოვის ჰოსპიტალში იწვა. ექიმებს მისი სიცოცხლის უნარიანობა აოცებდა. თბილისელი ებრაელის სხეულზე 14 (!) იარა დაითვალეს. ვაჟკაცმა ოფიცერმა სისხლით დაიმსახურა საბრძოლო ჯილდოები: წითელი დროშის ორდენი, სამამაული ომის 2 ორდენი, მედლები. სიცოცხლის ბოლო წლები ისრაელში გაატარა, იქვეა დაკრძალული.

ომი რომ დაიწყო სიმონ მამისთვალოვი გორის საშუალო სკოლის მე-10-ე კლასს ამთავრებდა. უფროსი ძმები, მეზობლები, ნაცნობები გაწვევით ან მოხალისეებად გაემგზავრნენ ფრონტზე. სიმონს უარი უთხრეს - ასაკის გამო. მალე გორი დაცარიელდა - ყველა ფრონტზე წავიდა, დარჩნენ მხოლოდ პატარები, მოზარდები, ქალები და მოხუცები. ახალ, 1942 წელს ჭაბუკმა თავისას მაინც მიაღწია. 5 თებერვალს ჩაიცვა სამხედრო ფორმა, მაგრამ ფრონტზე კი არ მოხვდა, რაზეც ოცნებობდა, არამედ დაზვერვის საარტილერიო გურჯაანის სკოლაში. რამდენიმე თქვეში სიმონი საბრძოლო მოქმედებების წიაღში აღმოჩნდა. გავიდა დრო. გორელი ბიჭი სსრკ-ს ტერიტორიაზე შექმნილ ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონურ დივიზიაში მიავლინეს. აქ მასთან ერთად რუსები, უკრაინელები, ქართველები, ებრაელები, თათრები მსახურობდნენ, მერე კი ბრძოლები პოლონეთის მიწაზე გაგრძელდა.

1945 წლის 17 იანვარს დივიზია გამარჯვებით შევიდა ვარშავაში. ვაჟკაცობასა და გამბედაობისთვის სიმონ მამისთვალოვი პოლონეთის გმირის გრუნვალდის ნიშნით



- „ოქროს ჯვრით“... და 10 ჰექტარი მიწით და მამულით დააჯილდოვეს. გამარჯვების დღეს სიმონი ბერლინის მისადგომებთან შეხვდა. გორის მუზეუმის სტუმრები დღესაც დიდი ინტერესით აკვირდებიან

ომის გმირის სიმონ მამისთვალისადმი მიძღვნილ სტენდს. მამაცი ვეტერანი მშობლიურ გორშია დაკრძალული.

წინა გვერდზე მე-18-ე არმია აღვნიშნეთ, რომელიც კავკასიისთვის ბრძოლაში მონაწილეობდა კ. ნ. ლესელიძის თაოსნობით, რომელიც ბრძოლის დასაწყისში 46-ე არმიას სარდლობდა. სწორედ ამ არმიამ ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი კავკასიის თავდაცვაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა კავკასიაში 1942 წლის ზაფხულში შეიქმნა, როცა აქაურობას მთელი სიმძლავრით მოაწვა 300 000 ფაშისტური არმია - არმიათა ჯგუფი „ა“. ამ პერიოდისთვის მტერმა ჩრდილოეთ კავკასიის სივრცეზე გასვლა მოახერხა, დაიკავა სანჩაროს, ქლუხორის და მარუხის უღელტეხილები და მრავალი სხვა. უკვე მოგვიანებით გაირკვა, რომ უღელტეხილების შესახებ, რომელთა უმეტესობა საბჭოთა სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკებზე არ იყო დატანილი ბერლინში ინფორმაცია გერმანელმა ჯაშუშმა გადასცა, რომელიც ომამდე დიდი ხნით ადრე ნატურალისტის სახით იყო შეგზავნილი, თითქოს და კავკასიის ბუნებას სწავლობდა.


სწორედ ამ კრიტიკულ პერიოდში, 1942 წლის 28 ივლისს გამოსცა ი.ვ. სტალინმა ცნობილი ბრძანება №227, უფრო ცნობილი როგორც „არც ერთი ნაბიჯით უკან!“, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეა-





სრულა საბჭოთა მეომრების სულისკვეთების ამაღლებაში, განსაკუთრებით კავკასიისთვის ბრძოლაში, გმირული სტალინგრადის შერკინებაში.

1942 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში მტერმა სანჩაროს უღელტეხილი გადაიარა და პირველად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში - შემოაბიჯა აფხაზეთის მიწაზე, დაიკავა სოფელი ფსხუ, მერე კი ახლომდებარე დასახლებები. იმის მიუხედავად, რომ ფაშისტები აქ 10 დღეზე დიდხანს ვერ გამაგრდნენ, მსხვერპლი არც თუ ისე ცოტა იყო. ჯერ კიდევ 1942 წლის 22 ივლისს სოხუმში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. აგვისტოს შუა რიცხვებში ფაშისტურმა თვითმფრინავებმა ქალაქის დაბომბვა დაიწყეს. შედეგად განადგურებული იქნა 70-მდე ნაგებობა და საცხოვრებელი სახლი, თავდაცვის დანიშნულების რამდენიმე ობიექტი და დაზიანდა პორტში მდგომი რამდენიმე ხომალდი, მათ შორის ორთქმავალი დაჭრილი მეომრებით...



რაფაელ მესენგისერი

ამ საშიშ დღეებში დანარჩენებთან ერთად სიკვდილამდე იბრძოდნენ აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს ებრაელებიც, ფრონტზე მოხალისეებად წასულები ან გაწვეულები. უკვე ხსენებული 10 წლის ბიჭის რაფაელ მესენგისერით დაწყებული და კ.ნ. ლესელიძის სარდლობის 46-ე არმიის, რომლის შტაბიც სასწაფოდ გადაიტანეს ქალაქ ქუთაისიდან სოხუმში, საკადრო ოფიცრით 43 წლის თბილისელი ებრაელის კაპიტან ლევ იაკობის ძე ვინოგრადოვით

დამთავრებული, რომელმაც ამ ბრძოლებში მძიმე ჭრილობა მიიღო.


სწორედ ამ ტრაგიკულ დღეებში სხვებთან ერთად დაიღუპნენ ებრაელები აფხაზეთიდან: 18 წლის აბრამ ვენციანის ძე აბრამოვი, მეზღვაური არონ ისაკის ძე ბაკში, ლეიტენანტი ლევ ნაუმის ძე ნოგინსკი, 17 წლის მოხალისე აბრამ (აბრაშკა) მოსეს ძე შმუკლერი და მრავალი სხვა.



სოხუმელი ფელდშერი ციცილია სიმონის ასული როზენი მშობლიური მხარის მცველთა რიგებს 26 წლის ასაკში შეუერთდა. მამაცი გოგონა არათანაბარ ბრძოლაში გმირულად დაეცა 1942 წლის 16 ივლისს. 10 დღის შემდეგ იქვე დაიღუპა მისი ბიძაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე როზენი. რომელიც მხოლოდ 20 წლის იყო. ისინი და მათნაირი გმირები მაშინ კავკასიას იცავდნენ...

დღემდე მახსოვს დაუვიწყარი დღეები, როცა 1982 წლის 9 მაისს სოხუმში საზეიმოდ გაიხსნა კავკასიის დამცველების ძეგლი. თითქოს უცნობის ჯარისკაცის საფლავთან აფხაზეთის მთელი მოსახლეობა შეიკრიბა. ჩემი მეგობრის, აფხაზეთის ასსრ-ს სამხედრო კომისრის და სოხუმის გარნიზონის უფროსის გენერალ ლერი აბაშიძის სტუმარი ვიყავი. მერე სოხუმის №10 რუსულ სკოლაში დაგეგმატიყეს, რომლიდანაც ფრონტზე 50-მდე კლასდამთავრებული წავიდა. ბევრი სახლში დაჭრილი დაბრუნდა, 11 ადამიანი კი ფაშისტებთან ბრძოლას გმირულად შეეწირა. მათ საპატივცემოდ სკოლაში სამახსოვრო დაფა დაამონტაჟეს. ჩემს უბის წიგნში მათი სახელები შემოინახა. მათ შორის იყვნენ ფრიადოსანი აბრამ ანანის ძე მელამერსონი და ალექსანდრ ისაკის ძე ფეიფერი...

კავკასიისათვის ბრძოლებში მონაწილეობდა მიხეილ იაკობის ძე გელერი (1913–1992) ოდესაში დაბადებული 1919 წლიდან, ჯერ კიდევ ბავშვი, მშობლებთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. იგი 1941 წლის ივნისიდან 1954 წლამდე მსახურობდა ჯარში და აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, ასევე მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვების“, „საბჭოთა არმიისა და ფლოტის 30 წელი“, „საბრძოლო სამსახურისათვის“. და-



მიხეილ გელერი

კრძალულია თბილისში, ნავთლუღის ებრაელთა სასაფლაოზე. წილად მხვდა ბედნიერება გამეცნო არაორდინარული ბედის მქონე ადამიანი - ბორის ზაალიშვილი. ჯერ კიდევ



გერმანიასთან ომამდე ებრაელი ჭაბუკი ბრესტში მსახურობდა, სადაც ომმა მოუსწრო. ბრესტთან ბრძოლებზე ისედაც ბევრია ნათქვამი. იქ ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. მერე კი მძიმე უკან დახვევის მწარე დღეები... 1945 წლის დასაწყისში ბორისი მზვერავთა ჯგუფთან ერთად პოლონეთში გადაისროლეს, ომობდა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში დაიჭრა. რამდენიმე თვე იწვა ჰოსპიტალში, სადაც შეხვდა ნანატრ გამარჯვების დღეს. შუა ზაფხულში თავის ნაწილთან ერთად შორეულ აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა, სადაც იაპონელებთან ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მშობლიურ საქართველოში 1945 წლის დეკემბერში დაბრუნდა. ბორის ზაალიშვილი სამი წლის წინ გარდაიცვალა. ის თბილისის ებრაულ სასაფლაოზეა დაკრძალული.

რამდენჯერმე დამიწერია დავით იაკობაშვილზე - ომის ვეტერანზე, მოსკოვისთვის ბრძოლის, 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე ისტორიული ადღუმის, მერე კი კავკასიისთვის ბრძოლის მონაწილე. მოვიყვან მის მოგონებებს იმ დღეებზე: „მაიკოპის მისადგომებთან, რომელიც ჩვენმა ძალებმა იძულებით 1942 წლის 10 აგვისტოს დატოვა, 5 თვის შემდეგ, როცა ქალაქი მეტოქის ძალებისგან გავათავისუფლეთ, პირველად ჩავიგდეთ ხელში ფაშისტური სულსახუთაეები - ე. წ. გაზვაგენები. ამ ავტომობილებში ჰერმეტიკული კორპუსით გამონაბოლქვი გაზები მიეწოდებოდა. თითოეულ მანქანაში მოხუცების, ქალების და ბავშვების გვამები, რთული სანახავი იყო მტარვალების აკაცობა. როგორც გაირკვა, მსხვერპლებს შორის ბევრი ებრაელი იყო“. ჰიტლერელებმა ქალაქში უსასტიკესი საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს, რომლის დროსაც ქალაქში 2 000-ზე მეტი ებრაელი დაიღუპა. და ეს სულ პატარა მაიკოპში, სულ რაღაც 5 თვეში. ჩრდილოეთ კავკასიაში ებრაელების განადგურების თემა ჯერ კიდევ გამოსაკვლევეია...

ომის დროს ფართოდ იყო გავრცელებული პარტიზანული მოძრაობა. არამარტო უკრაინასა და ბელორუსიაში, არამედ ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. მოქმედებდა ებრაელების დამოუკიდებელი პარტიზანული რაზმები. მხოლოდ უკრაინაში 1941-1944 წლებში დაახლოებით 270 ასეთი ჯგუფი ფუნქციონირებდა. სხვათაშორის, ფართოდ ცნობილი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესიონალი ჩეკის-



ტი იყო ებრაელი დიმიტრი მედვედევი, რომელიც საგანგებო სადაზვერვო რაზმს „გამარჯვებულებს“ ხელმძღვანელობდა. საინტერესოა, რომ 1949 წელს ასევე თბილისელ ებრაელ, ანატოლი გრებნევიჩთან ერთად იმ წლებში ცნობილი პიესა „სულით ძლიერნი“ დაწერა, რომელიც წარმატებით იდგმებოდა სსრკ-ს ყველა თეატრალურ სცენაზე.

საქართველოში ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვართ ინფორმირებული ჩვენი თანამემამულეების, მათ შორის ებრაელების, პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ. ბელორუსიის, უკრაინის, ყირიმის არქივებში ამ თემაზე უამრავი მასალა და საბუთი ინახება, რომლებიც მათ სკურპულოზურ შესწავლას ელოდებიან. ჩვენი თანამემამულენი, მათ შორის ებრაელები, პარტიზანობდნენ საფრანგეთში, იტალიაში, იუგოსლავიაში და ა.შ. თავს ნებას მივცემ ამ უზარმაზარი საარქივო საქმის მხოლოდ პატარა ნაწილს, ჩემს ძველ ბლოკნოტში ჩაწერილ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს შევეხო.

აი, მ. ი. კუტუხოვის სახელობის პარტიზანული რაზმის მეთაურის დამოწმებული მოწმობის ასლი, რომელიც 1944 წლის 2 თებერვლით თარიღდება: „გაცემულია როჭიკაშვილი ილია გრიგორის ძეს სახელზე იმაზედ, რომ ბარანოვიჩის რაიონის კუტუხოვის სახელობის რაზმის ოცეულის მეთაურია“, რომელიც დღემდე ბელორუსიის რესპუბლიკის ადგილობრივ მუხეუმში ინახება. ომის დროს აქ განსაკუთრებულად მძვინვარებდნენ ვერმახტის ბელორუსიის დივერსიული ბატალიონი „დალვიტცის“ ჯარისკაცები და ოფიცრები. ბელორუსიასა და უკრაინაში, ყირიმში ასობით ჩვენი პარტიზანი მოღალატეების -ადგილობრივი ნაციონალისტების მსხვერპლი გახდა. განსაკუთრებით ებრაელების წინააღმდეგ მძვინვარებდნენ, რომელთა დაჭერის და დახვრეტისთვის ფაშისტებისგან ჯილდოს იღებდნენ...

მ. ი. ნაუმოვის სახელობის პარტიზანული შენაერთი უკრაინაში მოქმედებდა, 1944 წლის თებერვალ - მარტიდან კი პოლონეთში.





მის რიგებში იყვნენ ჩარიცხულნი დავით სოლომონის ძე აღარაძე და ილია იოსების ძე ბურუაშვილი. ლიუბლიანსკის საწარმოში მათ წინააღმდეგ ესესის დივიზია „გალიცია“ მოქმედებდა. პარტიზანებმა დიდი სირთულეებით მოახერხეს ფაშისტების სასიკვდილო სარტყელიდან გამოსვლა. მოგვიანებით რაზმს კიდევ რამდენიმე ქართველი შეუერთდა.

უკრაინაში, ჟიტომირის მხარეში თავი გამოიჩინეს პარტიზანებმა არკადი ლეონიდის ძე ფურემიძემ და ბენიამინ ალექსანდრიამ ნ. ა. შჩორსის სახელობის რაზმიდან. 20 წლის იაკობ რაფაელის ძე ჩიკვაშვილი და იოსებ ისაკის ძე აბრამიშვილი მსროლელთა 62-ე დივიზიის პირველი ბატალიონის შემადგენლობაში ომობდნენ. იოსებ აბრამიშვილი მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მკურნალობდა, კონტუზირებული იაშა ჩიკვაშვილი კი 1941 წლის შემოდგომაზე ტყვედ ჩავარდა. სასწაულად გადარჩა, გაქცევა მოახერხა. მოგვიანებით პ.პ. ვერშიგორას პარტიზნულ შენაერთში აღმოჩნდა, სადაც სარდლობამ არაერთხელ აღნიშნა მისი სიმამაცე და გამბედაობა. 1944 წლის იანვარში იაკობ ჩიკვაშვილის პარტიზანულ რაზმში



სუმის პარტიზანები

საქართველოდან კიდევ რამდენიმე ადამიანი მიიღეს. მათ შორის - ზინოვი სოლომონის ძე მეტრეველი და მიხეილ ბესარიონის ძე ციხიშვილი. სუმის მხარეში პარტიზანები, როგორც გერმანელების ასევე უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

ომის შემდეგ მამაც პარტიზანს თანაპოლკელებთან კავშირი არ გაუწყვეტია, ხვდებოდა მათ საქართველოსა და მოსკოვში. 1972 წელს ისრაელში გადასახლდა, სადაც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული.

აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოს ქართველ გმირთაგან ერთ-ერთი იყო ყირიმის პარტიზანი მოსე კაჭარავა, რომელსაც უშიშარ მეომრად იხსენებენ.

უფროსი ლეიტენანტი ალექსი სეფიაშვილი იუგოსლავიაში იბრძოდა იოსებ ბროზ ტიტოს პარტიზანულ არმიაში. ქა-



რთველი ებრაელი იუგოსლაველ პარტიზანებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ა. სეფიაშვილს ხომ ფინეთის კამპანია ჰქონდა გამოვლილი, გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ კი მსროლელთა ბატალიონს მეთაურობდა. უშიშარი მეთაურის რეპუტაცია ჰქონდა. მალე მის მკერდზე, რომელსაც უკვე ამშვენებდა მედლები, სამამულო ომის ორდენი გაჩნდა. ეს 1942 წლის ბოლოს მოხდა. ერთი წლის შემდეგ კი ერთ-ერთ მხურვალე ბრძოლაში დაიჭრა, ტყვეობაში ჩავარდა, საიდანაც მამაცი მეომრების მცირე ჯგუფთან მოახერხა გაქცევა. ასე მოხვდა პარტიზანებთან, რომლებმაც თავიანთი ინტერნაციონალური რაზმის თაოსნობა მიანდეს.

რამდენი დრო გავიდა ომის იმ შორეული წლებიდან, ომის ტკივილი კი, ხაზს ვუსვამ ამ ორ სიტყვას - ომის ტკივილი - რჩება თითოეულ ჩვენგანში, ვინც მამა დაკარგა. მასობრივი უმამობის ამბავი უკვე სულ სხვა, დიდი და სევდიანი თემაა. საკუთარი და ჩემი მეგობრის შალვა თეთრუაშვილის მაგალითით შემოვიფარგლები. მადლობა დმერთს, დღეს ორივენი ცოცხლები ვართ, ასე თუ ისე ჯანმრთელები, პატარების მთელი რაზმის ბედნიერი ბაბუები.

1939 წელს მამაჩემი - გიორგი სერგოს ძე ჯარში გაიწვიეს, უფრო სწორად კი როცა ის ტიფლისელ მეგობრებთან ერთად ნებაყოფლობით წავიდა ომში, რადგან როგორც სკოლის დირექტორს ჯავშანი ჰქონდა, ერთი თვის ვიყავი, მამა 1942 წელს ხარკოვთან რომ დაიღუპა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მეგობარ შალვას უფრო ნაკლებად გაუმართლა - როცა დაიბადა მამამისი, ბესარიონ ილიას ძე იარაღით ხელში უკვე ებრძოდა ფაშისტებს. და თუ მამაჩემმა შვილის ხელში აყვანა მაინც მოასწრო, შალვას მამამ მისი დაბადების შესახებ სანგრებში შეიტყო. ბესარიონ





თეთრუაშვილიც, მამახემივით 1942 წელს დაიღუპა. 31 წლის იყო. შალვამ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, დაუღლებელი ძიების შედეგად მოახერხა თავისი გმირი მამის საფრონტო ეპოპეის დეტალების გაგება.

რიგითი ბესარიონ თეთრუაშვილი მსროლელთა ცნობილ ჩაპაევის 25-ე დივიზიაში მსახურობდა, რომელიც სევასტოპოლის იცავდა. კარგად ისროდა და სნაიპერად დანიშნეს. არაერთი ფრიცი წააქცია მარჯვე ბესომ. მაგრამ საბჭოური ჯარის ძალა თვალწინ ღნებოდა. იმ დროს მტერი ჩვენს მეომრებს სამჯერ აღემატებოდა. ხელჩართული ბრძოლები დაიწყო: „ჩაპაეველების“ თითქმის მთელი შეამდგენლობა გმირულად დაეცა. ფაშისტები სევასტოპოლში მათ ცხედრებზე გადაბიჯებით შევიდნენ. ეს 1942 წლის 4 ივლისს მოხდა. შალვა თეთრუაშვილი მამის უკანასკნელ თავშესაფარს ეძებდა. სევასტოპოლის გმირი, უფროსი სერჟანტი ბესარიონ ილიას ძე თეთრუაშვილი გმირი ქალაქის სევასტოპოლის მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

ფრონტზე მიისწრაფოდნენ ბესო თეთრუაშვილის სახლში დარჩენილი სამი ძმაც. მაგრამ ომში მონაწილეობა მხოლოდ ყველაზე უმცროსს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტ სიმონს მოუწია, რომელმაც საბოლოო გამარჯვებამდე ეკლიანი გზა გაიარა. სამხედრო ექიმის სიმონ ილიას ძე თეთრუაშვილი თბილისში გერმანიიდან 1946 წელს საბრძოლო ჯილდოებით დაბრუნდა. მაგრამ ფრონტზე გადატანილმა ტრავმებმა მის ჯანმრთელობაზე იქონია გავლენა და 3 შვილის მამა 1958 წელს გარდაიცვალა. ფრონტზე ჩემი მეგობრის შალვა თეთრუაშვილის სხვა ნათესავებიც იბრძოდნენ, მათ შორის ბესოს და სიმონის ბიძაშვილი მორდეს შამაის ძე თეთრუაშვილი, რომელიც 1942 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ქერჩში, და მრავალი სხვა.

„და რამდენი წავიდა ფრონტზე ჩვენი ეზოდან, ჩვენი პატარა და ვიწრო იერუსალიმის ქუჩიდან, ჩვენი მშობლიური ფეთხაინიდან“, - იხსენებს საქართველოს ებრაელთა თემის წევრი შალვა თეთრუაშვილი. დღეს ის ქვეყნის პატივცემული მოქალაქეა, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ღირსების ორდენის კავალერი, ისინი იყვნენ: რახამინ გორელაშვილი, სიმონ ელიაშვილი, რომელსაც უბანში სონკას სახელით იცნობდნენ - ორივე ქერჩში დაიღუპა.



თბილისის ვაჟთა მესამე სკოლაში ჩემი კლასელების უმეტესობა ებრაელები იყვნენ, ყველანი პურის მოედანზე, ებრაულ უბან ფეთხაინში, რიჟინაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, რომელსაც ახლა ძველი სახელწოდება - იერუსალიმის ქუჩა დაუბრუნეს. ბევრი ჩემი თანატოლის მამა ფრონტზე დაიღუპა. მე და შალვა, რომელიც ჩვენი სკოლის გვერდით მდებარე 2-ე სკოლაში სწავლობდა, მოგვიანებით სევდიანად ვმღეროდით ცნობილი იუგოსლაველი მომღერლის ჯორჯ მარიანოვიჩის სიმღერას: „... ბევრი ჩვენგანი მამას სურათით იცნობს!“ გამუდმებით ომობანას ვთამაშობდით, თითქმის ყველანი სპორტულ სექციებში ვიყავით ჩაწერილები, სულ ვიხსენებდით, რომელი ეზოდან რამდენი უფროსი წავიდა ომში, რამდენი არ დაბრუნდა გაუბედურებულ ოჯახში, რამდენი დარჩა ჩვენსავით - მამის გარეშე, ჩვენი შვილები კი ბაბუების გარეშე!

ამ უძველეს ებრაულ უბანში უხუცესები დღესაც მოგიყვებიან ამ სევდიან თემასთან დაკავშირებულ ათობით ისტორიას. მოისმენთ ხაიმ სიმონის ძე როკეტლიშვილზე, რომელიც ქერჩთან დაიღუპა, იქვე უგზო-უკვლოდ დაკარგულ მორდებს შამაის ძე თეთრუაშვილზე, ჩემი კლასელების ოჯახებში არ დაბრუნებულ ახალგაზრდა ბიჭებზე გვარებიდან - აბრამიშვილი, არონოვი, ბენიაშვილი, იოსებაშვილი, რიჟინაშვილი, ფინხაძე, ჯინჯინაშვილი, ჯანაშვილი, ხახმიგერი და მრავალი სხვა. ამ სტროფებს რომ ვწერ, ჩვენი მშიერი ბავშვობის სევდიანი სურათები მახსენდება. ომის შემდეგ მამების გარეშე დარჩენილ გამხდარ ბავშვებს მასწავლებლებს სკოლიდან სასადილოში დაგყავდით, გზის მეორე მხარეს. ეს თბილისის კალინინის სახელობის რაიონული აღმასკომის ტერიტორიაზე ხდებოდა. დღემდე მახსოვს შესქელებული რძის, ჯემის, გალეტების გემო... უკვე მოგვიანებით, როცა გავიზარდეთ, გავიგეთ, რომ ეს პროდუქტები, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, სსრკ-ში ლენდ-ლიზით აშშ-ს და ინგლისს შემოჰქონდათ...

ძველი მაცხოვრებლები თბილისის კოლორიტ ფილხაზ (ფიხა) იოსების ძე ბაღდადიშვილზეც მოგიყვებიან, რომელმაც მთელი ომი გაიარა და მშობლიურ ქალაქში უვნებელი დაბრუნდა. მშვენივრად უკრავდა დოლზე, ერთ დროს ჯანო



ბავრაციონის ანსამბლშიც კი, მერე კი ილიკო სუხიშვილთან. საიდუმლოდ გადაიციმოდა ამბავი, რომ შეუდარებელმა მეჭუდე ფიხამ რამდენიმე ფორმის ქუდი თვით სტალინისთვის დაამზადა!

ბევრ კეთილ ამბავს მოგიტხრობენ ომის ვეტერან ისაკ მორდეხის ძე ხანუქოვზე (ხანუქაშვილი), რომელიც ჩემი უფროსი ძმის მეგობრის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის კრივში, სახელგანთქმულ მესაათე, მოკრძალებულ გაბრიელ (გაბო) ხანუქაშვილის ნათესავი იყო. ხშირად შეუკეთებია საათები უფასოდ, მათ შორის ჩემთვისაც. სერჟანტი ისაკ მორდეხის ძე 18 წლის ასაკში შეებრძოლა ფაშისტებს, რამდენჯერმე დაიჭრა, მთელი ომი გამოიარა. სახლში ინვალიდად დაბრუნდა. 1993 წელს ისრაელში გადასახლდა, სადაც 7 წლის შემდეგ გარდაიცვალა.



მედალი „ბერლინის აღებისათვის“

ოფიცერმა მიხეილ იაკობის ძე ბინიაშვილმა ბრძოლებით გაიარა მთელი ომი და გამარჯვების დღეს დაცემულ ბერლინში შეხვდა. ომის შემდეგ მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. გარდაიცვალა 1994 წელს.

ისრაელში მცხოვრებ ვეტერან შამილ (შმუელ) მოშეხაი-



შამილ არონიშვილი

მის ძე არონიშვილზე საინტერესო ფილმის გადაღება შეიძლება. ფრონტზე 18 წლის ასაკში აღმოჩნდა, საბჭოთა ქვედანაყოფების უკან დახევაში მონაწილეობდა, მერე კი თანაპოლკელებთან ერთად მტერს თითქმის სსრკ-ს საზღვრებამდე მისდევდა. რამდენჯერმე იყო დაჭრილი. 1943 წლის ბოლოს ტყვედ აიყვანეს, საბედნიეროდ საბუთების ჩამარხვა მოასწრო. საკონცენტრაციო ბანაკში გააშიშვლეს. ფაქტი უდავო



იყო. „ებრაელი! დახვრიტეთ!“, - გაისმა ბრძანება ესეკელებს. საზრიანი ჭაბუკი არ დაბნეულა და ამაყად უპასუხა, რომ ებრაელი კი არა აჭარელი მუსლიმია საქართველოდან, შამილი ჰქვია და „ეს“ მათი წესიც არის.

ფაშისტმა ოფიცერმა ბანაკის ექიმი მოაყვანინა, რომელმაც წამში შეაფასა სასიკვდილო სიტუაცია და თვალისკარად არ დაუხამხამებია ისე უპასუხა, რომ მის წინაშე აჭარელი მუსლიმი თანამემამულეა. მაგრამ ისტორია ამით არ დასრულდებოდა. საკონცენტრაციო ბანაკში შამილ არონიშვილი ტიფით და დიზენტერიით დაავადდა, ასეთებს კი პირდაპირ კრემატორიუმში აგზავნიდნენ. და კვლავ სასწაულმა გადაარჩინა. ეს სასწაული კი ისევ ქართველი ებრაელი ექიმი კ. ი. ელიგულაშვილი იყო, რომელმაც ფარულად შეცვალა შამილი გარდაცვლილი ტყვეთი. რაღაც წამლები იშოვნა და თანამემამულე ფეხზე დააყენა. გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკის ტუსადები ამერიკულმა ჯარებმა გაათავისუფლეს...

აი, ასეთი საოცარი ამბავი აღწერა თავის მოგონებებში ომის ვეტერანმა შამილ მოშეხაიმის ძე არონიშვილმა - ჩემი ბავშვობის მეგობრის, შალვა თეთრუაშვილის უახლოვესმა ნათესავმა. თუმცა ამით მ. არონიშვილის ბედნიერი ამბავი არ დასრულდა. 2018 წლის 13 იანვარს თელავში, მდიდრულ ქართულ რესტორანში „დედა“, მან ახლობლების ვიწრო წრეში აღნიშნა 95 წლის იუბილე. თვალცრემლიანი იუბილარი შამილ მოშეხაიმის ძე ინვალიდის ეტლში იჯდა. ბევრი რამ გაიხსენეს იმ ბედნიერ და ამაღელვებელ დღეს.



შამილ არონიშვილი მეუღლესთან

ტყვეობიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ შამილმა თსუ-ში ფიზიკა-მათემატიკურზე ჩააბარა, იყო სტალინის სტიპენდიანტი. მრავალი წელი ასწავლიდა თბილისის საავიაციო ტექნიკუმში. გახდა საქართველოს სსრ-ს დამსახურებული მასწავლებელი. 1993 წელს ისრაელში გადასახლდა,



სადაც ზრუნვითა და ყურადღებით იყო გარშემორტყმული. ზეპირად ახსოვს საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრის ნომერი - 21855137. თბილისში დაბრუნებისას, დედასთან ამადელელებელი შეხვედრის შემდეგ, შამილი ჩელუსკინელების ხიდზე წავიდა და ბანაკის სამკერდე ნიშანი მტკვარში გადააგდო. გადააგდო, რათა წარსული დაევიწყებინა, მაგრამ ეს მწარე ციფრები მის მეხსიერებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე შემორჩა.

როცა თელ-ავივში, რესტორანში საქართველოს სადღეგრძელო შესვეს, 95 წლის ვეტერანმა ყველა გააოცა, ინვალიდის ეტლიდან წამოდგა და ფეხზე დგომით გამოცალაღვინით სავსე ჭიქა. და იოცნება, რომ სიკვდილამდე კიდევ ერთხელ უნდა თბილისში ჩასვლა და ადრე გარდაცვლილი გაუის საფლავის მონახულება.

ჩემი წიგნი გამოსაცემად მზად იყო, როცა ისრაელიდან სევდიანი ამბავი მოვიდა - 2019 წლის 11 მარტს ომის და შრომის ვეტერანი, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ბოლო ცოცხალი თბილისელი ებრაელი, პატივცემული შამილ მოშეხაიმის ძე არონიშვილი გარდაიცვალა. ახლა სევდის ცრემლები ჩვენ მოგვადგა...

არანაკლებ საოცარია ქუთაისელი ექიმის რაფაელ (შალიკო) მიხეილის ძე კაკიტელაშვილის საფრონტო ოდისეა - ძერჟინსკის ქუჩის №4-ში ჩემი მეზობლის და თანატოლის ჯემალ კაკიტელაშვილის ბიძის, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს.

ომის დაწყებიდან რ.მ. კაკიტელაშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე და მსროლელთა პოლკში მოხვდა. ომობდა უკრაინაში, იცავდა სევასტოპოლს, შემდეგ ყირიმში. იყო კონტუზირებული. გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. სასწაულებრივად გადარჩა, თავი ქართველად გაასადა. საბედნიეროდ, „შიშველი“ კონტროლი თავიდან აიცილა. 3 წლის მანძილზე საკუთარ თავზე გრნობდა ფაშისტური ტყვეობის „სიამოვნებებს“. გათავისუფლების შემდეგ საფრანგეთში აღმოჩნდა. სახლში, ქუთაისში დაბრუნება მხოლოდ 1947 წელს, სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში ხანგრძლივი გარჩევების შემდეგ მოახერხა. დაამთავრა ფრანგული ენის ფაკულტეტი ქუთაისის პედინსტიტუტში. მუშაობდა სპეციალობით. გარდაიცვალა ქუთაისში.



ქუთაისიდან წავიდა საბრძოლველად 1909 წელს დაბადებული კონსტანტინე ილიას ძე ბალუაშვილი, 1941 წლიდან იგი იბრძოდა სხვა და სხვა ფრონტზე. 1943 წელს კი ქერჩის სრუტეში მძიმედ დაჭრილ მეომარს მოუწია ხანგრძლივი მკურნალობის კურსის გავლა, რის შემდეგაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დემობილიზებული იქნა და წითელი დროშის ორდენით და მრავალი საბრძოლო მედლით დახუნძული დაუბრუნდა ოჯახს.



კონსტანტინე ბალუაშვილი

იგი აქტიურად ჩაერთო რა ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობის საქმეში, წლების განმავლობაში მუშაობდა სხვა და სხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყო ქუთაისის მეორადი ნედლეულის დამზადების ფაბრიკის დირექტორი, ქალაქკომის ბიუროს წევრი, მისი თაოსნობით ქუთაისის ებრაულ უბანში, (ყოფილ შაუმიანის ქუჩაზე, ამჟამად ბორის გაპონოვის ქუჩა), სადაც ერთმანეთის გვერდით განლაგებულია სამი უნიკალური სინაგოგა, აშენდა სამკერვალო ფაბრიკა, სადაც დასაქმებულები იყვნენ მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლები, ძირითადად ებრაელები. მისი შრომისუნარიანობა და ღვაწლი არ დარჩა შეუმჩნეველი და ის დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თავის მეუღლესთან - ელისაბედ მოსეს ასულ იაკობაშვილთან ერთად მათ აღზარდეს 5 ვაჟი: სალმონი (სიმონი), მოსე, ანზორი, რუბენი (ჯუკუ) და დავით ბალუაშვილები. ყველა მათგანს თავისი ადგილი უკავია 1970 წლებიდან დღემდე საქართველოს უახლოეს ისტორიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის კოლორიტის, საპატიო ქუთაისელის მოსე ბალუაშვილის ღვაწლი ქუთაისის სინაგოგების მოვლა-პატრონობისა და ქუთაისის ებრაული თემის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. გულისტკივილით მინდა ავღნიშნო რომ ბატონი მოსე ბალუაშვილი სულ ახლახანს ამაღლდა ზეციურ სამყაროში.

„გარდაცვალებამდე მომსწრე გავხდი თუ როგორ გადაუხადეს მას 80 წლის იუბილე მეგობრებმა. იმ საღ-



მოსე ბალუაშვილი

ამოს კიდევ ერთხელ გავხდით ქართულ-ებრაული მეგობრობის აღნიშვნის მომსწრე, ქუთაისელებმა ისე როგორც მათ იციან ყურადღებით, იუმორით და დარბაისებლობით ეს დღე აქციეს საერთო ზეიმად. ვუყურებდი და მიხაროდა თუ როგორ სასიამოვნოთ შეიცვალა განუკურნებული სენისგან შეპყრობილი იუბილარის განწყობა და მდგომარეობა. ჩემთვისაც ეს დღე იყო დიდი სიამაყის დღე.

სამწუხაროდ იუბილედან 20 დღეში ბატონი მოსე ბალუაშვილი დაუკრძალეთ მშობლიურ ქუთაისში, სადაც ყველგან იგრძნობოდა, თუ როგორ გლოვობდა მას მთელი ქალაქი. მისი დაკრძალვის ცერემონიაზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რამდენად ღრმა და ძლიერი ფესვები აქვს ქართულ-ებრაულ მეგობრობას, რომელსაც ქმნიდნენ ორივე ერის გამორჩეული პიროვნებები.

ეს იყო სევდიანი დღე, მაგრამ ასევე იყო სიამაყის დღე, ვიყავი მომსწრე როგორი მოწიწებით და სინანულით გააცილა მოსე ბალუაშვილი უკანასკნელ გზაზე მისმა სამეგობრომ და მთელმა ქუთაისმა. მადლობა მათ სიყვარულისათვის, თუმცა სხვას არც მოველოდი“. ასე იხსენებს ამ მართლაც ამაღელვებელ ისტორიას ბატონი მერაბ ჩანჩალაშვილი

ბევრის მთქმელია ანზორ ბალუაშვილის შრომითი ბიოგრაფია: იურისტი და დიპლომატი, საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი, ღირსების ორდენის კავალერი.

ბედნიერება მხვდა წილად წლების მანძილზე მქონოდა საქმიანი ურთიერთობა ბატონ ანზორ ბალუაშვილთან - ამ არაჩვეულებრივ თავმდაბალ, უაღრესად განათლებულსა და ნიჭიერ ადამიანთან.



ჩემი მუშაობის პერიოდში ფუნდამენტალურ 800-გვერდიან ნაშრომზე (წიგნი „გენერლები საქართველოდან“), რომელიც მოიცავს საქართველოს გენერალიტეტის 300-წლიან ისტორიას და სადაც ასევე შეტანილი მქონდა მონაცემები იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველებისა და იუსტიციის გენერლებზე, აგრეთვე ქართველი ებრაელების მონაცემები, რომლებმაც გენერლის წოდება მიიღეს ისრაელში ბატონმა ანზორმა მაშინ გამიწია კვალიფიციური დახმარება ჩემი მოკრძალებული თემატიკის თაობაზე. მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება რამოდენიმე თბილი სიტყვა დამეწერა მის გმირ მამაზე, ძმებზე და მასზე.

სიმონი და რუბენ ბალუაშვილები მრავალი წელია ცხოვრობენ ისრაელში და თავიანთი შრომით შექონდათ დეაწლი ახლად აღდგენილი ქვეყნის აღმშენებლობაში და გაძლიერებაში. უფროსი ძმებისგან განებივრებული უმცროსი ძმა დავით ბალუაშვილი კი მრავალი წლის მანძილზე იყო ქ. თბილისის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირების სამსახურის უფროსი. არის საპატიო ტრანსპორტელი და ღირსების ორდენის კავალერი.

კონსტანტინე ილიას ძე ბალუაშვილი და მისი მეუღლე გარდაიცვალნენ 1981 წელს. დაკრძალულები არიან ქუთაისის ებრაულ სასაფლაოზე.

სამი ძმა კეზერაშვილი ქუთაისში დაიბადა. უმცროსი შავი ზღვის ფლოტში მსახურობდა. 1941 წლის 3 დეკემბერს რეუვენმა პირველი ეშელონის შემადგენლობაში გაარღვია ფაშისტების თავდაცვა და ქერჩის ნაპირზე მტრის ცეცხლის მიუხდავად გამაგრება შეძლეს. მალევე დანარჩენი სადესანტო კატარღებიც მოვიდა. ქერჩი იმავე დღეს გაათავისუფლეს. მაგრამ მომდევნო ბრძოლებში ყირიმში რ. ა. კეზერაშვილი, როგორც ათასი მებრძოლი საქართველოდან, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. უფროსმა ძმამ - მოსე ავნერის ძე კეზერაშვილმა მთელი ომი გამოიარა და სახლში გამარჯვებული დაბრუნდა. შუათანა ძმა - ბენიამინს კი ტრაგედია დაემართა. ომის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნებული ქუჩის პატრულირებისას მოკლეს. ეს ქუთაისში ომის დასრულებიდან ერთ წელიწადში მოხდა?!



ბესო თეთრაშვილი

შეიძლება ითქვას თბილისელ ებრაელ ბესო შალომის ძე თეთრაშვილს გაუმართლა. 23 წლის ბიჭი ყირიმისთვის ბრძოლების შუაგულში აღონდა. არაერთხელ ეკიდა მისი სიცოცხლე ბეწვზე, მაგრამ სიკვდილი ყოველთვის გვერდს უვლიდა მამაც მეომარს. ასე, ბრძოლით მივიდა ბერლინამდე, სადაც გამარჯვების დღეს შეხვდა. ჯარში კიდევ ერთი წელი იმსახურა და სახლში 1946 წელს დაბრუნდა. ცხოვრობდა თბილისში, ვაკეში. სამი შვილის მამა 70 წლის ასაკში გარდაიცვალა...

მედალი „კავკასიის დაცვისთვის“ 1944 წლის 1 მაისს დაწესდა. ამ გრანდიოზულ ბრძოლაში არამარტო ამიერკავკასიის, არამედ მეორე მსოფლიო ომის ბედი წყდებოდა. მტერი უზარმაზარი ძალებით ცდილობდა ბაქოს ნავთობისკენ გარღვევას, რომელსაც გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. კავკასიის მცველთა მასობრივ გმირობასა და ვაჟკაცობაზე ამ საბრძოლო ჯილდოს მფლობელთა უზარმაზარი რაოდენობა – 870 000 ადამიანი მეტყველებს. მათ შორის იყო ზემოთ ხსენებული ებრაელი ბიჭი სოსუმიდან რაფაელ მესენგისერი, რომელიც 10 წლისა აღმოჩნდა კავკასიის მცველთა შორის, რითაც შეეძლო ეხმარებოდა მათ, ქვემეხებისთვის ჭურვებს აწვდიდა. დღეს რაფაელ იაკობის ძე მესენგისერი საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ვეტერანია! საბედნიეროდ დღეს ჯანმრთელადაა, ომის ვეტერანი აქტიურად მუშაობს ომიდან არდაბრუნებულთა ხსოვნის უკვდავყოფისთვის. ამ გვარის უფროსი წარმომადგენელი იაკობ ფილხაზის ძე მესენგისერი ქუთაისიდან ფრონტზე მოხალისედ წავიდა. 43 წლის მეომარი მამაცად იბრძოდა ყირიმში, კავკასიისთვის ბრძოლაში. ერთ-ერთ ასეთ შეტაკებაში ჭურვის აფეთქების გამო მრავლობითი ჭრილობები მიიღო. გარდაიცვალა 1943 წელს.



მახსოვს, როცა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს დიმიტრი ჯიბლაძის რჩევით, რომელიც მეზობლად, სოლოლაკში ცხოვრობდა, ომის მონაწილე უნივერსიტეტის თანამშრომლებზე ინფორმაციის შეგროვებას შევუდექი. საბედნიეროდ, ჩემს არქივში იმ ომში უნივერსიტეტის ებრაელების მონაწილეობის შესახებ აღმოვაჩინე ცნობები. უფროსმა ლეიტენანტმა მიხეილ იოჰანის ძე კრიხელმა საბრძოლო ნათლობა კავკასიის მთისწინეთში მიიღო. სხვადასხვა ფრონტზე ომობდა, მივიდა ბერლინამდე. 1945 წლის აგვისტოში კი მიშა კრიხელი შორეულ აღმოსავლეთში კვანტუნის არმიის განადგურებაში მონაწილეობდა. დაჯილდოვებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით,⁴ მედლით.



ვიქტორ კარლის ძე პოლსკი ომიდან მეორე ჯგუფის ინვალიდად დაბრუნდა. მსროლელთა 122-ე დივიზიის შემადგენლობაში იბრძოდა დასავლეთით გერმანელების წინააღმდეგ და აღმოსავლეთით იაპონიის წინააღმდეგ. დაიმსახურა 3 მაღლობის წერილი ი. ბ. სტალინისგან,⁵ საფრონტო მედალი. წითელი ვარსკვლავის ორდენის და 5 მედლის კავალერი შახნო მოსეს ძე პლეშევი ჯერ მე-2-ე უკრაინულ, შემდეგ კი სამხრეთის ფრონტზე იბრძოდა. მონაწილეობდა ბულგარეთის და რუმინეთის გათავისუფლებაში. 18 წლის თბილისელმა ებრაელმა ლევ ალექსეის ძე გრიბაშევიმა ომით ნახევარი ევროპა და გზა რიგითიდან პოლკოვნიკამდე გაიარა, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი გახდა.

და რამდენი ებრაელი სტუდენტი წავიდა მოხალისედ ფრონტზე? არც ეს თემაა ბოლომდე შესწავლილი. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1941 წლისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობით - 9 581 სსრკ-ს ყველა უმაღლეს სასწავლებელს შორის პირველ ადგილზე გავიდა, ისტორიის პროფესორ დიმიტრი ჯიბლაძის თქმით კი ფრონტზე თითქმის ყოველი მესამე მისი სტუდენტი წავიდა...



ომის ვეტერან ებრაელებს შორის არაერთი მეცნიერი, მეცნიერ მუშაკი, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი იყო. ერთ-ერთი მათგანი იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის პროფესორი რაფაელ მიხეილის ძე შამელაშვილი. დაიბადა 1922 წლის 23 დეკემბერს სოფელ ბანძაში. სხვათაშორის, იმ ცბიერ წელს დაბადებულითაგან ფრონტიდან სახლში ცოტანი თუ დაბრუნდნენ. სწორედ ამ პირტიტველ 19 წლის ბიჭებს უნდა შეეჩერებინა მტერი ბელორუსიის და უკრაინის უკიდვგანო სივრცეებზე, ლენინგრადის და მოსკოვის კედლებთან, ყირიმში და კავკასიის მთებთან, ცეცხლოვან სტალინგრადში. 1941-1942 წელს ფაშისტების ტყვეობაში ხომ წითელი არმიის რამდენიმე მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი აღმოჩნდა, ასობით ათასი დაიდუპა ბრძოლაში, უფრო მეტი კი დასახიჩრდა, დაიდუპა ტყვეობაში.

ფრიადოსანმა რაფაელ შამელაშვილმა სკოლის დამთავრების შემდეგ საბუთები უმაღლესში მიიტანა, მაგრამ უარი უთხრეს - სამხედრო სამსახური უნდა გაეწლო. ასე აღმოჩნდა 1940 წელს ვოლინსკის ოლქის სამხედრო ქალაქში, სახელმწიფო საზღვრიდან 8 კილომეტრში. მალე მძინარე ჯარისკაცებს და ოფიცრებს ბომბები დააყარეს თავზე. ასე დაიწყო მისთვის ომი. პირველი ბრძოლები, დიდი დანაკარგები, უკან დახვევის სიმწარე. მოგვიანებით ქართველ ებრაელს მოუწია ბრძოლა მოსკოვთან და სტალინგრადთან. ათავისუფლებდა პოლონეთს, შტურმით იღებდა პრუსიულ ციტადელ კენიგსბერგს. ოთხჯერ იყო დაჭრილი. დემობილიზებული



იქნა 1946 წელს, სახლში ინვალიდად, მე-3 ხარისხის დიდების, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით და 5 საბრძოლო მედლით დაბრუნდა. იმავე წელს ქუთაისის პედინსტიტუტში ჩააბარა, როგორც ომამდე ოცნებობდა.



1950 წელს, დიპლომის მიღების შემდეგ, რაფაელ მიხეილის ძე სოფელში ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი გახდა. მერე იყო სამსახური ქუთაისში, ასპირანტურა, საკანდიდატო დისერტაცია. 1970 წელს რ.მ. შამელაშვილმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, 4 წლის შემდეგ კი ომის ვეტერანი პროფესორი გახდა. მთელი ცხოვრება ახალგაზრდებთან მუშაობდა, ასწავლიდა სამშობლოს, მშობლიური ქართული ენის და ლიტერატურის სიყვარულს...

ილია იაკობის ძე ვლადისლავსკი 1916 წელს თბილისში დაიბადა. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინსტიტუტი, იმავე წელს ჯარში გაიწვიეს. რიგითი წითელარმიელის წოდებაში გრომის სადგურში, ქალაქ პოლოცკის მე-4 ცალკეულ საექსპლუატაციო სარკინიგზო ბატალიონში მსახურობდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ბარანოვიჩი-ბრესტის მონაკვეთზე სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე იმყოფებოდა. სმოლენსკის მიმართულებით უკან დახევისას მრავალჯერ დაიჭრა. პოსპიტალებში მკურნალობის შემდეგ, 1942 წელს წითელი არმიის სამხედრო აკადემიის ქიმიური დაცვის კურსი დაასრულა. ომობდა ამიერკავკასიის, სამხრეთის, უკრაინის მე-4 ფრონტებზე.

ი. ვლადისლავსკიმ ომი ბერლინში, 1945 წლის 9 მაისს, უფროსი ლეიტენანტის წოდებით დაასრულა. დემობილიზირებულ იქნა 1946 წელს. დაჯილდოებულია სამხედრო ჯილდოებით: სამამულო ომის ორდენი, მედლები - “საბრძოლო დამსახურებებისთვის”, “ბერლინის აღებისთვის” ომის შემდეგ ილია ვლადისლავსკი თბილისში ცხოვრობდა, სამოქალაქო მშენებლობის სფეროში მუშაობდა, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი გარდაიცვალა 2014 წლის 4 ნოემბერს. დაკრძალულია ქ. თბილისის ზემო ვერის სასაფლაოზე.

ილია ვლადისლავსკის ძმა დედით - პაველ ზაქარის ძე ფრიდმანი 1903 წლის 23 ოქტომბერს თბილისში დაიბადა. 1920-იანი წლების დასაწყისში „ჩეკაში“ მსახურობდა. შემდგომ თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების განყოფილება დაასრულა. ომის პერიოდში იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე. ტყვედ ჩავარდა, მაგრამ გაქცევა მოახერხა, რის შემდეგაც პარტიზანთა რაზმში გაერთიანდა, კოვპაკის მეთაურობით. ომის შემდეგ პ. ფრიდმანი მოსკოვში გადასახლდა, მუშაობდა მოქანდაკეთა ჯგუფში ე. ვ. ვუჩეტიჩის ხელმძღვანელობით,



რომელმაც ბერლინში მებრძოლ-გამათავისუფლების ქანდაკება და საბჭოთა ეპოქის სხვა ცნობილი ძეგლები შექმნა.

1950-იანი წლების დასაწყისში ფრიდმანი ე. ვუჩეტიჩის ხელმძღვანელობით მოსკოვში მონაწილეობდა გორელიევის “მშვიდობის მედროშე - საბჭოთა ხალხს დიდება” შექმნაში, რომელიც 1954 წელს, სსმგ-ს (დღეს სმმგ-ს) მთავარი პავილიონის გახსნისთვის დასრულდა. სსრკ-ს მხატვართა კავშირის წევრი, 1950 წელს პ. ფრიდმანი ქანდაკების სფეროში სტალინის პრემიის ლაურეატი გახდა. სიცოცხლის ბოლო წლები ფრიდმანმა სამშობლოში გაატარა. გარდაიცვალა 1982 წელს, თბილისში. დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე.

სურამელი მიხეილ იაკობის ძე ასტანჯალოვი მსროლელ-

თა 160-ე დივიზიაში მსახურობდა. ომმა ბრესტში მოუსწრო. იგემა უკან დახევის სიმწარე, იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. სერჟანტი ასტანჯალოვი მრავალი ორდენით და საბრძოლო მედლით დააჯილდოვეს. ომის ვეტერანი 1972



სურამის სინაგოგა

წელს ისრაელში გარდაიცვალა.

საზენიტო ბატალიონის არტილერიის მეთაური კაპიტანი ნიკოლოზ აბრამიშვილი ბორჯომის რაიონიდან იყო. ჩამოაგდო ფაშისტური თვითმფრინავი. ომში დაიღუპნენ რიგითები აჭარიდან: იაკობ არონის ძე გურიელი - 1944 წელს, ეფიმ გაბრიელის ძე მოსკალენკო - 1941 წლის ბოლოს; უფროსი ლეიტენანტები მარკ ვლადიმერის ძე გუტმანი - 1945 წლის აპრილში და აბრამ მოსეს ძე კაპლანი - 1945 წლის მარტში, ორივე გერმანიაში მოკლეს. უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ძმები - რიგითი ხაიმი და სერჟანტი ლაზარე აბრამის ძე ენდერი, დაიღუპნენ ლეიტენანტი მიხეილ ზაქარიას ძე, მამა და შვილი სოლომონ დანიელის ძე და ბორის სოლომონის ძე ლევინები, ლეიტენანტი რაფაელ ზაქარიას ძე შალოლაშვილი...



სახლში არ დაბრუნებულან აფხაზეთიდან ფრონტზე გაწვეული მებრძოლები - ხაიმ მოსეს ძე ნანიკაშვილი, ძმები იოსებ და შალვა მეირის ძე ტორიკაშვილები, ილია და რაფაელ აბრამის ძე შამელაშვილები, ილია იაკობის ძე და ისაკ ალექსანდრეს ძე ლევინები, აბრამი და მარკ მიხეილის ძე მანაშეროვები, შალვა იაკობის ძე მირილაშვილი, 1945 წელს უნგრეთში 24 წლის იაკობ მიხეილის ძე აშკინაზი დაიღუპა, 1944 წლის 31 მარტს მოკლეს რიგითი იოსებ გრიგორის ძე დავითაშვილი...

ჩემ სიას თითქოს ბოლო არ აქვს. საქართველოს ცალკეული რეგიონებიდან ქართველ ებრაელთა დაახლოებით 4000 გვარი დავითვალე დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის. და ეს დანაკარგის მხოლოდ ნაწილია. ამ სტრიქონებს სახლში, ხელით ვწერ, შუაღამეს გადაცდა, თითქოს სუნთქვა გამიჩერდა, ხელნაწერი გადავდე და აქ ხსენებულთა მოსაგონებლად სანთელი დავანთე. მათ შორის მამაჩემიც წარმოვიდგინე, რომელსაც ბინის კედლებზე მიმაგრებული 3 დარჩენილი ფოტოსურათიდან ვიცნობ. ერთი მათგანი ომის დროინდელია... ღმერთმა დალოცოს მათი სულები!

როგორც უკვე აღვნიშნე, ნაკუწებით ვაგროვებდი მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან ებრაელების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას - იმის გარდა, რომ ამ თემაზე მასალა თითქმის არ არსებობს, მდგომარეობა ჩვენმა დრომაც გაართულა, როცა ომის ცოცხალი მონაწილეები, მათ შორის ებრაელები, თითქმის აღარ დარჩნენ. მხოლოდ ერთეულები შემოგვრჩა, რომლებიც 94 წელს არიან გადაცილებულები. და კიდევ, როგორც უკვე აღვნიშნე, ებრაელობის თემა საბჭოთა მედიაში არც თუ ისე მისასალმებელი იყო ზემდგომი ორგანოებისთვის. ამას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, პირველ რიგში ქართველი ებრაელების ისტორიულ სამშობლოში - ისრაელში გადასახლებაც უნდა დავამატოთ, რომელთა შორისაც ბევრი ომის ვეტერანი იყო. აქედან გამომდინარე შევეცადე ნებისმიერი ინფორმაცია ჩემი მეგობრებისგან, კოლეგებისგან, ნაცნობებისგან, მათი ნაცნობებისგან შემეგროვებინა. ასე რომ, მკითხველს ვთხოვ არ განმეციხოს ზოგჯერ მწირი ცნობებისთვის ან ცალკეული უზუსტობებისთვის, რომლებიც შეიძლება იყოს ამ წიგნში, ჭეშმარიტების




ძიებაში ჩემთვის ჩვეული კირკიტობის მიუხედავად...

ყურადღებიანი მკითხველი შენიშნავდა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ვეცადე ამ წიგნში საქართველოს ყველა რეგიონი, ყველა ის ადგილი მომეცვა, სადაც ომამდე კომპაქტურად ცხოვრობდნენ ებრაელები, შევეცადე რამდენიმე სიტყვით მაინც მომეყოლა ებრაელების სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობის შესახებ - პოლიტხელები, ფეხოსანთა ჯარი, არტილერია, სატანკო შენაერთები, ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, კავშირგაბმულობის ჯარებზე, შსსკ და მასში შემაჯავლი სასაზღვრო და შინაგანი ჯარები, სამხედრო-სანიტარული ნაწილები, პარტიზანული რაზმები, ომში საერთო გამარჯვებაში ქალების და ბავშვების წვლილზე, აგრეთვე ებრაელების ტყვეობაზე და საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფნა.

ებრაელების მონაწილეობაზე რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის და სახალხო მეურნეობის გაძლიერებაში, ათობით ათასი დევნილის კეთილმოწყობაში დახმარებაზე, ათობით უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო ინსტიტუტის, თეატრალური დასის, კინოსტუდიების „მოსფილმის“, ქალაქ იალტიდან სხვა და სხვა კოლექტივების მიღებასა და განაწილებაზე და ა.შ. ყველგან და ყველაფერში თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს, შრომობდნენ ზურგში, ძილისა და დასვენების გარეშე საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად ერთგული ებრაელები...

მძიმე კონტრუხით დაბრუნდა სახლში, ახალციხეში უფროსი სერჟანტი იაკობ (იაშა) ქოსაშვილი. 22 წლის ებრაელი ჯარში 1939 წელს გაიწვიეს. სამხედრო სამსახურის სწრაფად დასრულებას და სახლში დაბრუნებას ელოდა. ნათელ გეგმებს აწყობდა.



ახალციხის სინაგოგა

მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს ომი დაიწყო. იაშა ქოსაშვილმა უკან დახვევის სიმწარე, მეგობრების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და, რა თქმა უნდა, ომის საწყისი პერიოდის დაუცხრომლობის შიში იგემა. ასე მივიდა მისი საბრძო-



ლო ნაწილი, რომელშიც მეავტომატეთა ოცეულში მსახურობდა, მოსკოვამდე. მერე კი უკან დახვეა სიკვდილის ტოლფასი იყო. დაქანცული მებრძოლების ძალები იმ რთულ დღეებში თითქოს გაათმაგდა. ახალციხელი ბიჭისთვის და ათასობით მისი თანაპოლკელისთვის ბრძოლა მოსკოვისთვის ერთგვარი რუბიკონი იყო, რომელიც მათ ღრსეულად გადალახეს.

იაშა ქოსაშვილი ფაშისტებს მოსკოვიდან ბერლინამდე მიერეკებოდა ბრძოლით. ამ პერიოდში რამდენჯერმე დაიჭრა, მიიღო კონტუზია. მშობლიურ ახალციხეში 1945 წლის ივნისში დაბრუნდა. ებრაელი ჭაბუკის მკერდს სხვა ჯილდოებთან ერთად ამშვენებდა მედლები „მოსკოვის დაცვისათვის“ და „ბერლინის აღებისთვის“, რომლებითაც განსაკუთრებით ამაყობდა. ფრონტზე მიღებული ჭრილობები სულ უფრო ხშირად ახსენებდა თავს. ომის ვეტერანი იაკობ შალომის ძე ქოსაშვილი 1971 წელს 54 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ასევე ახალციხიდან გაიწვიეს ფრონტზე მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსის თემურ ყვითელაშვილის მამა - პავლე (ფაშიკო) ყვითელაშვილი, (1922-1977) და ბაბუა დედის მხრიდან მიხეილ (მენაშე) პალტაგაშვილი (1908-1986) რომლებიც საბრძოლო მედლებით დამშვენებულნი უვნებლად დაბრუნდნენ სახლში. ორივე დაკრძალულები არიან თბილისის ებრაულ სასაფლაოზე.

იოსებ (ოსიკო) მიხელაშვილი ქუთაისში დაიბადა. ომი რომ დაიწყო მრავალი მისი ნათესავი, მეგობარი და მეზობელი ფრონტზე წავიდა. ასაკის გამო ჯარში მხოლოდ 1942 წელს გაიწვიეს. აქტიური მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო

ომის ყველაზე ხანგრძლივ (ლენინგრადის ბლოკადას თუ არ ჩავთვლით) ბრძოლაში კავკასიისთვის, რომელმაც 1942 წლის 25 ივლისს დაიწყო, 445 დღეს გასტანა და 1943 წლის 9 ოქტომბერს ფაშისტური არმი-



ქუთაისის სინაგოგა



ათა ჯგუფ „ა“-ს და კოდური სახელწოდებით ოპერაცია „ედელვაისის“ სრული კრახით დასრულდა. მერე იყო ბრძოლები ტამანის ნახევარკუნძულის გასანთავისუფლებლად, ბრძოლები უკრაინასა და პოლონეთში. გამარჯვების დღეს ქუთაისელი ებრაელი - ყველაზე ბედნიერი და თვალცრემლიანი ბერლინში შეხვდა - ჭეშმარიტი გამარჯვებული მეომარი. რამდენი რამის გადატანა მოუწია მას ომის წლებში - დაიჭრა, ტყვეობაში მოხვდა, გაიქცა, ომობდა, ისევ ტყვეობა, ისევ გაქცევა და ისევ საძულველ მტერთან ბრძოლა. ომის შემდეგ სახლში დაბრუნდა - ბედნიერი, საბრძოლო ჯილდოებით.

ომის შემდეგ გვარდიის მაიორი ლეონიდ ალექსანდრეს ძე დუელი მშობლიურ თბილისში დაბრუნდა. მამაცი მეომრის მკერდს წითელი ვარსკვლავის ორდენი და სხვა საფრონტო მედლები ამშვენებდა. საოცრად ლამაზი იყო, უღვაშიანი. ჯარშიც და სახლშიც თბილისში, ხშირად ქართველი ეგონათ. აქვე დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, დროთა განმავლობაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და მრავალი წელი იმუშავა რევმატოლოგად თბილისში.

ჩემთან ახლოს, პეკინის ქუჩაზე, 11 ნომერში ცხოვრობდა. თავდამბლობისთვის და სიკეთისადმი მუდმივ მზადყოფნისათვის ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ, ყოველთვის მზად იყო დასახმარებლად. ხანდახან მხვდებოდა ხოლმე, როცა ყოველთვის საჩუქრებით დატვირთული მიდიოდა თავისი შვილის ალექსანდრეს და შვილიშვილების მოსანახულეებლად ვაშლიჯვარში. ჩიოდა, რომ გზაში ბევრ დროს კარგავდა. დრო კი ყოველთვის არ ყოფნიდა - ოჯახი, ორი შვილი, შვილიშვილები, მეგობრები, კოლეგები და უამრავი პაციენტი, რომლებსაც ძალიან უყვარდათ თავიანთი საყვარელი ექიმი. მგონი ერთადერთი იყო საქართველოში ამ იშვიათი ებრაული გვარის - დუელის მატარებელი. ლეონიდ დუელი 1999 წელს, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.





სამშობლოს წინაშე ვალის ღირსეულად მოხდის შემდეგ ბათუმში დაბრუნდნენ მამაცი ოფიცრები: პოლკოვნიკი გრიგორი აბრამის ძე იოფისი (22.11.1910 - 04.03.1971), რომლის მკერდსაც ამშვენებდა წითელი დროშის ორი ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი, 5 მედალი; მოტომსროლელთა ბატალიონის მეთაური მაიორი სემიონ ჰანანის ძე ტეიფი (06.01.1906 - 23.08.1969). ასევე ცოცხლები და ბედნიერები ოჯახის და ახლობლების გარემოცვაში აღმოჩნდნენ ბათუმელები გიორგი მიხეილის ძე დორფმანი (10.03.1917 - 05.05.1992) და ივანე ტიმოფეის ძე ჩშირი (11.05.1920 - 28.12.1997). ყველანი ბათუმის ებრაულ სასაფლაოზე არიან დაკრძალული.



თბილისელი ლეიტენანტი ისაკ მიხეილის ძე ბუზიაშვილი, რომელმაც ფაშისტებთან ბრძოლისას არაერთი გმირული საქციელის ჩადენა მოასწრო. დღეს ფართოდ ცნობილი აკადემიკოსის-კარდიოლოგის იური ბუზიაშვილის ნათესავი იყო. იმ უმძიმეს დღეებში, როცა ყოველდღიურად ასობით, ათასობით ჩვენი მეომარი იღუპებოდა, დაჯილდოვებისთვის არავის ეცალა. ორდენების და მედლების მასობრივი დარიგება უკვე სტალინგრადის და კავკასიისათვის ბრძოლების შემდეგ დაიწყო. ასეთი დრო იყო, ძალიან რთული და მძიმე. ასევე ყირიმში უზო-უკვლოდ დაიკარგა 37 წლის პირველი გაწვევის ქვეითი ილია ისაკის ძე გელაძე.

უცნობია 1912 წელს დაბადებული სოხუმელი ებრაელის, სერუანტ ნაბო იოსების ძე ეფრემაშვილის ბედი. სამწუხაროდ ასეთი მაგალითი კიდევ ბევრია. სხვათაშორის მისი ნათესავი, სოხუმელი იაკობ ოფირი (ეფრემაშვილი), 1993-1996 წლებში საქართველოსა და სომხეთში მსოფლიოს ებრაული სააგენტო „სოხნუთის“ ხელმძღვანელი იყო. 90-იან წლებში მან აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში პირადი მონაწილეობა მიიღო დევნილთა, როგორც ებრაელების, ასევე ქართველების და სხვების გადარჩენა – გამოყვანაში საბრძოლო მოქმედებების რაიონებიდან!



თბილისის პატარა სინაგოგა

31 წლის ოფიცერ სოლომონ ალპეროვიჩის ომმა ჯარში მოუსწრო. მარჯვე და განათლებული ოფიცერი მალევე დანიშნეს სპეციალური ქვედანაყოფის მეთაურად, რომელიც საქართველოში თეთრი წყაროს რაიონში იყო დისლოცირებული. ეს ქვედანაყოფი მეთაურობის ყველა დავალებას უნაკლოდ ასრულებდა.


მალე ის პოლკად გარდაქმნეს, მეთაურს კი პოლკოვნიკის სამხრეები.

სოლომონ სამუელის ძე ალპეროვიჩის სპეციალური დანიშნულების პოლკი აქტიურად მონაწილეობდა კავკასიისთვის ბრძოლის სამხედრო ოპერაციებში, ტამანის ნახევარკუნძულის ფაშისტებისგან გათავისუფლებაში. ომის შემდეგ ალპეროვიჩი შუა აზიაში მსახურობდა. ავადმყოფობის გამო დემობილიზებული თბილისში დაბრუნდა. დაკრძალულია ნავთლულის ებრაელთა სასაფლაოზე. სხვათაშორის, მისი ვაჟი იყო ცნობილი ჟურნალისტი კონსტანტინე ალპეროვიჩი, რომელმაც ჩვენი, კოლეგების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც თავმდაბალმა ადამიანმა და მშვენიერმა ჟურნალისტმა, იგი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.

თბილისში, ყოფილ პირველი მაისის ქუჩაზე, რომელიც ცნობილ ებრაულ უბანთან მდებარეობს, ომის შემდეგ მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა ომის ვეტერანი ეუშვაკ რაფაელის ძე ყვითელაშვილი, ოშინკა - როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, წელიწადში მხოლოდ ერთხელ - 9 მაისს, ფაშიზმზე დიდი გამარჯვების დღეს გამოდიოდა სახლიდან პიჯაკზე მიმაგრებული საფრონტო ჯილდოებით - სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისთვის“, „სიმამაცისთვის“, „საბრძოლო დამსახურებებისთვის“, „1941-1945 წლების სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისთვის“. ეს იყო ის, რაც მან ოფლით და სისხლით მოიპოვა.



ამ განსაკუთრებულ დღეს ვაკეში, გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მიდიოდა, სადაც მეგობრებს ხვდებოდა, რათა ქედი მოეხარათ მათ წინაშე, ვინც ფრონტიდან სახლში არ დაბრუნებულა. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ჭაღარა ფრონტელი, რომელიც არაერთხელ ჩასცქეროდა სიკვდილს თვალებში და ომის ეკლიან გზებზე, პირველიდან უკანასკნელ დღემდე, დაცემულ ბერლინამდე გაიარა.



ეუშვაკ ყვითელაშვილი

ეუშვაკ რაფაელის ძე ყვითელაშვილი თბილისში, 1998 წელს, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საკმაოდ სიმბოლურია, რომ თბილისში, ვაკეში, გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავში მოსვენება ჰპოვა ყირიმიდან ჩამოსვენებული მეომრის ნეშტმა, სადაც ომის წლებში ათობით ათასმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა დაღვარა სისხლი, მათ შორის საქართველოს ებრაელებმა, რომლებიც დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში დაიღუპნენ ან გარდაიცვალნენ. უცნობი ჯარისკაცის ნეშტი თბილისში 1975 წლის 9 მაისს გადმოასვენეს, საპატიო ესკორტის თანხლებით საზეიმო-სამგლოვიარო პროცესიით გაატარეს საქართველოს დედაქალაქის ცენტრალური ქუჩებით, რომლებიც ათასობით თვალცრემლიანი ადამიანით იყო სავსე და მშობლიურ ქართულ მიწას მიაბარეს.

ეუშვაკ ყვითელაშვილის და ბევრი სხვა ისტორია საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარემ,



საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა მერაბ შალვას ძე ჩანჩაღლაშვილმა მომითხრო. სწორედ მისი მორალური და მატერიალური მხარდაჭერ-



ის წყალობით იქნა შექმნილი ჩვენს ქვეყანაში პირველად წიგნი საქართველოს ებრაელების მეორე მსოფლიო ომში მასობრივი მონაწილეობის შესახებ...

ომის აქტიური მონაწილეები იყვნენ თბილისელი ძმები - გრიგორი და მიხეილ სოლომონის ძე ამჩისლავსკები. გრიშა ამჩისლავსკი სოლოლაკში, ჯაფარიძის და ლერმონტოვის კუთხეში ცხოვრობდა, იმავე სახლში, სადაც ჩემი კლასელი არონ გილელსი, მისი ძმა მიხეილი კი - თემქის დასახლებაში. ჩვენ, უბნის ბიჭები, ხშირად ვიკრიბებოდით მათ ეზოში, იქიდან კი ჩვენს საყვარელ კინოთეატრში „სტელას“ ბაღში მივდიოდით, სადაც საღამოობით სოლოლაკის „ახნაურობა“ იკრიბებოდა - კონსტანტინე გამსახურდია და ნატო ვაჩნაძით დაწყებული ომის ორდენოსანი ვეტერანებით დამთავრებული.

ჩვენი სკოლის შემდეგ გრიშა ამჩისლავსკის შვილმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა, მისგან ვიცოდით, რომ მამამისი და ბიძამისი კავკასიაში იბრძოდნენ, მერე კი გრიგორი სოლომონის ძე სტალინგრადსა და უკრაინაში ომობდა, დაიჭრა. მისი უმცროსი ძმა მიხაილი სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა. დღეს ცოცხალი მათგან აღარავინაა. გ.ს. ამჩისლავსკი 1982 წელს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია თბილისში, ებრაელთა სასაფლაოზე.

ფრონტზე ჩემი მეგობრისა და კოლეგის სპორტიდან, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატის სპორტულ ტანვარჯიშში ბორის აბრამიშვილის რამდენიმე ნათესავიც იბრძოდა. ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში მისი მშობლები ისრაელში გადასახლდნენ, ცოტახნის წინ თვითონაც იქ წავიდა. ახლობლების ფაშისტებთან ბრძოლა ბორიამ მხოლოდ ერთხელ ახსენა. ვნანობ, რომ მაშინ დეტალურად არ გამოვკითხე დღეს ჩემთვის ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიების შესახებ მას და ბევრ ჩემ მეგობარს. 40 წლის წინ ასე რომ მოექცეულიყავი, წიგნი გაცილებით შინაარსიანი და ყურადსაღები გამოვიდოდა, მაგრამ...

სიყმაწვილეში დამამახსოვრდა, რომ ჩვენს სკოლაში ერთ-ერთ გაკვეთილზე ტანია ბუხბინდერმა მოკლედ მოყვა თავისი ახლობლების შესახებ, რომლებიც ფაშისტებთან ომში



მონაწილეობდნენ. მოგვიანებით ტანია ბუხბინდერი ცნობილ ქართველ არტისტ გურამ საღარაძეს გაყვა ცოლად. სამწუხაროდ ისინი დღეს ცოცხლები აღარ არიან. მხოლოდ იმის დაზუსტება შეეძელი, რომ უმცროსი სერჟანტი მარკ იაკობის ძე ბუხბინდერი ყირიმში, 1942 წელს 15 მაისს დაიღუპა, მისი ბიძაშვილი თეოდორ ბუხბინდერი კი ჯარში 1941 წელს გაიწვიეს. მისი ბედი ჩემთვის უცნობია. ამბობდნენ, რომ ომის დასაწყისში დაიღუპა. ცნობილია, რომ 1944 წლის 21 ივლისს, ბელორუსიის ფაშისტებიდან განმათავისუფლებელი ოპერაცია „ბაგრატიონის“ მსვლელობისას გმირულად დაეცა მეორე არონის ძე ბუხბინდერი, სხვა მონაცემებით კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. შესაძლოა მათზე იყო საუბარი.



ამ გვარის კიდევ ერთი გმირი წარმომადგენელი - ლევ სოლომონის ძე ბუხბინდერი ომის აქტიური მონაწილე იყო, ჰქონდა ჯილდოები. გამარჯვებით დაბრუნდა სახლში, ბათუმში, სადაც 1963 წელს 54 წლის ასაკში გარდაიცვალა და დაკრძალულია ბათუმის ებრაულ სასაფლაოზე. ფრონტზე დაიღუპა ჩემი კიდევ ერთი კლასელის, ყველასათვის საყვარელი სვეტლანა ძუსოვას მამა, რომელიც უკვე დიდი ხანია ისრაელში ცხოვრობს...

ძუნწი მონაცემებია შემორჩენილი ომის ნამდვილ გმირზე, რომელიც ორჯერ ჩავარდა ტყვეობაში, ორჯერ გაიქცა, გამარჯვების დღეს კი ბერლინში შეხვდა.

ასეთ, თითქოს და არაღამაჯერებელ ისტორიას, როდესაც ებრაელი ტყვეობაში დახვრეტას გადაურჩებოდა, მეტიც, სიცოცხლისთვის ბრძოლას აგრძელებდა, ტყვეობიდან გაქცევას ახერხებდა და შემდეგ საძულველ მტერთან გამარჯვებამდე იბრძოდა ქვემოთ მოგიყვებით.

ერთ-ერთი ასეთი ებრაელი იყო იური სოლომონის ძე პოლიაკოვი. დროებით თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ეზოში პატარა ოთახში ცხოვრობდა, სადაც იმ წლებში



ნორჩი მეხანძრეების წრე ან სექცია იყო. ეზოში, რომელშიც ბავშვები დიდ დროს ვატარებდით, ნამდვილი წითელი სახანძრო მანქანა იდგა, იქვე იყო სახანძრო შლანგები, ბრჭყვიალა, მოოქროვილი ჩაჩქანები და ა.შ. ამავე ეზოში ცხოვრობდა ჩემი ბავშვობის მეგობრის, სოსო ნადირაშვილის მრავალშვილიანი ოჯახი, რომელიც სასახლის ტერიტორიაზე დროებით, ცალკე საცხოვრებელი ფართის გამოყოფამდე დაასახლეს. ეს გასული საუკუნის 50-60 წლებში იყო. ბუნებრივია, ხშირად ვსტუმრობდი ჩემს მეგობარს, რომელიც ჩემგან ახლოს ცხოვრობდა. ხშირად მიყვებოდა მეგობარი თავის მეზობელზე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე პატარა ოთახში ცხოვრობდა, სადაც იატაკზე ლეიბის, ტუმბოს და ტაბურეტის გარდა არაფერი იყო, ძველ ჩაიდანს, გრაფინს და ორ ჭიქას თუ არ ჩავთვლით. დაბალი იყო, გამხდარი, მელოტი. როცა გავიცანი ცოტა უცნაურად მომეჩვენა. სულ რაღაცას ღიღინებდა, ყველას უღიმოდა, ამბობდა, რომ მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანია, სულ ცდილობდა აუცილებლობის შემთხვევაში ვიდაცის დახმარებას. არავის ახსოვს სევდიანი, მოსაწყენი, გაღიზიანებული. ყველაფერი ერთ დღეს გახდა ნათელი, როცა ჩემდამი პატივისცემა გაუჩნდა და თავისი ისტორია მომითხრო, რომელიც მე ალბათ არასოდეს დამავიწყდება.

ომი რომ დაიწყო თბილისელი ებრაელი იური პოლიაკოვი უკვე მსახურობდა ჯარში. იყო ფინეთთან ომის მონაწილე, კარგად გამოიჩინა თავი. ომამდე კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა, შემდეგ ბელორუსიის სამხედრო ოლქში, ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე გააგზავნეს. მალე ომიც დაიწყო. რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა. თითქოს ყველაფერი წამში დაინგრა. დიდი პანიკა იყო, არა მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაში.



1941 წლის 16 ივლისს წითელ არმიაში სამხედრო კომისრების ინსტიტუტი იქნა შემოღებული და ეს თბილისელი ებრაელი ასეულის პოლიტხელად დანიშნეს. უკან დახევის ორკვირი-



ანი უწყვეტი ბრძოლების შემდეგ კი მათი დივიზია ტყვედ ჩავარდა. უკვე მერე გაირკვა, რომ წითელარმიელთა ფორმაში გადაცმული ათობით ფაშისტი დივერსანტი მეთოდურად კლავდნენ წითელ მეთაურებს, პანიკას ქმნიდნენ.

ტყვეთა უზარმაზარი რაოდენობა იყო კონცენტრირებული ბელორუსიაში ქალაქ ივენეცთან, სადაც ვოლოჟინის მთელი რაიონიდან მოყრილი საბჭოთა ჯარისკაცების და მეთაურების ბანაკი იყო განლაგებული. ბრძანება: „ებრაელები და კომისრები! ნაბიჯი წინ!“. მერე ისმოდა სროლა, კვლავ ჟღერდა ესესელების ბრძანება. კვლავ სროლის საშინელი ხმები. იური პოლიაკოვი ყოფილმა თანამომსახურემ გასცა. ჩვეულებრივ ფაშისტები დახვრეტაზე ორ-ორი დადიოდნენ. მაგრამ გერმანელები შეყოვნდნენ და დასახვრეტად მხოლოდ ერთმა ფრიცმა წაიყვანა. დახვრეტის ადგილი ტყვეთა სადგომიდან 150-200 მეტრში იმყოფებოდა. ფრიცის ბრძანებით 20-30 ნაბიჯით წინ წასული ი. პოლიაკოვი ზურგში ტყვიას ელოდა, როცა უცებ აფეთქების ხმა გაიგო. მოტრიალდა და მკვდარი გერმანელი დაინახა. მერე მიხვდა, რომ მისმა ჯალათმა ჩვენი მებრძოლების მიერ დატოვებულ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს დააბიჯა. აფეთქებით დაყრუებული პოლიაკოვი გაიქცა წინ მდებარე ტყის მიმართულებით. თვითონაც არ ახსოვს რამდენ ხანს მირობდა. უძღურობისგან მიწაზე დაეცა. როცა გაიღვიძა დამე იყო. აღმოსავლეთისკენ წავიდა, კიდევ კარგი შარვლის ჯიბეში კომპასი დარჩა. 7 - 8 დღე იბოდიალა, სანამ თავისიანებთან გავიდა. საბედნიეროდ ეს იყო ნაწილი, რომელშიც კარგად იცნობდნენ. ომი გრძელდებოდა.

მეორედ უფროსი პოლიტხელი იური პოლიაკოვი ტყვედ ბარვენკოვო-ლოხოვის შემტევითი ოპერაციის მსვლელობისას, 1942 წლის იანვარში, ერთ-ერთი შეტევის დროს ჩავარდა. ფაშისტებმა კიდევ რვა პოლიტხელთან ერთად ხის ქოხში ჩაკეტეს და ცეცხლი წაუკიდეს. კვლავ ჩასცქეროდა სიკვდილს თვალბში, მაგრამ სასწაული მოხდა. თითქმის ერთდროულად მოფრინდნენ საბჭოთა გამანადგურებლები და თავსხმა წვიმა დაიწყო. გერმანელები გაიფანტნენ, უკან დაიხიეს, ტყვეებმა კი სახლის კარი გამომტვრიეს და თავისიანებთან გასვლა მოახერხეს. გამარჯვებას გათავისუფლებულ პრ-



ონის სინაგოგა

აღაში შეხვდა. მსუბ-
უქად დაიჭრა. გამარ-
ჯვებით დაბრუნდა
თბილისში, სადაც
მშობლები უკვე
გარდაცვლილი, მათი
ხის სახლი კი დამ-
წვარი დახვდა. მეტი
აღარაფერი ჰქონდა.
იური სოლომონის ძე
პოლიაკოვი, რომელ-
მაც ორჯერ ჩახვდა
სიკვდილს თვალებ-
ში, თავს მსოფლიო-

ში ყველაზე ბედნიერ ადამიანად თვლიდა...

არანკლებ ფანტასტიკური ისტორია, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოსული ფილმ „სობიბორის“ სიუჟეტს მოგვაგონებს, საქართველოს ყველაზე თვალწარმტაცი კუთხის - რაჭის ბინადრებს გადახდათ თავს. სხვათაშორის, საინტერესოა, რომ დღეს საქართველოში არსებული 25 სინაგოგიდან ყველაზე ღამაზი რაჭის რაიონულ ცენტრში - ონში მდებარეობს. რამდენჯერმე ვარ იქ ნამყოფი და ადგილობრივი ებრაელებისგან ვიცი, რომ სინაგოგა XIX საუკუნის ბოლოს, 1895 წელს აშენდა. აქ ინახება 200 წლის უნიკალური ძველებრალეული ხელნაწერები და ტყავზე შესრულებული მოსეს ხუთწიგნეული. აქვე, ონში იქნა აღმოჩენილი X საუკუნით დათარიღებული უძველესი ებრაეული ხელნაწერი - ლაილაშის ბიბლია, ონის მახლობლად მდებარე სოფლის სახელწოდების მიხედვით. აქ, ოდიდგანვე ერთ მეგობრულ ოჯახად ცხოვრობდნენ ქართველები და ებრაელები, იყოფდნენ უბედურებას, ამრავლებდნენ სიხარულს. ამას ნათლად ამტკიცებს რაჭველი სეით ახვლედიანის და ებრაელი დავით მეგრელიშვილის მეგობრობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ქურაში გააკაჟდა.

სეით ახვლედიანი მეოთხე კლასამდე ცაგერის დაწყებით სკოლაში სწავლობდა, სწავლის გასაგრძელებლად მშობლებმა ლაილაშის საშუალო სკოლაში გადაიყვანეს. მაშინ ლაილაშში, რომელშიც როგორც უკვე აღვნიშნეთ დიდების



ორდენის ერთადერთი სრული კავალერი ებრაელი საქართველოდან ილია დავითის ძე სეფიაშვილი დაიბადა, რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ძირითადათ ებრაელები. მათი წყალობით აქ იყო ჩინებული სკოლა, მშვენიერი საავადმყოფო, აფთიაქები, მაღაზიები და მრავალი სხვა. ადგილობრივ ბაზარში კი ყველაფერი იშოვებოდა, რაც გულსა და სულს სურდა.

სკოლაში მისულ სეითს პირველი დავით მეგრელიშვილი შეხვდა, რომელმაც გვერდით დაჯდომა შესთავაზა. ასე დაამთავრეს სკოლა. მაშინ ბიჭები ვერც ივარაუდებდნენ, რომ სიცოცხლე უმძიმეს გამოცდებს მოუშადავდა, რომლებსაც გრძელ და ცბიერ გზაზე გადალახავდნენ. თანატოლები ჯარში ერთად გაიწვიეს, სამსახურს სსრკ-ს ჩრდილოეთით გადიოდნენ, 1939 წლის შემოდგომაზე ერთად მონაწილეობდნენ ფინეთის ომში. კამპანიის დასრულების შემდეგ, 1940 წლის გაზაფხულზე დასავლეთის სამხედრო ოლქში აღმოჩნდნენ, მათი ნაწილი ბელორუსიის სსრ-ს დედაქალაქ მინსკიდან აღმოსავლეთით იყო განლაგებული. მიმდინარეობდა სამხედრო სწავლებები, ახალი დივიზიების და არმიების ფორმირება. ჰაერში ახალი ომის სუნი იდგა და ისიც დაიწყო - ომი ფაშისტურ გერმანიასთან.

რადაც წარმოუდგენელი ხდებოდა, დიდი პანიკა იყო, მტრის თვითმფრინავები დიდიდან სადამომდე ბომბავდნენ ყველაფერს. გერმანელების უპირატესობა იმდენად ცალსახა იყო, რომ ომის დასაწყისში წითელი არმიის უამრავი მებრძოლი ტყვეობაში აღმოჩნდა. მათ შორის თავიანთ სამხედრო ნაწილთან ერთად აღმოჩნდნენ მეგობრები სეითი და დავითი. ორი კვირის შემდეგ პოლონეთში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე ათეული ათასი ტყვე შეიკრიბა. მალე მწკრივში, ანბანის მიხედვით დააყენეს და იქვე დადგმულ კარავში შიშვლები შეჰყავდა, სადაც ფაშისტი მედიკოსები ებრაელობაზე ამოწმებდნენ. ებრაელები





სეით ახვლედიანი
დავით მეგრელიშვილი

კარვის უკან ბუდლოხერე-
ბით გათხრილ უზარმა-
ზარ ორმოსკენ მიჰყავდათ
და ავტომატის სროლა მე-
ტყველებდა იმაზე თუ რა
ხდებოდა იქ.

უკან დაბრუნებულმა
სეითმა სწრაფად ჩაიცვა
და შეუმჩნევლად ჩადგა
მწკრივში დავითის გვერ-
დით. მალევე მიხვდა რაც
ხდებოდა და შეუმჩნე-
ვლად ჩასჩურჩულა დავითს,
რომ როცა მის სახელს
დაიძახებდნენ, მის ნაცვ-
ლად შემოწმებაზე თავად
წავიდოდა. „მეგრელიშ-
ვილი დავითი“ - დაიძახა
ფაშისტმა და უკვე გახ-
დილი სეითი მწკრივიდან

გამოვიდა და ასეთივე შიშველი ტყვეების ჯგუფს გაჰყვა.
დარეტიანებული, მკრთალი დავითი იდგა და მძიმე ფიქრებში
იყო ჩაფლული. ყაზარმაში კი საბჭოური სამხედრო ტანსაც-
მლის რაოდენობა იზრდებოდა, რომელსაც პატრონები უკვე
ადარასოდეს მოაკითხავდნენ. მოლოდინის მძიმე წუთები უს-
ასრულობას ჰგავდა. და აი, სეითი გამოჩნდა. გაუმართლათ.
მადლობა დმერთს!

ორი წლის შემდეგ ფაშისტები იძულებულები გახდნენ
ტყვეები გერმანიის სიღრმეში გადაეყვანათ, სადაც მათ ტყვე-
თა ახალი ნაკადი შეუერთდათ. ახალ ადგილზე ებრაელო-
ბაზე კიდევ ერთი შემოწმების ჩატარება დაიწყო. სეით-
მა შემოწმება გაიარა, მეგობრის გვერდით დადგა და ისევ
გააფრთხილა დავითი ადგილზე დარჩენილიყო და სიმშვიდე
შეენარჩუნებინა. „წავალ და მალე დავბრუნდები“, - ჩასჩურ-
ჩულა სეითმა. დავითი შეეცადა გადაეფიქრებინა, - „ყოფ-
ელთვის კი არ გაგვიმართლებსო“, შეიძლება ორივე დაგვხ-
ვრიტონო. სეითმა მეგობარი დაამშვიდა და მეორედ წავიდა



შემოწმებაზე შიშველი. ძალიან ბევრი ტყვე იყო, დახვრეტას გადარჩენილები მწკრივში ბრუნდებოდნენ, სეითი კი არსად ჩანდა. და აი, როგორც იქნა გამოჩნდა დავითის მხსენელი. მაგრამ ეს რა არის? სეითი სულ გაჭაღარავებული იყო. მოგვიანებით მოყვა რა გადახდა თავს. რომ შეამოწმეს, უთხრეს - თავისუფალი ხარო. როგორც კი გასასვლელთან გადადგა ნაბიჯი უნტერ-ოფიცერმა უხეშად სტაცა ხელი და გვერდზე დადგომა უბრძანა. ეტყობოდა, რომ იცნო. გაბრაზებულმა სეითმა ქართულად შეიგინა, - „რა უნდა ჩემგან?“ უცებ მისკენ ზურგით მდგომი უფროსი ოფიცერი-გერმანელი მოუტრიალდა, თვალებში ღიმილი ეტყობოდა. შემოწმება დასრულდა, უნტერ-ოფიცერმა უფროსს რაღაცის ჩურჩული დაუწყო და სეითზე ანიშნებდა, - დასახვრეტიარო. უფროსმა ის თავიდან მოიცილა, სეითს შეხედა და ხელით ანიშნა, ჩემთან მოდიო.

„ქართველი ყოფილხარ! თქვენთანაც ხომ არის ლუქსემბურგი (ამჟამად ბოლნისი - ლ.დ.), გსმენია?“ „რა თქმა უნდა, უპასუხა სეითმა, - სკოლიდან ექსკურსიაზეც ვყოფილვართ“. გერმანელმა ოფიცერმა ისევ გაუღიმა გაოცებულ სეითს და უთხრა: „მეც ვარ იქ ნამყოფი. ჩემი ბიძა და ბიძაშვილები ცხოვრობენ ლუქსემბურგში. მთელი თვე ვიყავი მათთან სტუმრად, მცხეთა, თბილისი, კახეთი დამათვალიერებინეს. მშვენივრად ცხოვრობენ და რა არაჩვეულებრივი ადგილები აქვთ! ლუქსემბურგში ქართული ყველამ იცის, ზოგმა ქართველმა კი გერმანული ენაც შეისწავლა. რომ გავიგე შენი ხმა გამიხარდა, ძლივს ვიპოვე ქართველი. თუ გადავრჩი, კვლავ მოვინახულებ მშვენიერ საქართველოს. აბა, კარგად...“ - თქვა გერმანელმა ოფიცერმა და მეგობრულად უბიძგა სეითს გასასვლელისკენ.

როცა სეითი მწკრივში დაბრუნდა დავითი გაშეშდა. მისი მეგობარი სულ ჭაღარა იყო, თვალებში კი სიხარული უბრწყინავდა. მეგობრება ერთმანეთს ჩაკიდეს ხელები და ძლიერად მოუჭირეს...

მაღე ტყვეთა ნაწილი ახალ ადგილას გადაიყვანეს, სადაც მოკავშირეების ავიადარტყმებით დანგრეული სახლების აღდგენაზე დაასაქმეს. ტყვეებს შორის მუშებს ეძებდნენ. მოეწონათ მაღალი დავით მეგრელიშვილი, რომელიც



კეთილსინდისიერად მუშაობდა. ბინის რემონტზე წაიყვანეს, რომელშიც სახურავი ჟონავდა და კედლის ნაწილი იყო ჩამონგრეული. დავითმა მეწყვილის როლზე სეითის კანდიდატურა შესთავაზა. თანხმობა მიიღეს და მეგობრები უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. ერთხელ, როცა ორსართულიანი სახლის რემონტი ბოლოს უახლოვდებოდა და გერმანელებმა მის ბინებში შესახლება დაიწყეს, განუყრელ მეგობრებს სახლის მეპატრონემ ჩაუარა. უცებ ფრაუ შეჩერდა და უთხრა: „აბა, გაიმეორეთ ახლა რაც იმდერეთ“. ეს „ციცინათელა“ იყო. სიმღერა იმდენად მოეწონა, რომ მის შესახებ ოფიცრებს მოუყვა. მათაც სთხოვეს მეგობრებს სიმღერის შესრულება და გიტარაც კი მისცეს.


გერმანელებს ისე მოეწონათ ქართული მელოდიები, რომ ტყვეებს მათი უფროსის დაბადების დღეზე შესრულება სთხოვეს. კონიაკით და შოკოლადით გაუმასპინძლდნენ. მათდამი ნდობა იზრდებოდა, ისევე როგორც მათი გადაადგილების თავისუფლება. მაღე იარაღის საწყობის კარის და სხვა საიდუმლო ობიექტების შეკეთება დაავალეს. ამასობაში ტყვეების ბარაკში კი თანდათან საბჭოთა ოფიცრების იატაკქვეშა რაზმი იქმნებოდა, რომლებმაც ფაშისტების მცირე რაზმის განიარაღება და საბჭოთა ძალების მოსვლის დალოდება გადაწყვიტეს. სეითის და დავითის დახმარებით, რომლებმაც საჭირო გასაღებების ასლების დამზადება მოახერხეს, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. შეიარაღებულმა ტყვეებმა 2 საათში დაატყვევეს ფაშისტები, რაციით დაუკავშირდნენ საბჭოთა ძალების მოწინავე რაზმებს, რომლებიც უკვე შეტევაზე იყვნენ გადმოსულები და მათი მცველი ფაშისტების რაზმის შეპყრობაზე ყველა ცნობა გადასცეს და საბჭოთა ფორმის რაც შეიძლება სწრაფად მოტანა სთხოვეს.

მაღე საბჭოთა ძალებიც მოვიდნენ. სამხედრო წოდებებში აღდგენილი სეით ახვლედიანი და დავით მეგრელიშვილი ბრძოლებით ბერლინამდე მივიდნენ, სადაც გამარჯვების დღეს შეხვდნენ. ომის შემდეგ მეგობრები ოჯახებთან ერთად 9 მაისს ხან ლაილაში, ხან ცაგერაში აღნიშნავდნენ, სადაც ადგილობრივები ყოველთვის ტაშით ხვდებოდნენ. თითუოულს სამ-სამი შვილი ჰყავდა. სეითის შვილმა - ოლეგმა დავითის ქალიშვილი ნანა მონათლა. ეს მეგობრების ოჯახებს



შორის პირველი ნათლობა არ ყოფილა. სეითის უფროს ძმას - პორფირეს - ძმობილი ბეხორ ბებერაშვილი ჰყავდა. და კიდევ, 2017 წლის 9 მაისს მოსკოვში, სახეიმო პროცესია „უკვდავი პოლკის“ მსვლელობისას, ამ გმირების შთამომავლებმა დიდი ფორმატის ფოტოსურათი გაიტანეს, რომელზეც საბრძოლო მეგობრები - ქართველი სეით ახვლედიანი და ებრაელი დავით მეგრელიშვილი იყვნენ აღბეჭდილნი. ეს საოცარი ისტორია სეითის ძმისშვილმა ჟურნალისტმა გივი ახვლედიანმა მოჰყვა...

ონიდან გაიწვიეს ჯარში გაბრიელ ხახიაშვილი, რომელიც ბევრი მძიმე ბრძოლის გადატანის მიუხედავად სადსაღამათი დაუბრუნდა ოჯახს და მშობლიურ ქალაქს, შექმნა ჩინებული ოჯახი, მისი შვილების და შვილიშვილების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამაყობენ სახელოვანი ბაბუის სახელით და მუდამ თან ატარებენ მის სურათს



ცოტა ხნის წინ, ბათუმში ყოფნისას, ადგილობრივ სინაგოგაში შევედი, რომელიც, სხვათაშორის, ერთ-ერთი უღამაზესი და უძველესია საქართველოში - XX საუკუნის დასაწყისში, 1904 წელს აშენდა. აქ წილად მხვდა პატივი არამარტო გამეცნო, არამედ გავმხდარიყავი არაჩვეულებრივი ადამიანის - ემილ გერშევის ძე კრუპნიკის მეგობარი. ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქართულ-ებრაული ურთიერთობების ასოციაციის უცვლელი თავმჯდომარეა.

ქართველებსა და ებრაელების მეგობრობისა და ურთიერთდახმარების გაძლიერებაში უზარმაზარი წვლილისთვის ე. გ. კრუპნიკი უამრავი სიგელით და მადლობის წერილით არის დაჯილდოვებული. არჩეული იქნა ბათუმის საპატიო მოქალაქედ. სხვათაშორის ემილ გერშევის ძე კრუპნიკის ინიციატივით ბათუმის ცენტრში, პორტის რაიონში, ერთ-ერთი სახლის ფასადზე 2013 წელს ლეგენდარული შვედი დიპლომატის რაულ ვალენბერგის საპატივცემოთ მემორი-



აღური დაფა და ბარელიეფი გაჩნდა, რომელიც შვედეთის და უნგრეთის საელჩოების დაკვეთით მოქანდაკე ვლადიმერ იმერლიშვილმა შეასრულა. ახლა ყოფილი პორტის ქუჩა რაულ ვალენბერგის სახელს ატარებს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ბუდაპეშტში რამდენიმე ათასი ებრაელი უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. დღეს უკვე ცნობილია, რომ ომის შემდეგ რაულ ვალენბერგი სსრკ-ს შსსკ-ს კედლებში დაიდუპა.

არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ ტურისტული ბუმის დროს ბათუმში, სინაგოგის და ებრაული სასაფლაოს მონახულების შემდეგ ებრაელები აუცილებლად მიდიან აშშ-ს, კანადის, ისრაელის და უნგრეთის საპატიო მოქალაქის - რაულ ვალენბერგის სახელობის ქუჩაზე, იღებენ სურათებს მისი მემორიალური დაფის ფონზე. სხვათაშორის, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევით მუშაობდა საქართველოს ებრაელ



ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი რივა გერშეს ასული კრუპნიკი. ამ არაჩვეულებრივ ქალბატონს ახალგაზრდობიდან ვიცნობდი, როცა გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“ მოგვიწია თანამშრომლობა. შემდეგ რივა კრუპნიკი ჩემს უფროს მეგობარ ომის ვეტერან ილია მოსეს ძე ბრინერთან - ჟურნალ „ბნეი ციონის“ რედაქტორთან მუშაობდა, რომელშიც ჩემი სტატიებიც იბეჭდებოდა. სამწუხაროდ ის დღეს ცოცხალი აღარ არის. რივა კრუპნიკი, რომელსაც ომის ვეტერანებზე არაერთი გამო-


ქვეყნებული მასალა აქვს დაწერილი, ბათუმის ებრაულ სასაფლაოზე განისვენებს.

ემილ კრუპნიკის წყალობით სინაგოგაში გავიცანი ენციკლოპედიური ცოდნის პატრონი, აკურატული და გულმოდგინე მიხეილ ილიას ძე ვიალოვი - საბჭოთა არმიის გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, ძირძველი ბათუმელი, რომელიც ჩემი თხოვნით რამდენჯერმე გამომყვა ბათუმის ებრაულ სასა-



ფლაოზე ე. გ. კრუპნიკთან ერთად და ომში ნაბრძოლი ვეტერანების 30-მდე სურათი გადაიღო. მეორე მსოფლიო ომის ველებზე ე. გ. კრუპნიკის ოჯახიდან მისი ბიძაშვილი აბა ფეიშახის ძე კრუპნიკი იბრძოდა. მოქმედ არმიაში 18 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა, იბრძოდა და გმირულად დაეცა ყირიმში. მიხეილ ილიას ძე ვიალოვის (დღეს ის დედის გვარს ატარებს) მამას კი ძალზედ არაორდინარული ბედი ჰქონდა.

ილია შრეიდლერი ბათუმში 1924 წლის დეკემბერში დაიბადა. ომი რომ დაიწყო ფეოლოსიაში იყო. იძულებული იყო სახლში უკან დახეულ ჯართან დაბრუნებულიყო. მეთაურებმა არმიაში აყვანაზე მას უარი უთხრეს, შესაბამისი ასაკი არ ჰქონდა. მაგრამ ებრაელი ჭაბუკი რითაც შეეძლო ეხმარებოდა მეზობლებს და როგორც ამბობენ, არმიის დენთი საკმარისად ჩაისუნთქა. ასე აღმოჩნდა ქერჩში. როგორღაც მოახერხა ბათუმამდე ჩაღწევა. მეორე დილას უკვე იდგა ფრონტზე წასვლის მსურველი ბათუმელი ბიჭების უზარმაზარ რიგში. ისევ უარი, ასაკის გამო. როგორც იქნა, ილია შრეიდლერი ჯარში გაიწვიეს, მაგრამ არმიის ნაცვლად ბაქოს სამხედრო სასწავლებელში აღმოჩნდა. მალე სტალინგრადის გრანდიოზული ბრძოლა დაიწყო. სასწავლებელში ვადამდელი გამოშვება შედგა.



ილია შრეიდლერი

სხვა კურსანტებთან ერთად ილია შრეიდლერი მტერთან სასიკვდილო ბრძოლას შუერთდა. მზვერავი გახდა, მერე კი მთავარსარდლობის რეზერვის სახენიტო ნაწილებში მსახურობდა. სხვადასხვა ფრონტებზე ომობდა. ომი დაასრულა ქალაქ კენიგსბერგში, ფაშისტების თქმით აუღებელ ციხესიმაგრეში, გვარდიის ცნობილი მე-2 არმიის შემადგენლობაში, რომელსაც შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პორფირე ვიორგის ძე ჩანჩიბაძე (1901-1950) მეთაურობდა და რომელმაც 1945 წლის 9 მაისს, თავის გახარებულ მეომრებს გერმანიის უპირობო კაპიტულაციის შესახებ აქტი წაუკითხა.



გვარდიის სერჟანტი ილია მიხეილის ძე შრეიდლერი მშობლიურ ბათუმში მხოლოდ 1946 წელს დაბრუნდა ორი ჭრილობით და თან საბრძოლო ჯილდოებით - სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, მედლებით „სტალინგრადის დაცვისთვის“, „სიმამაცისთვის“, „კენიგსბერგის აღებისთვის“, „1941-1945 წლების სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისთვის“. ომის ინვალიდი 1989 წელის 9 აპრილს ბათუმში გარდაიცვალა, დაკრძალულია ქალაქის ებრაულ სასაფლაოზე



ბათუმის სინაგოგა

თავის მეუღლე და საბრძოლო მეგობარ ეკატერინა კირილის ასულ ვი-ალოვას გვერდით. ეს მამაცი ქალი მოქმედ არმიაში 1941 წლის 23 ივნისიდან იმყოფებოდა. მისი სამსახურის ადგილი - მოძრავი საველე ქირურგი-

ული ჰოსპიტალი №5204, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ მე-13-ე არმიაში, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლაი პუხოვი სარდლობდა. ჰოსპიტალში მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდებოდა, დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე. სახლში ე. კ. ვი-ალოვა ომის შემდეგ უფროსი სერჟანტის წოდებით და 3 საბრძოლო ჯილდოს კავალერად დაბრუნდა. მრავალი წელი სპეციალობით აჭარის დედაქალაქში მუშაობდა. ეკატერინა კირილის ასული 1982 წელს 57 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ე. გ. კრუპნიკმა სინანულით აღნიშნა, რომ დღეისათვის ბათუმში ფაშიზმთან ომის არცერთი ცოცხალი ვეტერანი-ებრაელი აღარ არის. მან გაიხსენა გარდაცვლილი ვეტერანი ებრაელები. ბათუმელი არონ ლურიე - 1942 წელს ქერჩში დაიღუპა. ასევე ქერჩში დაიღუპა იაშა გერანიკი. ომში დაიღუპა მარკ ვორობიევსკი. თითქმის არაფერია ცნობილი ფრონტზე მოხალისედ წასულ იაშა აშკენაზიზე. მწირია ცნობები იზია ბუდნიკზე. ბათუმის ებრაულ სასა-ფლაოზეა დაკრძალული მამაცი მემომარი ილია მიხეილის



ქე კუკაშვილი. გამარჯვებით დაბრუნდნენ ომიდან ბათუმელი ბიჭები იზია ნაუმის ქე გერშენგონი და მისი მეგობარი ბორის იერუსალიმსკი. პირველი სამამულო ომის ორდენის და საბრძოლო მედლების მფლობელია, ფრონტზე დაიჭრა. ომის შემდეგ ბათუმიდან თბილისში გადასახლდა, სადაც წლების შემდეგ ებრაულ სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი მეგობარი ბორისი კი ახლა ისრაელში ცხოვრობს. ბათუმის სასაფლაოზე უკანასკნელი მოსასვენებელი იპოვნეს ომის ვეტერანებმა დორფმანმა (15.03.1917 - 05.05.1992) და იოსებ გრიგორის ქე აბრამოვიჩმა (21.11.1916 - 01.04.1971).

აჭარაში არაჩვეულებრივი ადამიანი, ადგილობრივი კოლ-ორიტი შალვა სარიშვილი გამაცნეს, რომელიც ბათუმის სინაგოგის გაბაი იყო. როცა საკუთარი მანქანით მივყავდით ბათუმის სასაფლაოზე, სადაც შალვა ალექსანდრეს ქემ თავის სახელგანთქმულ ნათესავზე და ომის კიდევ ბევრ მონაწილეზე მრავალი საინტერესო რამ მომიყვა. ალექსანდრე დავითის ქე სარიშვილი ქუთაისში 1910 წელს დაიბადა. მამაცმა მეომარმა, რომელიც სამჯერ იყო დაჭრილი, ი. ბ. სტალინისგან მადლობის 9 წერილი დაიმსახურა, დაჯილდოვებული იქნა წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით, 4 საფრონტო მედლით.

ა. დ. სარიშვილის ანგარიშზეა ბრძოლები კავკასიის, ყირიმისა და უკრაინის გათავისუფლებისთვის, შემდეგ კი ის ფაშისტებს მეოთხე უკრაინული ფრონტის შემადგენლობაში ებრძოდა, რომელშიც მისი გვარდის მესამე მსროლელთა კორპუსის კავშირიგაბმულობის მე-14-ე ბატალიონში შედიოდა. ომის ინვალიდი ა. დ. სარიშვილი მრავალი წელი ცხოვრობდა და მუშაობდა ბათუმში, სადაც 1977 წელს დაკრძალეს. ფრონტზე ასევე გმირულად იბრძოდნენ: ლეიტენანტი მიხეილ სარიშვილი, რომელიც 1944 წლის 9 მარტს დაიღუპა და 1942 წლის მაისში უგზო-უკვლოდ დაკარგული ლეიტენანტი გიორგი სამუელის ქე სარიშვილი. ომის ვეტერანი ჩემი ძმის და ჩემი უფროსი კოლეგის, ცნობილი ჟურნალისტის, მწერლის და პოეტის ვლადიმერ სარიშვილის ნათესავი იყო, რომელიც 2018 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა.

ამ სასაფლაოზე ასევე განისვენებენ ომის ვეტერანები: პოლკოვნიკი გიორგი მიხეილის ქე დორფმანი (16.03.1919 -



სემიონ ტვიფი

05.07.1992.), პოდპოლკოვნიკი იური მარკის ძე ბოროდოვსკი (1920-1986), მიხაილ გრიგორის ძე შისმანი (1905-1984), სემიონ ხანანის ძე ტვიფი (06.01.1906 - 29.07.1969), გრიგორი აბრამის ძე იოფისი (22.11.1916 - 04.03.1971). სამწუხაროდ, მათ შესახებ მეტი არაფერი ვიცი.

საქართველოს დედაქალაქის სკოლების მოსწავლეებისთვის, რომლებმაც სწავლა 1941 წელს დაამთავრეს, 22 ივნისის - კვირა დღე - ყველაზე უღრუბლო და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. წინა დღეს მოლაპარაკების თანახმად მიშა

დავარაშვილმა მეგობრებთან ერთად სკოლის გამოსამშვიდობელი დღის ფუნიკულიორზე აღნიშნვა გადაწყვიტეს. თბილისელი ბიჭები და გოგონები ერთმანეთს სამომავლო გეგმებს უზიარებდნენ, მუდმივ მეგობრობასა და სიყვარულ ეფიცებოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ქალაქში სადამოს, გვიან ჩამოვიდნენ. აქ საშინელი ამბავი შეიტყვეს: ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. დაიწყო ომი, რომელმაც ბევრი ახალგაზრდის გეგმა არია, ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანს ტკივილი და ტანჯვა მოუტანა.

მიშა დავარაშვილი 1923 წელს 8 თებერველს დაიბადა, მე-19-ე წელში იყო. მეორე დღეს, ორშაბათს, მიშა დავარაშვილი სკოლის მეგობრებთან ერთად სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა სამხედრო კომისარიატის მიმართულებით, რომელიც ასობით თბილისელს უკვე ალყაში ჰქონდათ მოქცეული. ასე აღმოჩნდა ებრაელი მიშა დავარაშვილი არმიაში. კავშირგაბმულობის ხაზით ხანმოკლე კურსების შემდეგ სამხედრო ბატალიების შუაგულში აღმოჩნდა. ომობდა ქერჩში, აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიისთვის ბრძოლაში, მომდევნო შეტაკებებში. ორჯერ დაიჭრა, ერთხელ სერიოზულად, ფეხში. თბილისში დაბრუნებისას შეიტყო, რომ დედა გარდაეცვალა...

სწავლობდა კავშირგაბმულობის ინსტიტუტში. სწავლის დასრულების შემდეგ მშვენიერ გოგონა ექსირ აშკენაზიზე



დაქორწინდა. 1949 წელს ახალგაზრდა ოჯახი ბათუმში გადაბარგდა, სადაც მიშა დავარაშვილი სპეციალობით მუშაობდა. ომზე მოყოლა არ უყვარდა. მხოლოდ ეკრანებზე ცნობილი რეჟისორის რეზო ჩხეიძის ფილმის „დიმილის ბიჭების“ გამოსვლისას, მეგობრების ვიწრო წრეში აღნიშნა, რომ ფილმი თითქოს მასზე და მის კლასელებზე იყო გადაღებული, იმდენად თანახმიური იყო იმ ომამდელი პერიოდი. გაიხსენა, რომ ერთხელ სასწრაფოდ უნდა მიეტანა საიდუმლო პაკეტი მეთაურობასთან მოტოციკლით. ზედმეტი აღამინი არ იყო. თითოეული მეზობელი ითვლებოდა. ამიტომ შიკრიკად კავშირის ეფრეიტორი, სანდო მეომარი მიშა დავარაშვილი გაგზავნეს. შტაბისკენ გზაზე ფაშისტური ფასკუნჯი აედევნა. ეტყობა ბომბები გაუთავდა, რადგან ფაშისტი ტყვიამტყორცნიდან ესროდა. არათანაბარი ბრძოლა 20 წუთამდე გაგრძელდა. თითქოს მეტოქის სიკვდილს ეთამაშებოდა, ფაშისტმა რამდენჯერმე გადაუფრინა მოტოციკლს, ხან ეშვებოდა, ხან გვერდიდან მოუვლიდა და უწყვეტლად ესროდა. გარდაუვალ სიკვდილს თბილისელი სასწაულმა გადაარჩინა. საბედნიეროდ მხოლოდ რამდენიმე დაჟეჟილობა და მსუბუქი ჭრილობა ხვდა წილად...

ომის ვეტერანი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი და რამდენიმე საბრძოლო მედლის მფლობელი მიხეილ იაკობის ძე დავარაშვილი 1990 წლის 20 ივლისს ბათუმში გარდაიცვალა. დაკრძალულია ქალაქის ებრაულ სასაფლაოზე. და კიდევ: ლექსების წერა უყვარდა, სულით რომანტიკოსი იყო. ამის შესახებ მხოლოდ მისმა მეგობრებმა იცოდნენ...



ემილ კრუშნიკი და ლევან დოლიძე მიხეილ დავარაშვილის საფლავთან

ამას წინად გაზეთ „Аргументы и факты Тбилиси“ ფურცლებზე ომის ვეტერან, ძირძველ ბათუმელზე, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერ გლებ ნიკოლოზის ძე ოსტოროჟნიზე



მოყვევი, რომელიც ახლა თბილისში ცხოვრობს. აი როგორ იხსენებდა ის ომამდელ პერიოდს ბათუმში: „ჩვენ ზღვისპირა ქალაქში ომის სუნი ჯერ კიდევ 1939 წლის გაზაფხულზე დადგა, როცა ქალაქს პირველად თურქულმა ან გერმანულმა მზვერავმა თვითმფრინავმა გადაუფრინა. მას ცეცხლი ტყვიათმტყორცნებიდან გაუხსნეს. სასაზღვრო რაიონებში დაძაბული მდგომარეობა იყო. ბათუმში საზენიტო ბატარეები დადგეს. ჩვენ, უფროსკლასელები ქუჩაში დამის მორიგეობებზე გავდიოდით. მაღე კი ჯარში გაგვიწვიეს“.

და კიდევ მოვიყვან ერთ მრავლისმთქმელ ფაქტს გამოცდილი მეომრის და ბერლინის შტურმის მონაწილის საუბრიდან, რომელსაც ჩვენს თემასთან აქვს კავშირი: „... ყველას გვიყვარდა დაზვერვის განყოფილების კაპიტანი მარკ რაძინსკი შავგვრემანი, ქართველს ჰგავდა, ვკითხე კიდევაც, „ქართველი ხომ არ ხარ მეტქი,“ რაზეც სიამაყით მიპასუხა: „ებრაელი ვარ, ოდესიდან!“ ბერლინზე თავდასხმის პერიოდში რაძინსკი მზვერავებთან ერთად გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებაში შევიდა, რომელიც მეორე დღეს უკვე ჩვენს ხელში იყო. და უცებ, მისი ცხედარი ვნახეთ ღობეზე, გაშლილი ხელებით, მკერდზე კი ვარსკვლავი ჰქონდა ამოჭრილი...“ ეს თვითმხილველის - გლებ ოსტროუნის სიტყვებია.

ბედნიერად დასრულდა სამხედრო წლები რუბენ ფილხაზის ძე შიმშილაშვილისთვის. ამ არაჩვეულებრივი ადამიანის სამხედრო და საერო ცხოვრება ცალკე წიგნის ღირსია. სამწუხაროდ ჩვენ მოგვიწიეს ომის და შრომის ვეტერანის ბიოგრაფიის მოკლე აღწერით შემოვიფარგლოთ. დაიბადა ღარიბ ებრაულ ოჯახში, ქალაქ ონში 1915 წლის 28 დეკემბერს, პირველი მსოფლიო ომის დროს. ის ჯერ კიდევ სკოლის წლებში მიეჩვია შრომას. ბეჯითი რუბენი ჯერ ფოსტალიონად გააფორმეს, შემდეგ ტელეგრაფისტად გადაიყვანეს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ კი ფოსტის უფროსად დანიშნეს. 1937 წელს რუბენი სამხრეთ ოსეთის ავტონომური ოლქში საქართველოს სსრ-ს კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმომადგენელი გახდა, 24 წლის ასაკში კი ქალაქ სტალინირის (1965 წლიდან - ქ. ცხინვალის) აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე იქნა წარდგენილი.



ებრაელმა ჭაბუკმა ჯარისკაცის შინელი 1940 წელს მოირგო. მალევე დაიწყო ომი ფაშისტურ გერმანია-სთან. რუბენ შიმშილაშვილი კავკასიისთვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. რა არ გამოიარა რუბენმა საძულველ მტერთან ბრძოლების დროს. ხელთ მაქვს ერთ-ერთი დაჯილდოვების ფურცელი, რომელიც გენერალ პოლკოვნიკის კ. ნ. ლესელიძის სარდლობით მე-18-ე არმიის კავშირგაბმულობის ცალკე ბატალიონის პოლიტნაწილის მეთაურის მიერაა შევსებული. ვკითხულობ - „სამშობლოსთვის ბრძოლაში, ტუაფსედან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ამხანაგმა შიმშილაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და ვაჟკაცმა მეთაურმა... ამხანაგი შიმშილაშვილი ყოველთვის ფრიადზე ასრულებდა მსროლელთა 165-ე ბრიგადის მეთაურობის დავალებებს ბრიგადის ნაწილების კავშირით უზრუნველყოფის საქმეში. 1942 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, კავშირის ხაზის პირადი შემოწმებისას მან ეფრეიტორ გლადგოვთან ერთად ტყვედ აიყვანა გერმანელი ეფრეიტორი თავისი ავტომატით, რომელიც მე-18-ე არმიის შტაბში გადაგზავნეს. 1942 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, მსროლელთა 165-ე ბრიგადის მსროლელთა მეორე ბატალიონის მოქმედების რაიონში ყოფნისას ბატალიონის მებრძოლებთან ერთად წავიდა შეტევაში და ყუმბარები დაუშინა მტრის ბლინდაჟებს, მოკლა 4 გერმანელი ჯარისკაცი. ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ მწყობრში დარჩა.



რუბენ შიმშილაშვილი

1942 წლის 18 ნოემბერს, ბრიგადის მეთაურობის დავალების შესრულებისას შიმშილაშვილი წინა ხაზზე იმყოფებოდა. განთიადზე გერმანელმა მეავტომატეებმა იერიში განახორციელეს. ამხანაგმა შიმშილაშვილმა მეთაურობა საკუთარ თავზე აიღო და გერმანელი მეავტომატეების იერიშის მოგერიების ორგანიზება მოახდინა, პირადად იბრძოდა



და თავისი ავტობიოგრაფიით 2 გერმანელი ოფიცერი და 6 ჯარისკაცი მოკლა. თავად კი მძიმედ დაიჭრა...


გერმანელ დამპყრობლებთან სამშობლოსთვის ბრძოლებში პირადი დამსახურების და მძიმედ დაჭრის გათვალისწინებით, სარდლობა მიიჩნევს, რომ ამხანაგი რ. ფ. შიმშილაშვილი წითელი დროშის ორდენის სამთავრობო ჯილდოს ღირსია“... ხელმოწერა, ბეჟედი.

ომის ბოლოსკენ მამაცი ოფიცრის მკერდს წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის საბრძოლო ორდენებთან ერთად სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები და საფრონტო მედლები ამშვენებდა. ომის დასრულების შემდეგ ბეჯითი, მცოდნე და შემსრულებელი ოფიცერი ჯარში დატოვეს, სადაც 1948 წლის შემოდგომამდე რჩებოდა, სახლში კი სამხედრო ჯილდოებით, მაიორის წოდებაში დაბრუნდა.

ამავე წელს რუბენ ფილხაზის ძე შიმშილაშვილი სამხრეთ ოსეთის ოლქის კავშირგაბმულობის სამმართველოს ჩაუდგა სათავეში. 1949 წელს ის სსსრ-ს კავშირგაბმულობის სამინისტროში გადაიყვანეს, სადაც საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებდა. 30 წელზე მეტხანს იყო საქართველოს საფოსტო კავშირის უფროსი. ამ თანამდებობაზე ყველა

რეკორდი მოხსნა. იყო სსსრ-ს კავშირგაბმულობის სამინისტროს კოლეგიის წევრი. სსსრ-ს კავშირგაბმულობის სამინისტროში ჩემი სკოლის წლების მეგობარი ოთარ ბასილაშვილი მუშაობდა, რომელმაც კავშირგაბმულობის სფეროში უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო, სსსრ-ს კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი იყო.

„იშვიათად თუ შეხვდებოდით ჩვენს სამინისტროში თავისი საქმის ასეთ მაღალ პროფესიონალს, როგორიც





იყო ყველასთვის პატივცემული რუბენ ფილხაზის ძე შიმშილაშვილი. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იმუშავა ჩვენს სისტემაში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენში ყველაზე ავტორიტეტული, წესიერი და სამართლიანი ადამიანი იყო. მისი საბრძოლო დამსახურებების მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე მოკრძალებულ მშრომელ ადამიანად რჩებოდა“, - ეს ჩემი სახელგანთქმული მეგობრის, ახლა კი მეზობლის ოთარი ბასილაშვილის დიდი მოგონებებიდან ნაწყვეტია.

ნათქვამს შემიძლია დავამატო, რომ ჩვენ გმირს ორი უმაღლესი განათლება აქვს - იურიდიული და ეკონომიკური. 1967 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, 1982 წელს პროფესორი გახდა. 1962 წელს მისი ინიციატივით თბილისში საკავშირო კავშირგაბმულობის ინსტიტუტის ფილიალი დაარსდა, სადაც 10 წლის მანძილზე დირექტორად მუშაობდა. 1972 წლიდან გარდაცვალებამდე ინსტიტუტის დოცენტი იყო, 1982 წლიდან კი პროფესორი სტუ-ში. მრავალი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი რუბენ ფილხაზის ძე შიმშილაშვილი სამართლიანად ითვლება საქართველოს კავშირგაბმულობის ეკონომიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

როცა ვისხენებთ რუბენ შიმშილაშვილის საბრძოლო გზას უფლებს არ გვაქვს არ გავისხენოთ მისი სიყრმის მეგობარი და თანამებრძოლი მანუახ (ვანო) ეფრემის ძე ბენიაშვილი. მათი გზები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ქალაქ ცხინვალში გადაიკვეთა და იქ დაწყებული მეგობრობა ორივემ დიდი ხნის განმავლობაში მთელი ცხოვრების მანძილზე დირსეულად ატარა. ფრონტზეც ერთად მოუწიათ ბრძოლა.


მანუახ (ვანო) ეფრემის ძე ბენიაშვილი დაიბადა 1916 წლის 13 დეკემბერს ქალაქ ცხინვალში, საშუალო სკოლა კი ქალაქ გორში



რ. შიმშილაშვილი
ვ. ბენიაშვილი



დაამთავრა. განათლება გააგრძელა მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა, შემდეგ კი გახდა მოსკოვის ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მსმენელი.



ვანო ბენიაშვილი

სამამულო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე სატანკო ბრიგადაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ქალაქ ტუაფსესთან მიღებული ჭრილობის გამო დაუდგინდა პირველი ხარისხის ინვალიდობის ჯგუფი და გადმოყვანილი იქნა ქ. თბილისში არსებული №110-ე სამხედრო საწყობის (არსენალის) ხელმძღვანელის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში, შემდეგ კი მრავალი წლის მანძილზე ნაწილის უფროსის თანამდებობაზე აგრძელებდა საქმიანობას. დაჯილდოვებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით.

მას და მის მეუღლეს რუსუდან ბაგრატიონ-ჭავჭავაძეს შეეძინათ 2 შვილი და ისინი რუბენ შიმშილაშვილის შვილებთან ერთად აგრძელებენ მათი მამების მიერ დაწყებულ მეგობრულ ურთიერთობებს.

პოლკოვნიკი მანუახ (ვანო) ეფრემის ძე ბენიაშვილი გარდაიცვალა 1985 წლის 2 აპრილს (68 წლის ასაკში) ქ. თბილისში.

ასევე აღსანიშნავია რუბენ შიმშილაშვილის და მანუახ ბენიაშვილის პირადი მეგობრების და ნაცნობების დიდი წრე 60-70 წლების სსრკ-ს უმაღლესი სამხედრო თანამდებობის და სამხედრო წოდების პირებთან, მათთან უშუალო და არაფორმალურ ურთიერთობით საქართველოსთვის ბევრი დადებითი საკითხი იქნა გადაჭრილი ზედმეტი პრობლემების და ჩინოვნიკური გართულებების გარეშე.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მოქმედ არმიაში ასეულობით გენერალი და ოფიცერი - ქართველი ებრაელი მსახურობდა. ზოგი მათგანი ბრძოლის ველებზე უგზოუკვლოდ დაიკარგა ან დაიღუპა. სამწუხაროდ, ყველას ჩამოთვლა



შეუძლებელია. წიგნში უკვე აღვნიშნეთ გენერლები, სახელმწიფო უშიშროების კომისრები, არმიის სარდლები, კორპუსების და დივიზიების მეთაურები, საბჭოთა კავშირის გმირები, დიდების ორდენის სამივე ხარისხის კავალერი.

დავასახელებ კიდევ რამდენიმე ცნობილ ებრაულ გვარს საქართველოდან ოფიცრების უმაღლესი შემადგენლობიდან. ესენი არიან: პოლკოვნიკები - სოლომონ დავითის ძე აჯიაშვილი, გრიგორი აბრამის ძე იოფისი, რუბენ მიხეილის ძე პაატაშვილი, სიმონ აბრამის ძე ტარიელაშვილი, ილია იოსების ძე მაღალაშვილი, სემიონ ვასილის ძე ლევი, ვლადიმერ მოსეს ძე სეიკო, ნადი ილიას ძე შპრინცი, ლევ ალექსეის ძე გრიბაშევი, გიორგი მიხეილის ძე დორფმანი, იმელიკი, სოლომონ სამუელის ძე ალპეროვიჩი, იური ივანეს ძე ბენი, მიხეილ ბორისის ძე ბრონშტეინი; პოდპოლკოვნიკები - იაკობ მ. კეზერაშვილი, ზებულონ აბრამის ძე ციციაშვილი, იური მარკის ძე ბოროდოვსკი, ვიქტორ მოსეს ძე პრიბილსკი, დიმიტრი ილიას ძე ბერესნეევი, დიმიტრი დანიელის ძე კონოპლიოვი, ლევ ალექსანდრეს ძე კონონოვიჩი, შულიმ ნისანის ძე ნემეცი, ბორის მირონის ძე ფრენკელი; მაიორები - ისააკ ბაშარის ძე გვანცელაძე, იაკობ ბორისის ძე გერშტეინი, ლეონიდ ალექსანდრეს ძე დუელი, ილია იოსების ძე კანმაზოვი, გრიგორი ილიას ძე კლეიმანი, იაკობ მოსეს ძე არონოვი, ალექსანდრე ვლადიმერის ძე გინოდმანი, იაკობ ისრაელის ძე ფურმანი, სემიონ ხანანის ძე ტეიფი, არონ მოსეს ძე ფრენკელი, ლევ იანის ძე იავორსკი, რუბენ ფილხაზის ძე შიმშილაშვილი და მრავალი სხვა...

წილად მხვდა ბედნიერება მეორე მსოფლიო ომის კიდევ ერთი მონაწილის - პოდპოლკოვნიკ რეუბენ მიხეილის ძე პაატაშვილის გაცნობა. მშვენიერ მეუღლე რიმა ხაიმის ასულ თოფჩიშვილთან ერთად 9 ვაჟი და ქალიშვილი გაზარდეს. როგორც ქართველი ებრაელების უმეტესობა, პაატაშვილების ოჯახი მოკრძალებულად ცხოვრობდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მუშაობდა ოჯახის დასახმარებლად. თბილისის საშუალო ქართული სკოლა რუბენმა 1932 წელს დაამთავრა. სწორედ საზრიანობამ და მიზანდასახულებამ მიაღებინა თბილისელ ჭაბუკს რაიონის კომკავშირის რეკომენდაცია საქართველოს სსრ-ს შსს-ს ორგანოებში. ოპ-



რუზენ პაატაშვილი

ერატიულ სამსახურთან ერთად რ. მ. პაატაშვილი თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

ბეჯითი და წიგნიერი მუშაკი მალე მოსკოვში მიავლინეს, სადაც მან წარმატებით გაიარა სსრკ-ს შსსკ-ს სპეცკურსები სახელმწიფო უშიშროების ხაზით. მდელვარე დრო იყო. სამუშაო ბევრი. სახელმწიფო უშიშროების ოფიცერი რეუბენ პაატაშვილი ღირსეულად უმკლავდებოდა თავის მოვალეობებს. ომის პირველივე დღეებიდან ჩეკისტების დიდი ჯგუფი საბრძოლო მოქმედებების ყველაზე რთულ მონაკვეთებზე იქნა მივლინებული. სამწუხაროდ ცოტა

რამ ვიცით მის სამსახურსა და მოღვაწეობაზე. მისი სამსახურის დიდი ნაწილი გასაიდუმლოებული იყო, ამასთან, სხვადასხვა მიზეზებით გამოცდილი ფრონტელის საბუთები და ჯილდოები დაიკარგა. ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ფრონტზე უშიშროების ოფიცერი ხელში დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი რეუბენ პაატაშვილი კვლავ იბრძოდა მოქმედ არმიაში. ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ბრძოლაში მტრის ჭურვის აფეთქების ეპიცენტრში აღმოჩნდა. სასწაულად გადარჩა, მაგრამ მკერდი, მუცელი და სხეული ნამსხვრევებმა დაუსახინჩა. სამხედრო ქირურგების ოსტატობის წყალობით, რომლებმაც მთელი სხეული გაუკერეს მამაც მეომარს, ჩვენი თანამემამულე არამარტო გადარჩა, არამედ სახელმწიფო უშიშროების რიგებში დარჩენის უფლება მოიპოვა.

ომის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების ოფიცერი რეუბენ პაატაშვილი სამსახურს მოსკოვის ოლქში აგრძელებდა. ი. ბ. სტალინის სიკვდილის და ლ. პ. ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ როგორც ბევრი ქართველი ჩეკისტი რეპრესირებული, დაპატიმრებული და დემობილიზებული იქნა. შეიძლება ითქვას, ომის მონაწილე, ორდენოსანი რეუბენ პაატაშვილი ბედნიერი ვარსკვლავის ქვეშ დაიბადა - ის საქართველოს შსს-ს განკარგულებაში მიავლინეს, სადაც ათწლიანი სამ-



სახურის შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. მაგრამ სახლში უმუშევრად ყოფნა მის წესებში არ ჯდება. მალე პოლკოვნიკი-ჩეკისტი თბილისის უნივერსიტეტის დირექტორად დანიშნეს. პერსონალური პენსიონერი, ომის და შრომის ვეტერანი ამ თანამდებობიდან უმწიკველო რეპუტაციით, დიპლომებით, სიგელებით და მადლობების წერილებით წავიდა. რეუბენ მიხეილის ძე პაატაშვილი 1993 წელს, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა, ის თბილისში, ვარკეთილის ებრაულ სასაფლაოზეა დაკრძალული.

იმავე სასაფლაოზეა დაკრძალული 1907 წელს დაბადებული ისაკ ისრაელის ძე არონზონი, იგი იბრძოდა კარელიის ფრონტზე მურმანსკის მიმართულებით, ასევე უკრაინის ფრონტზე, გამორჩეული სიმამაცისათვის დაჯილდოვებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით...



ისაკ არონზონი

მამაკაცებთან ერთად მეორე მსოფლიო ომში საქართველოს ქალები და გოგონები იბრძოდნენ, რომელთა შორის ბევრი ებრაელიც იყო. სულ ფრონტზე 26 000 ათასზე მეტი ქალი იყო გაწვეული საქართველოდან. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ ჯანდაცვის სფეროში. 1941 წლის ივლისიდან საქართველო ფრონტისპირა რაიონებიდან ათობით ათასი ევაკუირებული განთავსების ერთ-ერთი მთავარი ბაზა გახდა. აქვე გადმოჰყავდათ უამრავი დაჭრილი მეომარი. ამიტომ მაშინ საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატში ოპერატიულად შეიქმნა ევაკუირებული ჰოსპიტალების სამმართველო, რომელიც ყოველთვიურად იზრდებოდა. დაჭრილთა დიდი ნაკადი წამოვიდა ყირიმის ბრძოლების შემდეგ, 1942 წლის ზაფხულიდან კი საქართველოში შეუწყვეტლად მოედინებოდა ომით გამოწვეული ნაკადი - დაჭრილი მეომრები და მშვიდობიანი მოსახლეობა. მარტო თბილისში ოპერატიულად 29 ჰოსპიტალი შეიქმნა. სულ კი, ომის წლებში საქართველოში 72 ჰოსპიტალი მოქმედებდა. იმ დროისთვის დანარჩენ რესპუბლიკებში ამაზე მეტი მხოლოდ რუსეთში იყო. დაჭრილთა 70% მწიკვარში საქართველოს მე-



დიკოსების კვალიფიკაციის და მზრუნველობის წყალობით ბრუნდებოდა!

ასობით მედმუშაკი, რომელთა შორის ბევრი ებრაელი იყო, დღე და ღამე არ სცილდებოდნენ საოპერაციო მაგიდებს და პაციენტებს, სიმშვიდის იშვიათ წუთებში კი


სისხლის ჩასაბარებლად მიდიოდნენ. საქართველოს სისხლის გადასხმის ინსტიტუტის და მისი ფილიალების მონაცემებით, ომის წლებში აქ ფრონტისთვის 25 ტონა (!) დონორული სისხლი იქნა მომზადებული, ამასთან, დონორებს შორის 82% ქალები იყვნენ. სისხლს აბარებდნენ დედაჩემი - მედმუშაკი, თავის ახლობელ კოლეგა და სეხნია ლიზა ბაბლაშვილთან ერთად. ლიზა ბაბლაშვილს თავისი 4 წლის გოგონა ლიანა ჩვენს 10-მეტრიან ოთახში მოჰყავდა ძერჟინსკის ქუჩაზე, მერე კი დედაჩემთან ერთად ჩვენ, ბავშვებს მეზობლებთან გვტოვებდა და ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე (ახლა იმ შენობაში საქართველოს საგარეო სამინისტროა განლაგებული) სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში ნებაყოფლობით მორიგეობაზე მიდიოდნენ. სხვათაშორის დედაჩემი, ისევე როგორც ბევრი სხვა თანამშრომელი, დააჯილდოვეს მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცი შრომისთვის“. საქართველოში ყველგან ასე იქცეოდნენ. ერთ-ერთი პირველები, ვინც ეს კეთილშობილური საქმე წამოიწიეს სახელგანთქმული ქართველი სარდლების მეუღლეები - ნინა შეწირული-ღესელიძე და ქსენია ჩანჩიბაძე იყვნენ!

ჰოსპიტალებში მორიგეობდა ჩემი სკოლის მეგობრის და მეზობლის იურის დედაც - რაისა პიშიკი რომელიც ომის შემდეგ თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა.

საქართველოში პირველი საზღვაო ჰოსპიტალი №2467 დაარსდა 1941 წლის ნოემბერში. მის უფროსად დანიშნეს მესამე რანგის სამხედრო ექიმი ილია ისაკის ძე ეზიაშვილი, მისი მოადგილე კი გ. ე. სირაძე გახდა. თბილისის სტუდენტთა კორპუსებში განთავსდა ჰოსპიტალი №1420, რომლის უფროსა-



დაც ა. ი. სვინინი დანიშნეს, მისი თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში ბიბლიეიშივილი იყო, რომელიც 1942 წელს გაემგზავრა ფრონტზე, სადაც გმირულად დაეცა. ეს იმხელა მოცულობის თემაა, რომ მხოლოდ ჩემთვის ცნობილი ებრაელი ექიმების გვარების



ჩამოთვლით შემოვიფარგლები, რომლებიც ომის დროს საქართველოს ჰოსპიტალებში მუშაობდნენ. ჰოსპიტალის უფროსი, პროფესორი ლ. ელიაშვილი, ექიმები (მომავალი ცნობილი პროფესორები) ი. ა. კშონზერი, ს. ა. ბააზოვა, გ. დ. შვარცმანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ა. პ. გეიმანოვიჩი, პროფესორი ნ. ა. ხრომელაშვილი, პროფესორი ედიბერიძე, წამყვანი ექიმები ლაშევიჩი, ურიცკი, მედლები პ. ი. აბრამოვა, ე. ეთერაშვილი, ნ. იოსებაშვილი და სხვები.

სხვათაშორის, კარგად ვიცნობდი მთელს ქალაქში ცნობილ ნევროპათოლოგ სოფია აბრამის ასულ ბააზოვას, რომელთანაც თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე რადიკულიტს ვმკურნალობდი ჩემს კეთილ ებრაელ მეგობარ და ქალაქის კოლორიტ სიმონ იოსებაშვილთან ერთად. ს. ა. ბააზოვას არასოდეს წამოცდენია თავის დამსახურებებზე ომის წლებში. ამის შესახებ მისმა სახელგანთქმულმა ვაჟმა ნათან ბააზოვამ მოჰყვა.

გამოცდილი მედიკოსი ლიუბოვ იოსების ასული გერმანი ღამეებს მძიმე ავადმყოფი მეომრების საწოლებთან ატარებდა, დღისით კი ავადმყოფების მკურნალობას და უამრავი პრობლემის გადაჭრას ასწრებდა. მას „ყველასათვის საყვარელ დედას“ ეძახდნენ.

შექლებისდაგვარად მეგობრებთან ერთად ეხმარებოდა ჰოსპიტალებში, 22 წლის ასაკში კი მოხალისედ წავიდა ფრონტზე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ლიზა აბრამის ასული აბრამიშვილი. იგი მონაწილეობდა სევასტოპოლის გმირულ დაცვაში, რომლის დროსაც მამაცი გოგონა 1942 წელს დაიღუპა. ყირიმში ფეოდოსიის გათავისუფლებას დაიღუპა მესამე რანგის სამხედრო ექიმი, 26 წლის ფაინა იოსების ასული ჯინჯიხაშვილი, ეს 1944 წელს იყო.



ბრძოლიდან არ დაბრუნებულან სამხედრო ექიმები მარგარიტა ფიხსაძე და ალექსანდრე ჯანაშვილი.

1942 წლის მაისში, ქერჩის მსურვალე ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა 40 წლის ექიმი,

თბილისელი ეკატერინე მოსეს ასული არხიბანდი. უცნობია საქართველოს სამხედრო ექიმების ბედი: ლეონიდ ვასილის ძე ბლაგორაზუმოვსკის, ევგენია ვდიმერის ასული გოლოვინას, გრიგორი სიმონის ძე ელაშვილის, ლევ აბრამის ძე რუბინშტეინის, მოსე ლევის ძე გუპილინის, რომლებიც ომის წლებში უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.

ფრონტზე დაიღუპა ქერჩის მოვლენების მონაწილე 220-ე მსროლელთა პოლკის მედდა თამარა მოშეს ასული ენუქაშვილი და მედსამსახურის ლეიტენანტი ეთერი აბრამის ასული შამელაშვილი ქუთაისიდან. ცხინვალიდან ფრონტზე იმყოფებოდნენ: თამარა არონის ასული პატარკაციშვილი, ზინა ხახიაშვილი, სამხედრო ექიმი დავით შალომის ძე კაკიაშვილი.

შავი ზღვის ფლოტის და აზოვის ფლოტილიის ჯგუფები ყირიმში ერთდროულად ახორციელებდნენ დესანტის ჩამოსხდომას და დაჭრილების გაყვანას. ეს 1942 წლის დასაწყისში იყო. ხომალდების ეკიპაჟები უმძიმეს პირობებში ასრულებდნენ მათ წინაშე დასახულ დავალებებს, ჰქონდათ დანაკარგები, რომელთა შორის ქართველი ებრაელებიც იყვნენ: 25 წლის რეუვენ ავნერის ძე კეზერაშვილი, სრულ დავითის ძე ბრონფუნბიენერი, იაკობ მეირის ძე იუდკოსოვიჩი, როზენფელდი და სხვები.

გერმანული ავიაციის დაბომბვის შედეგად ჩაიძირა ხომალდი „არმენია“. დაღუპულთა შორის ბევრი იყო საქართველოდან. იქ დაიღუპნენ სამხედრო ექიმები ფაინა ჯინჯოლია და ელენა ხუძიაკი. კავკასიისთვის ბრძლაში დაიღუპა სამხედრო ფელდშერი სონია იმნაძე, უკრაინის გათავისუფლებისას – სამხედრო ექიმები ზინა აბრამის ასული რუსიშვილი, ელენა მეირის ასული დავიდოვიჩი, რაისა ანდრეის ასული კონსტანტინოვა, ვასილი ლეონიდეს ძე არხანგელსკი, რომან



გორელაშვილი და სიკო სეფიაშვილი.

1944 წლის აპრილ-მაისში ოდესის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ თბილისელი ებრაელები ისაკ ვოლფენზონი, მოსე აბრამოვი და მრავალი სხვა. სხვათაშორის, ოდესა მესამე უკრაინული ფრონტის ძალებმა გაათავისუფლეს, რომელსაც როდიონ იაკობის ძე მალინოვსკი (1898-1967) ხელმძღვანელობდა - საბჭოთა კავშირის მომავალი მარშალი, გამარჯვების ორდენის კავალერი, სსრკ-ს ორგზის გმირი, იუგოსლავიის ეროვნული გმირი, სსრკ-ს თავდაცვის მინისტრი, მეორე მსოფლიო ომის სახელგანთქმული მეთაური. ამ წიგნზე მუშაობისას, ებრაული ენციკლოპედიის მეორე ტომში ამოვიკითხე, რომ რ.ი. მალინოვსკი ყარაიმი (ებრაელი) იყო. ოდესაში ცნობილ მთავარსარდალს ბრინჯაოს ბიუსტი დაუდგეს.

1944 წლის ზაფხულში ბელორუსიის გათავისუფლებისას ოპერაცია „ბაგრატიონის“ მსვლელობისას დაიდუპნენ სამხედრო ექიმები მარგარიტა ფიხსაძე, შამშუე ზონენაშვილი, ალექსანდრე ჯანაშვილი. ბრძოლის ველზე დაცემულთა შორის იყო მედსამსახურის კაპიტანი კონსტანტინე გეგელაშვილი.

1944 წლის 9 მაისს, გამარჯვებამდე ერთი წლით ადრე, საბრძოლო პოსტზე დაიდუპა სამხედრო ექიმი გალინა ისაკის ასული ისაკაძე. ის გვარდიის მსროლელთა 391-ე დივიზიის 42-ე სამედიცინო სანიტარული ბატალიონის ქირურგი იყო. გ.ი. ისაკაძე მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცს უტარებდა ოპერაციას, როცა ძლიერი დაბომბვა დაიწყო. საოპერაციო მაგიდას არ მოსცილდა, დაჭრილი არ მიატოვა. ქართველი ებრაელი მას გადაეფარა. ჯარისკაცი გადარჩა, ხოლო მედსამსახურის მამაცი კაპიტანი გალინა ისაკის ასული ისე გარდაიცვალა, რომ გონს არც მოსულა...

გამარჯვების 1945 წელს სამხედრო პოსტებზე დაიდუპნენ სამხედრო ექიმები საქართველოდან - ალექსანდრე სამუელის ძე ბიკი და ვულფ ისრაელის ძე პლოსკინი. კარგად აეწყო 19 წლის ზინა ხახიაშვილის და 22 წლის თამარა პატარკაციშვილის ბედი, რომლებსაც საბრძოლო ჯილდოები გადაეცადა და სახლში ცოცხლები და უვნებლები დაბრუნდნენ. საქართველოში ფართოდ არის ცნობილი ომის აქტიური მონაწილე, სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი ბათუმელი იური მარკის ძე ბოროდოვსკი. გულმოდგინებისათვის და მაღალი



კვალიფიკაციისათვის სამხედრო ექიმ ი. მ. ბოროდოვსკის აჭარის ასსრ-ს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭა. ომის ვეტერანი 1986 წელს, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ომის დროს სამხედრო ფელდშერი იყო 18 წლის ქუთაისელი რაისა (სიმხა) ილიას ასული ბინიაურიშვილი. ფრონტზე ბედმა მასზე 10 წლით უფროს, გამოცდილ ბათუმელ სამხედრო ოფიცერ შალვა იოლდის ძე პალტაგიენტის შეახვედრა. ერთმანეთი შეუყვარდათ და ნახევარი ევროპა ერთად გაიარეს. ომის შემდეგ დაქორწინებული წყვილი ბედნიერად ცხოვრობდა ქუთაისში. სხვათა შორის, ცნობილია, რომ დაცემულ ბერლინში თანამემამულე მიხეილ იაკობის ძე ბინიაშვილს შეხვდნენ, რომელიც ომის შემდეგ თბილისში ცხოვრობდა, სადაც 1994 წელს გარდაიცვალა.

თბილისში საკმაოდ ცნობილი იყო სახელგანთქმული სამხედრო მფრინავის ხაიმ არონის ძე მამისთვალოვის და სამხედრო ექიმის მარიამ შიმშილაშვილის ოჯახური წყვილი. ხაიმმა, რომელსაც მეგობრები მიშას ეძახდნენ, ბავშვობაში გამოსცადა შიმშილი და სიცივე. ამიტომ სკოლის დასრულებისთანავე სამუშაოდ თბილისის ნავთლუღის ავეჯის ფაბრიკაში მოეწყო. მალე ომიც დაიწყო. მისი დაბადების თარიღი 1922 წლის 14 მაისი პირველ სამხედრო გაწვევას დაემთხვა.

ხაიმ მამისთვალოვი, როგორც მოწინავე კომკავშირელი და ბრწყინვალე დახასიათების მუშა კიროვადლის საავიაციო სასწავლებელში გააგზავნეს, თუმცა ქართველ ებრაელს 1943 წელს ბალაშოვის საავიაციო სასწავლებელში მოუწია სწავლის დასრულება. ამის შემდეგ თვეების განმავლობაში სამხედრო მფრინავი ცეცხლმოდებულ ზეცაში საფრენოსნო ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. ხაიმ მამისთვალოვისათვის დამახასიათებელმა თავგანწირვამ და სიმამაცემ, ასევე ბავშვობიდან შესისხლხორცებულმა შრომისმოყვარეობამ და თავმდაბლობამ თანამებრძოლებს შორის დამსახურებული პატივისცემა მოუპოვა.



ხაიმ მამისთვალოვი



მალე ქართველი მოიერიშე-მფრინავის ოსტატობისა და გმირობის შესახებ შეიქმნა მე-16 საჰაერო არმიამ, რომელსაც ავიაციის მომავალი მარშალი, საბჭოთა კავშირის გმირი ს.ი. რუდენკო მეთაურობდა და რომელიც პირველი ბელორუსის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა მარშალ გ.კ. ჟუკოვის ხელმძღვანელობით. რასაკვირველია თბილისელი ოფიცრის ხაიმ მამისთვალაოვის საომარი გზა ვარდებით არ იყო მოფენილი, თუმცა სასიქადულო თბილისელი თავისი ლეგენდარული მეთაურების ღირსი იყო.

დემობილიზაციამდე, ფრენის მეთაურის, გვარდიის მე-11 მოიერიშე ავიაციის დივიზიის მფრინავის მკერდი საბრძოლო ჯილდოებმა დაამშვენა: წითელი დროშის 2 ორდენი; წითელი ვარსკვლავის ორდენი; დიდების მე-3 ხარისხის ორდენი; სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი; მედლები „ბერლინის აღებისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“. სამხედრო მფრინავმა ასევე საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობაც დაიმსახურა.

დემობილიზაციის შემდეგ ხაიმ მამისთვალაოვი საქართველოს დედაქალაქში ეკონომისტად მუშაობდა. ომისა და შრომის ვეტერანმა რთული, მაგრამ ბედნიერი ცხოვრების გზა განვლო. იგი 1990 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. წლების განმავლობაში მას გვერდს ერთგული მეუღლე, ომისა და შრომის ვეტერანი მარია შიმშილაშვილი უმშვენებდა. იმ პერიოდში, როდესაც ქალბატონი მარია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლას ამთავრებდა, ექიმებზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო. ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური ექიმების ნაკლებობას განიცდიდა. სწორედ ამიტომ ექიმი მარია შიმშილაშვილი №1420 ჰოსპიტალში აღმოჩნდა. ომის წლებში საქართველოში ასეთი 72 ჰოსპიტალი ფუნქციონირებდა. სამედიცინო სისტემა კი კადრების



მარია შიმშილაშვილი



ნაკლებობას განიცდიდა. დაჭრილები მაშინ ძალიან ბევრი იყო, ამიტომ სამედიცინო მუშაკებს ორ ცვლაში უწევდათ მუშაობა.

1944 წელს მარიამ შიმშილაშვილი თბილისის საქალაქო ჯანდაცვის განყოფილების სამედიცინო სექტორის უფროსად დანიშნეს. ომის დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ კი იგი ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც წარმატებით ხელმძღვანელობდა ელექტრო - კარდიოლოგიურ კაბინეტს. როდესაც 1973 წელს, თბილისში ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო გაიხსნა, ომის ვეტერანს ელექტრო ფიზიოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობა შესთავაზეს. მუშაობის 44 წლის განმავლობაში მ. შიმშილაშვილი პირველი კატეგორიის ექიმი გახდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროებში. სამედიცინო თუ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული მისი პუბლიკაციები ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებდა. ამასთანავე მარიამ შიმშილაშვილი მედიცინის ქართველი კორიფეების გ. ბახტაძის, ვ. ალადაშვილის და კ. ვირსალაძის თანაავტორი იყო. ქალბატონი მარიამი თბილისის, ლენინგრადის და კიევის საერთაშორისო სამედიცინო სიმპოზიუმების მუდგმივი მონაწილეც იყო. მრავალი წლის განმავლობაში იგი სამედიცინო კურსებზე კარდიოლოგიის ლექციებს კითხულობდა. ომისა და შრომის ვეტერანი მ. შიმშილაშვილი 2011 წელს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბერლინთან ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ებრაელებმა საქართველოდან - რაისა უსტიაკოვამ და ანა კრასნობროვამ. მათზე საფრონტო გაზეთებში წერდნენ. 18 წლის ქუთაისელი ეთერი აბრამის ასული შამელაშვილი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. თავიდან არ უნდოდათ მისი აყვანა, ისევე როგორც სხვა ქალების და გოგონების. მაგრამ ეთერ შამელაშვილმა თავისას მიაღწია. სხვათაშორის, პირველად მოქმედ არმიაში ქალების აყვანა ი. ბ. სტალინის ბრძანებით დაიწყო. ომის პირველ წლებში საბჭოთა ძალებს კოლოსალური დანაკარგები ჰქონდა, საკმარისი ჯარისკაცები არ იყო, ამიტომ არმიაში ქალების გაწვევა დაიწყო. ეთერ შამელაშვილი იშვიათად მამაცი და თავზეხელაღებული გოგონა აღ-



მოხნდა. იგი ცნობილ 23-ე კავალერიულ დივიზიაში მსახურობდა, ომობდა ჩრდილოეთ კავკასიაში. მარჯვე საბრძოლო მოქმედებებისთვის, საზრიანობისთვისა და სიმამაცისათვის ქუთაისელ ებრაელ ქალს ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. ეთერი შამელაშვილი ქერჩის მოვლენების დროს დაიღუპა.

გამარჯვებით დაბრუნდა სახლში სამედიცინო სამსახურის მაიორი გრიგორი ილიას ძე კლეიმანი, რომლის სიმამაცე და გმირობა ჯილდოებით და ი. ბ. სტალინისგან მადლობის წერილით იქნა აღნიშნული. ომის რთულმა ტვირთვა მალევე იჩინა თავი. გ. ი. კლეიმანი 1957 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ებრაულ სასაფლაოზე ქალაქ ქუთაისში, სადაც ბოლო წლებში მუშაობდა. ვეტერანი სამხედრო ექიმი მხოლოდ 57 წლის იყო.

პრაქტიკულად მთელი ომი გაატარა საზენიტო ნაწილებში ბათუმელმა ოფიცერმა ბორის იოფემ, ბათუმის ყოფილი ვიცე-მერის, თეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის იაკობ ალექსანდრეს ძე გრიგორიევის ახლო ნათესავმა. ომის ვეტერანი ბორის იოფე მოსკოვში გარდაიცვალა, დაკრძალულია დომოდედოვოს სასაფლაოზე. ფრონტზე იაკობ ალექსანდრეს ძეს კიდევ ორი ახლო ნათესავი იბრძოდა - იაკობ ბორისის ძე გერშტეინი და პოლკოვნიკი იმელიკი. სამწუხაროდ, მისი სახელის და მამის სახელის გარკვევა ვერ მოვახერხე.

ასევე გამარჯვებით დაბრუნდნენ ფრონტიდან ფაინა ბერეზინა და ელენა იონკა. ისინი მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ თბილისში და ომის სხვა ვეტერანებთან ერთად აღნიშნავდნენ გამარჯვების დღეს, ერთად ამკობდნენ ყვავილებით უცნობი ჯარისკაცის საფლავს გამარჯვების პარკში, ვაკეში.

გადიოდა წლები, ვეტერანთა რიგები მცირდებოდა. ფაშის-ტურ გერმანიაზე 70 წლის გამარჯვების დღის აღსანიშნავად მეგობრები ტრადიციისამებრ საქართველოს ებრაულ სათემო სახლში შეიკრიბნენ და სამახსოვრო სურათი გადაიღეს. სამწუხაროდ, დღეს მათგან არავი-





ნაა ცოცხალი. დრო შეუპოვარია. მათი ჯგუფური ფოტო მეგობრებისთვის უკანასკნელი გახდა. ცოტა ხნის წინ ვიყავი ამ სტუმართმოყვარე სახლში და ვნახე ეს სურათი, რომელიც სპეციალურ სტენდზეა მოთავსებული. ფოტოზე ომის ეს მამაცი მონაწილეები პირველ რიგში იხდნენ, გვერდით კი ომის და შრომის ვეტერანი-მეგობრები ჰყავდათ: დავით ბარტყუაშვილი, ბორის ზაალიშვილი, არონ კუბერნიკი, ზიამა ქელეზნიაკი, სემიონ მორდუხოვი, პაველ ლეონიდოვი, კონსტანტინე შატბეროვი და ალკაზარ შალოლაშვილი. ზოგ მათგანს ვიცნობდი. საქართველოში ებრაეული საზოგადოებრივი სახლის რევაზ შათაშვილის დახმარების წყალობით ეს ჯგუფური სურათი საქართველოს ებრაელების მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის შესახებ ჩემს მასალასთან ერთად გაზეთში „Комсомольская правда в Грузии“ 2018 წლის მაისში გამოქვეყნდა.

დღემდე ვერ ვივიწყებ ომით დაღუპულ სიყვარულის სევდიან ისტორიას. იმის მიუხედავად, რომ ომის დროს უმრავი ასეთი ამბავი მოხდა, მათი მოსმენა ან წაკითხვა აუღელვებლად, თანაგრძნობის გარეშე დღემდე შეუძლებელია. საქართველოში უამრავი ასეთი ამბავი იყო. თითქოს მთელმა ქვეყანამ შავები ჩაიცვა. და რამდენი უკვე გაჭაღარავებული, ოდესღაც მზეთუნახავი, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ინარჩუნებდნენ იმ პირველი გრძნობის ერთგულებას, რომელსაც სიყვარული ჰქვია!

ერთი ასეთი ამბავი ქუთაისში მოხდა. ადგილობრივი ქირურგი ერემო ზებულის ძე ცხვირავაშვილი ჯარში 1941 წლის 22 ივნისს გაიწვიეს, 24 ივნისს კი შეყვარებულთან ქორწილი ჰქონდა დანიშნული... სამხედრო ექიმი ე. ზ. ცხვირავაშვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი საცოლე 83 წლის ასაკში გარდაიცვალა და მთელი თავისი რთული სიცოცხლის მანძილზე თავისი რჩეულის ერთგული დარჩა. დემეტო, რამდენ ასეთ მაგალითს ინახავს ომის რთული წლები...

თუმცა ბედნიერი შემთხვევებიც იყო. ცოტა ხნის წინ თბილისში გარდაცვლილი ცნობილი ექიმი სემიონ აბრამის ძე მორდუხოვი პაციენტების დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. მაგრამ ცოტამ თუ იცოდა, რომ ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მსმენელი 18 წლის ასაკში ფრონტზე მოხალისედ წავიდა. მის სამხ-



ედრო ოდისეაზე ცალკე წიგნის დაწერა შეიძლება. ჩვენ კი მოკლედ მოყვებით. სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა, დაიჭრა, კონტუზია მიიღო, კვლავ დაიჭრა. მაგრამ ყოველთვის მწყობრში ბრუნდებოდა. გერმანიაზე გამარჯვებას აღმოსავლეთ პრუსიაში შეხვდა. მერე იყო შორეული აღმოსავლეთი, სადაც ის თავის სიყვარულს - სამი საბრძოლო ორდენის და ექვსი საფრონტო მედლის კავალერს მარია ნიკოლოზის ასული იაშვილს შეხვდა, ასევე საქართველოდან. ერთად ბედნიერი ცხოვრება გაიარეს და შვილებს სიკეთის კეთება უანდერძეს!

დინა იაკობის ასული დავარაშვილი 1910 წელს სურამში დაიბადა. თბილისში სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ბათუმის პორტის დისპანსერში გააგზავნეს სამუშაოდ, როგორც ექიმი-ორდინატორი. ომის დასაწყისიდან მკვეთრად გაიზარდა ტუბერკულოზით დაავადებულების რიცხვი, მათ შორის იმ დაჭრილებში, რომლებიც ფრონტიდან ბათუმში ჩამოჰყავდათ.

სპეციალისტ-ფტიზიარების უკმარისობა იყო, სურამელ ექიმს ორ ცვლაში უწევდა მუშაობა. დინა დავარაშვილი ტუბერკულოზით დაავადებულებს ბათუმის პორტის დისპანსერში და ბათუმის საქალაქო საავადმყოფოში კურნავდა. მისი მზრუნველობის წყალობით ტუბერკულიოზით დაავადებულთა უმეტესობა განიკურნა. კეთილსინდისიერი შრომისთვის დინა დავარაშვილი მედლებით და აჭარის ასსრ-ს უხენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

ერთი პატარა ებრაელი გოგონას ისტორია გულგრილს არ დატოვებს არავის,ვისთვისაც ადამიანური ფასეულობებია ძვირფასი. მითუმეტეს, რომ ეს ამბავი პირადად მისგან მოვისმინე.

86-ე წელში იყო. ასაკის და გადატანილის მიუხედავად ჩვენს გმირს ომით დახვრეტილი მძიმე ბავშვობის უმცირესი დეტალებიც კი ახსოვს. მისი სრული სახელი ზოია ივანეს ასული თებებიძე, რომლის ქალიშვილობის გვარი მორღუსაევა, ბათუმში ნათესავებით





გარშემორტყმული ცხოვრობს. მეორე მსოფლიო ომამდე, 1939 წელს მამამისი - სამხედრო ისაი მორდუხის ძე მორდუხაევი ბაქოდან სამსახურის ახალ ადგილზე ბელორუსიის ქალაქ ვიტებსკში გადაიყვანეს. მალე ჰოსპიტალში მოხვდა. მისი მეუღლე - სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომელი, 6 შვილთან ერთად ქმართან, ვიტებსკში გადაბარგდა. ისე მოხდა, რომ მალე მირიამ ნაუმის ასული იახნიელი ავად გახდა, შეუძლოდ იგრძნო თავი მისმა უფროსმა ქალიშვილმა - რახილმა. საავადმყოფოში მოუწიათ დაწოლა, სადაც მისი ორი ყველაზე უმცროსი შვილიც მოათავსეს. დანარჩენი ბავშვები - ჩვენი გმირი, მისი და ზემფირა და უფროსი ძმა მიხეილი დროებით ბავშვთა სახლებში გადაიყვანეს. გამოჯანმრთელების შემდეგ რახილიც ბავშვთა სახლში მოხვდა. ჩვენს პატარა გმირს (ასე დაუძახებთ, მკითხველს 6 ბავშვის სახელებში ორიენტირება რომ გაუადვილდეთ) აღარასოდეს უნახავს მშობლები, ზემფირა და უმცროსი და-ძმა. ფაშისტებმა ყველანი ომის დასაწყისშივე მოკლეს.

ომამდე პოლოცკის ბავშვთა სახლი №1, რომელშიც ჩვენმა გმირმა პირველი კლასი დაამთავრა, უმცროს აღსაზრდელებთან ერთად სოფელ ზახარნიჩში, საზაფხულო აგარაკზე გადაიყვანეს. აქ ის თავის 13 წლის დას რახილს და 11 წლის ძმას მიშას შეხვდა. 1941 წლის ივლისში პოლოცკში გერმანელები შემოვიდნენ. დაიწყო ოკუპაცია. ძმა მიხეილი მალევე საბჭოთა ჯარისკაცებს გაყვა და დაიღუპა. ფაშისტების მოსვლის შემდეგ ბავშვთა სახლმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ბავშვებს ხეტიალი და მათხოვრობა უწევდათ.

1941 წლის დეკემბერში ოკუპირებულ პოლოცკში მათი ბავშვთა სახლი აღადგინეს. დირექტორმა მიხეილ სტეფანის ძე ფორინკომ მის ჭერქვეშ ყოფილი აღსაზრდელების შეკრება მოახერხა. რახილი რატომღაც სხვა ბავშვთა სახლში აღმოჩნდა, რომლის დირექტორიც ეკატერინა სამოილოვა იყო, რომელმაც რახილთან ერთად ყველა ებრაელი ბავშვი ფაშისტების მიერ ქალაქის აგურის ქარხნის ტერიტორიაზე შექმნილ გეტოში ჩააბარა. ქალაქში გამუდმებით იჭერდნენ ებრაელებს, კომუნისტებს და პარტიზანებს. ყოველ კვირას ბაზრის მოედანზე ვილაცას სიკვდილით სჯიდნენ.



1942 წლის დასაწყისში რახილმა გეტოდან გაქცევა მოახერხა, იპონა თავისი და, მასთან ერთად დირექტორ მ. ს. ფორინკოსთან მივიდნენ. დირექტორმა აუკრძალა ბავშვთა სახლიდან გასვლა, რომელშიც კიდევ 9



ებრაელ ბავშვს მაღავედა. ისინი არსად ვადიოდნენ. ბავშვთა სახლში ებრაელების ყველა საბუთი გაუნადგურეს, ყალბი საბუთები გამოუწერეს, რომლებშიც სხვა სახელები, მამის სახელები და გვარები ეწერა. ასე გახდა ჩვენი პატარა გმირი - ებრაელი ჰაია ისაის ასული რუსი ზოია ივანოვნა, გვარი „მორდუხაევა“ შეუნარჩუნეს. მისი უფროსი და რახილი კი ბელორუსი მარგარიტა იოსების ასული გახდა. ბავშვებს თავი გადაპარსეს, ებრაელობის გამხელა აუკრძალეს და ასწავლეს ეთქვათ, რომ უსახლკარო კავკასიელი გოგოები იყვნენ.

1943 წლის ბოლოს ფაშისტებმა ბავშვთა სახლის დირექტორს დაჭრილი ფაშისტების მკურნალობის მიზნით სისხლის ჩასაბარებლად ბავშვების სიის შედგენა უბრძანეს. ბრძენმა და უშიშარმა დირექტორმა ფორინკომ უპასუხა, რომ მის სამეურვეებს შორის ბევრი ავადმყოფი და დასუსტებულია. გერმანელ ბურგომისტრს ბავშვების გამოჯანმრთელებისათვის სოფელ ბელჩინში გადაყვანა და სისხლის მერე აღება შესთავაზა.

ამ დროს პოლოცკში, მათ ბავშვთა სახლში უკვე მოქმედებდა იატაკქვეშა ჯგუფი, რომელშიც ძირითადათ აღმზრდელები და უფროსი აღსაზრდელები შედიოდნენ. მათ შორის ზოიას და - მარგარიტა. ჯგუფის მეთაური დირექტორი მ. ს. ფორინკო იყო. 1943 წლის სექტემბერში მათ პარტიზნებთან და წითელი არმიის მოწინავე რაზმებთან მოახერხეს კონტაქტის დამყარება, აწვდიდნენ მონაცემებს გერმანელების განლაგებაზე, მატარებლების მოძრაობაზე, სამხედრო გამაგრებებზე და ა.შ. მარგარიტა ამ ჯგუფის მზვერავი და მოკავშირე იყო. ომის შემდეგ ის პარტიზანული საბრძოლო მოქმედებების მონაწილედ აღიარეს და 1991 წელს სამამულო ომის მერვე ხარისხის ორდენი გადასცეს.



1944 წელის თებერვალში ბავშვთა სახლი გადავიდა ზონაში, რომელსაც ბელორუსი პარტიზანები აკონტროლებდნენ, აპრილში კი ბავშვები თვითმფრინავებით ფრონტის ხაზის უკან გაიყვანეს. ზოია მაშინ 11 წლის იყო. მალე ბელორუსია მთლიანად გაათავისუფლეს...

1954 წელს ზოია თავისთან დამ - მარგარიტამ დაპატიჟა, რომელიც უკვე საკუთარ ოჯახთან ერთად ბათუმში ცხოვრობდა. მას ზოიას გარდა ნათესავები არ დარჩა. ასე აღმოჩნდა ზოია საქართველოში. 1956 წელს ზოია კომკავშირის საგზურით ყაზახეთში ყამირზე გაემგზავრა. ერთი წლის შემდეგ იქ იღია თებიძეს გაყვა ცოლად, რომელიც იქ ასევე საგზურით ბათუმიდან იყო ჩასული. ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი ეთერი შეეძინათ, 1960 წელს კი ვაჟი გიორგი, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი მეორე ქალიშვილი მერი.

ამის შემდეგ ჩვენ გმირს კიდევ ბევრის გადატანა მოუწია. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ომის დასრულებიდან უკვე ამდენი წელი გავიდა მესხიერებიდან საკუთარ ბავშვობას ვერ შლის: - „არადა თავისუფლად შექმლო მოვეკალი ფაშისტ ოფიცერს, როცა პისტოლეტი დამიმიზნა და დაიყვირა: „იუდე, იუდე!“ მაგრამ ბავშვთა სახლის თანამშრომლებმა ალყა შემოარტყეს და უბასუხეს: „ნაინ იუდე, კაკაზ! კაკაზ!“ უნდა დავხევირტე იმისთვის, რომ ებრაელი ვიყავი. შეიძლებოდა შიმშილით მოგკვდარიყავი. ფაშისტებმა ხომ უღლუფაზე 75 გრამი პური, 3 გრამი ბურღულეული დააწესეს დღეში, შეიძლებოდა ავადმყოფობისგან მოგკვდარიყავი. უნდოდათ პატარა ბავშვები დონორები გავმხდარიყავით. მაგრამ ყოველთვის გვარჩენდა ბავშვთა სახლის კეთილშობილი დირექტორი მიხეილ სტეფანის ძე ფორინკო...“



ჩვენი გმირი ვერ ივიწყებს თავის კიდევ ერთ მხსნელს - სამხედრო მფრინავ ალექსანდრ პეტრეს ძე მამკინს, რომელიც პარტიზანებისგან დიდ მიწაზე გადააჭყავდა ბავშვთა სახლის ბავშვები. ამ გმირმა 9 რეისი გაა-



კეთა, მაგრამ ბოლო ფრენის დროს მისი თვითმფრინავი დაზიანდა, თვითონ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ცეცხლმოკიდებული ხომალდის დასმა მოახერხა, რის შემდეგაც მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

„უკვე დიდი ხანია პენსიაზე ვარ“, - ამბობს ბავშვთა სახლის ყოფილი აღსაზრდელი, - და რაც უფრო შორს არის ომის ის საშინელი წლები, მით უფრო ხშირად ვფიქრობ ხალხზე, რომლებმაც მე, ჩემი და და კიდევ 9 ებრაელი ბავშვი გადაგვარჩინა სიკვდილს. დღეს ჩემი და ცოცხალი აღარ არის. მას 3 შვილი და 5 შვილიშვილი დარჩა, უკვე დიდები არიან, მალე შვილთაშვილები ეყოლებათ. მე ორი ქალიშვილი და ვაჟი, 9 შვილიშვილი, 11 შვილთაშვილი მყავს. ანუ, ჩემსა და ჩემ და მარგარიტასთან ერთად ფორინკომ და მამკინმა ჩვენი ოჯახის კიდევ 32 წევრი გადაარჩინეს, და ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება...“ - ასე დაასრულა თავისი ამბავი ბრძენმა ებრაელმა, რომელმაც ბევრი რამ ნახა და გადაიტანა. სულ უფრო ცოტა რჩება ჰოლოკოსტის და ნაცისტური ოკუპაციის ცოცხალი მოწმეები, ვინც ეს საშინელება თავიანთი თვალებით ნახეს. ბათუმის მაცხოვრებელი ზოია ივანეს ასული, იგივე ხაია ისაის ასული მორდუხაევა დღეს ომის წლებში ფაშისტების ბოროტმოქმედებების ერთადერთი ცოცხალი მოწმეა საქართველოში!

„ასეთია ჩემი ორი ცხოვრება. ერთი - ის, რომელიც მშობლებმა მომცეს, როცა ებრაული სახელი ხაია დამარქვეს, რაც „სიცოცხლეს“ ნიშნავს და მეორე, რომელიც ბავშვთა სახლის დირექტორმა მიხეილ სტეპანის ძე ფორინკომ მომცა, როცა ზოია გადამარქვა, რაც ბერძნულად ასევე „სიცოცხლეს“ ნიშნავს“. ხაია ისაის ასულ მორდუხაევა, იგივე ზოია იოსების ასული თებიძის ამ სიტყვების შემდეგ ამ საოცარ ქალს დავემშვიდობე და ებრაული წესის მიხედვით, მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების 120 წელი ვუსურვე...

დიდი მადლიერი ვარ არაჩვეულებრივი ადამიანის, ძირძველი ბათუმელის, ფრონტელი მშობლების შვილის, გადამდგარი პოდპოლკოვნიკის და ბათუმის სკოლის ყოფილი დირექტორის მიხეილ ილიას ძე ვიალოვის - ზოია თებიძის ნათესავის, რომლის დახმარებით ეს საოცარი ისტორია საზოგადოებამ მოისმინა. ჩვენი თანამემამულის, პატივცემული თამარ ქურდა-



ძის სიტყვები გამახსენდა, რომელიც ახლა ბელორუსიაში ცხოვრობს და მინსკის საქველმოქმედო საზოგადოებრივ კავშირ „გილფის“ მიერ გამოცემული წიგნის „ჩვენ გვახსოვს და სამყაროს ვუანდერძებთ“ გამოცემის პროექტის ხელმძღვანელი იყო, რომლის პრეზენტაციაც ბელორუსიაში დიდი სამამულო ომის მუზეუმში შედგა. მაშინ მინსკში თამარ ქურდაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილებს, რაოდენ მნიშვნელოვანია მოვასწროთ და მოვისმინოთ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საშინელი - მეორე მსოფლიო ომის მოწმეების და მონაწილეების ცოცხალი მოგონებები იმის შესახებ თუ როგორ გადაურჩნენ სიკვდილს ბავშვები და უფროსები, ქალები და კაცები, მათზე, ვინ გადაარჩინა ისინი და ვინ დალატობდა.

იმ ომიდან უკვე თითქმის 80 წელზე მეტი გავიდა. დღეს ისეთებიც გვხვდებიან, ვინც ჰოლოკოსტის არსებობას ეჭვის თვალით უყურებს და ამტკიცებს, რომ გერმანული არმია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ასეთ მხეცობებს არ ჩადიოდა. არსებობს საკრალური რაღაცეები, სიწმინდე ყველა სახელმწიფოსთვის და არსებობს სიწმინდე მთელი მსოფლიოსთვის. როგორც მეგობრებმა მომიყვეს, ებრაულმა ორგანიზაციებმა და ისრაელის მოქალაქეებმა მიაღწიეს იმას, რომ ჰოლოკოსტის გამართლება არამართო იურიდულ დანაშაულად, არამედ ამორალურად ითვლება. დღეს ისრაელში ჰოლოკოსტის ფაქტის ეჭვის ქვეშ დაყენება კანონმდებლობით ისჯება.

ხშირად მიწევს ბელორუსიაში ყოფნა, სადაც მინსკში ჩემი უფროსი ვაჟი გიორგი ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ჩვენ მთელი ეს მშვენიერი ქვეყანა მოვიარეთ, ბევრ ძმათა საფლავსა და სამარხებზე ვიყავით, სადაც იმ წლებში დაღუპული მეომრები, მათ შორის ჩვენი თანამემამულეები განისვენებენ. სხვათაშორის, ასეთი მოვლილი საფლავები, როგორც ბელორუსიის რესპუბლიკაშია არსად შემხვედრია. ბელორუსია,





მისი ხელისუფლება და ხალხი ფაქიზად უფროთხილდება იმ საშინელი წლების მოგონებებს. ოკუპაციის წლებში ფაშისტებმა ბელორუსიის ტერიტორიაზე 70-მდე გეტო შექმნეს, სადაც 800 000 ებრაელი დაიდუპა. მათ შორის იყვნენ 1941-1942 წლებში ევროპიდან დეპორტირებული 26 500 ებრაელი: მათ პრაქტიკულად არ ჰქონდათ შანსები - სასწაულმა მხოლოდ 50 მათგანი გადაარჩინა. 80 000 მინსკელი ებრაელიდან მხოლოდ 3 500 ადამიანი გადარჩა.

ცოტა ხნის წინ ბელორუსიის დედაქალაქში მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმი გაიხსნა, რომლის მასალებსა და ფოტოსურათებს შორის ჩვენი თანამემამულეების, მათ შორის ქართველი ებრაელების შესახებ ინახება ცნობები. უნდა აღვნიშნო ბელორუსიის რესპუბლიკის ხელისუფლების და ხალხის მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი უპრეცედენტო დამოკიდებულება; ფაქიზი დამოკიდებულება ომის გმირებისადმი, დაცემული მეომრებისადმი, მათი ეროვნების და ყოფილი სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებიდან ყოფნის მიუხედავად. როგორც უკვე აღვნიშნე, ბელორუსიაში ორივე მსოფლიო ომის ისტორიასთან დაკავშირებული ყველა ადგილი მოვი-



არე. ამ თემაზე ათობით საგაზეთო სტატია გამოვაქვეყნე, როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაზე. სამწუხაროდ დღეს, კონკრეტულად კი სსრკ-ს კრახის შემდეგ საქართველოში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისადმი დამოკიდებულება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს...



როცა წიგნი გამოსაცემად მზად იყო კიდევ ერთხელ მომიწია მინსკში ჩასვლა. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთ „სოვეტსკაია ბელარუსის“ რედაქციიდან კოლეგა ოლეგ უსაჩოვს შევხვდი. საუბრისას ჩემი მომავალი წიგნი „საქართველოს ებრაელები მეორე მსოფლიო ომის წლებში“ ვახსენე. მათ შორის ზოია-ხაია თებიძის, პოლოცკის ბავშვთა სახლის პატარა ობოლი გოგოს ამბავი მოვეყევი, რომელმაც ფაშისტური ოკუპაციის საშინელებები გაიარა და სასწაულად გადარჩა.

რამდენიმე დღეში ამის შესახებ მასალა გაზეთ „სოვეტსკაია ბელარუსში“ დაიბეჭდა. ორი დღის შემდეგ კი თადარიგის პოლკოვნიკი სერგეი ვასილის ძე სობოლევი დამიკავშირდა, ბელორუსის ოფიცერთა კავშირის მდივანი და თავმჯდომარის მოადგილე. მან შემატყობინა, რომ გამოქვეყნებულ მასალას და ფოტოს ზოია-ხაია თებიძის და მისი უფროსი დის მარგარიტას ახლო მეგობარი პოლოცკის ბავშვთა სახლიდან გალინა პეტრეს ასული ტიშჩენკო გამოეხმაურა, რომელიც ახლა მინსკში ცხოვრობს.



საგამომცემლო სახლის „ბელარუსი დღეს“ ჟურნალისტების და ბელარუსის ოფიცერთა კავშირის და მისი თავმჯდომარის გენერალ-მაიორ კ. ა. მახმუდოვის და ზემოთ ხსენებული ს. ვ. სობოლევის დახმარებით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ინტერაქტიული შეხვედრა შედგა. ტელეხილმა „მინსკი-ბათუმი“, რომლის ტრანსლაციაც სოციალურ ქსელებში ხდებოდა და რომელშიც ორგანიზატორებთან ერთად ბელარუსის ვეტერანთა ორგანიზაციებმა, ბელარუსში რუსეთის ფედერაციის საელჩომ, ბელარუსში ებრაული სათვისტომომ მიიღეს მონაწილეობა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ზოია თებიძემ, იგივე ჰაია მორდუხაევამ, რომელმაც ცოტა ხნის წინ თავისი ებრაული წარმოშობის დაბრუნება შეძლო, მინსკიდან მოწვევის საპასუხოდ გალინა ტიშჩენკო თავისთან სახლში, ბათუმში დაპატიჟა.

ბელარუსის ოფიცერთა კავშირმა ზოია თებიძე - ჰაია მორდუხაევა სამახსოვრო საიუბილეო მედლით „ბელარუსის ფაშისტი დამპყრობლებისგან გათავისუფლების 75 წელი“ დააჯილდოვა, რომლის გადაცემა პოლოცკის ბავშვთა სახლის აღსაზრდელისთვის გენერალ-მაიორმა კ.ა. მახმუდოვმა მე მთხოვა.

დეტალური მასალა ამაღელვებელ, ინტერაქტიულ ტელეხილზე „მინსკი-ბათუმი“ და ომის დროს პოლოცკში განვითარებული დრამის უკანასკნელი ორი თვითმხილველის შეხვედრის შესახებ ოპერატიულად გამოქვეყნდა ფოტოსურათებით ცენტრალურ გაზეთში „სოვეტსკაია ბელარუსი“. შეიძლება ითქვას, მეორე მსოფლიო ომის ამ პატარა ტრაგიკულ ეპიზოდს 70 წლის შემდეგ ასეთი მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა.

თბილისში დაბრუნებისთანავე გავემგზავრე ბათუმში, სადაც საზეიმო ვითარებაში, ჰაია ისაიას ასულ მორდუხაევას მრავალრიცხოვანი ნათესავების და ბათუმის ებრაული სათვისტომოს წარმომადგენელთა თანდასწრებით სა-





მასხოვრო მედალი გადავეცით. ეტლზე მიჯაჭვულმა, მძიმე ავადმყოფმა პოლოცკის ბავშვთა სახლის აღსაზრდელმა მადლიერების სიტყვების წარმოთქმაც კი ვერ შეძლო. მის სახეზე ცრემლები ცვივოდა...

კეთილი მოგონებები დატოვა საკუთარ თავზე აჭარაში არაორდინარული ბედის მქონე რახილ აბრამის ასულმა ილინამ. ის ბათუმში 1891 წელს დაიბადა, განათლება მიიღო პეტერბურგში, სადაც ბესტუჟევის უმაღლესი კურსები დაამთავრა. მისი მომდევნო პედაგოგიური მოღვაწეობა მშობლიურ ბათუმს უკავშირდება. ჩემს წინაშეა ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომელმაც 1942 წელს ბათუმის საშუალო სკოლის მოსწავლემ დაწერა: „თქვენ ცდილობდით პირველ რიგში პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანები გაემხდარიყავით. მადლობას გიხდით, რახილ აბრამის ასულს და გარწმუნებთ, რომ თქვენს მიერ ჩვენს სულებში დათესილი თესვები ქვიან ნიადაგზე არ მომხვდარა“.

1943 წელს ეს გამოშვება ჯარში გაიწვიეს. საინტერესო იქნებოდა ამ არაჩვეულებრივი მასწავლებლის აღსაზრდელების ბედის გაგება. მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ - ისინი არ უღალატებდნენ მას, სკოლის და სამშობლოს ღირსებას. მოსწავლეებს ფრონტზე მოხალისედ თავად რახილ აბრამის ასული ილინაც გაჰყვა. მაშინ ის 52 წლის იყო! საფრონტო და შრომითი მოღვაწეობისთვის ამ ტექშმარიტმა და მამაცმა პატრიოტმა არაერთი ჯილდო, დიპლომი და სიგელი მიიღო. როგორც ბათუმის ბინადრები ყვებიან, ომის და შრომის ვეტერანი რახილ აბრამის ასული ილინა თავის კიტელს დიდ დღესასწაულებზე და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ დღესასწაულზე - 9 მაისს იცვამდა. იმ დღეებში ამ ქალბატონის მკერდს ამშვენებდა ლენინის და წითელი დროშის ორდენები, მედლები „კავკასიის დაცვისთვის“, „1941-1945 წლის დიდ სამამულო ომში წარჩინებული შრომისთვის“.

«ამხანაგ კრასენბაუმ გ. ი. -ს პირად შემადგენლობას!“, - ასე სიყვარულით მიმართავდნენ ყოფილი მსმენელები და მისი და მისი ოჯახის ნიჭის გულშმატკივრები ფრონტიდან. შესაძლოა საქართველოში უფროს თაობას ახსოვს ეს არაჩვეულებრივი ბავშვთა ანსამბლი გენრიკ იუნოვის ძე კრასენბაუმის ხელმძღვანელობით. ამ მუსიკალური ჯგუფის



მთავარი შარმი ის იყო, რომ ის ერთ ოჯახს წარმოადგენდა - მამა გენრიხი, დედა ვიოლეტა და მათი პატარა ბავშვები: ბორისი, სარენტა, მაია, იუნა, რაისა და ლენა. ომის წლებში ეს არაჩვეულებრივი მუსიკალური კოლექტივი, რომლის ყველა მონაწილეც მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა, ცეკვავდა და მღეროდა, არამარტო ბათუმის სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტალებში გამოდიოდა, არამედ წარმატებით გასტროლირებდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ვკითხულობ წერილს საარქივო მასალებიდან, რომელიც 1943 წლის 8 ივლისით არის დათარიღებული, როცა კავკასიისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო: „... თქვენი გამოსვლის ნახვის შემდეგ მტრისადმი სიძულვილი უფრო მხურვალე ხდება, გვინდა შური ვიძიოთ, ბავშვებისთვის და მათი ბედნიერებისთვის ვიბრძოლოთ. თქვენს შესახებ მეგობრებს მოვუყვებით ფრონტზე, სადაც მალე გავემგზავრებით...“ აი კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც წინაზე უფრო ადრეულია - 1941 წლის 20 ოქტომბერი, აჭარის ასსრ-ს ი. ფ. ფაბრიციუსის სახელობის წითელი არმიის სახლის ნორჩი არტისტების მისამართით: „კრასენბაუმების ოჯახის ჯაზ-ორკესტრი 28.06.1941-დან 10.10.1941-მდე აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის გარნიზონის და მის რაიონში წითელი არმიის ნაწილების მომსახურებაში. ჯაზ-ორკესტრმა 22 კონცერტი გამართა, რომლებმაც დიდი წარმატებით ჩაიარა“.

მუსიკოსების გენრიჰ და ვიოლეტა კრასენბაუმების ოჯახი აჭარის ფილარმონიაში 20 წელზე მეტხანს მუშაობდა, ემსახურებოდა სამხედრო ნაწილებს, ჰოსპიტალებს, სანატორიუმებს, კოლმეურნეობებს, ქარხნის კლუბებს. ომის წლებში სასცენო ხელოვნების მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანე, რომელიც ერთ ებრაულ ოჯახს ეხება. მაგრამ ხელოვნების სფეროში კიდევ უამრავი ასეთი მაგალითია, ყველას ჩამოთვლას შეიძლება ახალი წიგნი დაჭირდეს...

ზემოთ ხსენებული საარქივო მასალა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, პატივცემულმა ოთარ გოგოლაშვილმა 2018 წლის ოქტომბერში მომაწოდა.

ღიახ, ზღვისპირა სოხუმში, ბათუმში და ფოთში საბრძოლო მოქმედებები არ ყოფილა, მაგრამ რამდენის გადატანა მოუწიათ ამ ქალაქების მოსახლეობას, რომლებიც ომის წლებ-



სოხუმის სინაგოგა

ში ფრონტისპირა ქალაქებად იქცნენ. აქ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. ყველა, ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ. ყველა იქ მოხვედრას ცდილობდა, დიდიც და პატარაც. მაგრამ ხალხი ზურგშიც იყო საჭირო. აქაც საკ-


მარისი საქმე იყო. მაგალითად, მონაწილეობა თავდაცვით სამუშაოებში, ბრძოლა დივერსანტებთან, ჯაშუშებთან, რომლებსაც დიდი რაოდენობით იჭერდნენ. ამის შესახებ დეტალურად მოვეყვი ჩემს წიგნში „გენერლებად არ იბადებიან“, ნარკვევში ნესტორ დარისპანის ძე ლაბაძეზე, რომელიც პავლე ივლიანეს ძე აბრამიძესთან ერთად პირველი ქართველი გენერალი გახდა და ომის წლებში საქართველოს სასაზღვრო ოლქის ჯარებს სარდლობდა. ბუნებრივია, იქ არაერთი ქართველი ებრაელი მსახურობდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამის შესახებ ძუნწი ინფორმაცია მაქვს.

საკმარისია რამდენიმე ფაქტის დასახელება, იმ ომის ხანაში სასაზღვრო ძალების პასუხისმგებლობის მასშტაბის გასაგებად. ასე, მაგალითად, 1942 წლის მაისში სოხუმის სასაზღვრო რაზმმა ოჩამჩირეს რაიონში გერმანელ პარაშუტისტთა ჯგუფის ლიკვიდირება მოახდინეს. ამავე წლის ივლის-აგვისტოში შავი ზღვის სანაპიროზე მტრის პარაშუტისტთა კიდევ ორი ჯგუფი იქნა ლიკვიდირებული. ნოემბერში, ბათუმის სასაზღვრო რაზმის მიერ დაცულ რაიონში 11 დივერსანტი შევიდა, თურქი მზვერავის ქოს-ოღლი ჰუსეინის მეთაურობით, რომლებმაც მომზადება გერმანიაში გაიარეს. მათი ამოცანა კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების მდგომარეობის დაზვერვა და რიგ დივერსიათა განხორციელება იყო. სულ ომის წლებში საქართველოს



მესაზღვრეებმა ასობით დივერსანტი, გამოცდილი მზვერავი და ჯაშუში დააკავეს და გაანეიტრალეს. მათ შეიარაღებულ ბრძოლებშიც უწევდათ ჩაბმა საზღვრის შეიარაღებულ დამრღვევებთან და ბანდფორმირებებთან...

ომისდროს უზარმაზარი როლი შეასრულა ფოთმა. უკვე 1941 წლის აგვისტოში აქ სამხედრო-საზღვაო ბაზა შეიქმნა. ოდესის, შემდეგ კი სევასტოპოლის ოკუპაციის შემდეგ ფოთში იქნა გადმოყვანილი შავი ზღვის ფლოტი



ფოთის სინაგოგა

და მისი სარდლობა. ფაქტობრივად, უკვე 1941 წლის 3 ოქტომბრიდან ქალაქი შავი ზღვის ფლოტის ოფიციალური ბაზა გახდა. ფოთის მთელი მოსახლეობა პრაქტიკულად 24 საათის განმავლობაში მონაწილეობდა ნავსადგომის გაფართოების და გადრმავეების სამუშაოებში, სანაპირო სამაგრების აშენებაში და ა.შ. როგორც უკვე ვახსენეთ, ფოთის პორტიდან ხდებოდა მოსახლეობის, ჯარის, სამრეწველო აღჭურვილობის ევაკუაცია უკრაინის ქალაქებიდან, ყირიმიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან. ყურადღებას აღარ გავამახვილებ ევაკუირებულ საზღვაო ქარხნებზე, სახელოსნოებზე, მოცურავე ნავსადგომებზე და ა.შ.

მოკლე ვადებში კოლოსალური სამუშაო შესრულდა. დაიწყო საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის წარმოება. ფოთიდან გადიოდნენ შავი ზღვის ფლოტის ხომალდები საბრძოლო დავალებების შესასრულებლად, მიჰყავდათ დამხმარე ძალა სევასტოპოლში, დესანტები ფეოდოსიაში, ქერჩში. 1942 წლის 16 ივლისს ფაშისტური ავიაცია ბომბავდა სოხუმს, ფოთს და ბათუმს, რომელზეც 1943 წლის აპრილში გერმანულმა წყალქვეშა ნაგებმა მიიტანეს იერიში. მაშინ ბათუმში 70 000 ადამიანი ცხოვრობდა და ქალაქი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის საქმეში, ასევე შავი ზღვის ფლოტის ხომალდების რემონტსა და მომარაგებაში.



ბათუმში ზღვით გადმოჰყავდათ დაჭრილები, ევაკუირებული მოსახლეობა და აღჭურვილობა. ბათუმის და ახლომდებარე დასახლებული პუნქტების სამხედრო ჰოსპიტალებში და სანატორიუმებში ათასობით დაჭრილი მკურნალობდა. რაც მთავარია, ბათუმი ფლოტის და ფრონტის საწვავით და საპოხი მასალებით მომარაგების უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. საქართველოს სამივე საპორტო ქალაქმა - ბათუმმა, ფოთმა და სოხუმმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს კავკასიის ბრძოლასა და ყირიმში ფაშისტური არმიის განადგურების საქმეში. რა თქმა უნდა, ეს საქართველოს მთელი მოსახლეობის დამსახურებაა, მათ შორის საქართველოს ებრაელების, რომლებიც თანამემამულეების მსგავსად თავდაუზოგავად მუშაობდნენ შრომით ფრონტზე ისევე როგორც მათი ახლობლები და ნათესავები საძულველ მტერს ბრძოლის ველზე ებრძოდნენ. ბევრი მათგანი შრომითი ორდენით და მედლით იყო დაჯილდოვებული. როგორც ერთმა პოეტმა თქვა: „მედალს ბრძოლისთვის და მედალს შრომისთვის ერთი და იგივე ლითონისგან ასხამენ“.


კიდევ ერთი მრავლისმთქმელი ფაქტი. მის შესახებ „საქინფორმის“ თანამშრომელმა - არაჩვეულებრივმა ადამიანმა და უნიჭიერესმა ჟურნალისტმა იანა სუდაკოვამ მომითხრო. ომის წლებში მამამისი ჯარში გაიწვიეს. მალევე მის მეუღლეს, როგორც ათობით საბჭოთა ადამიანს, მშობლიური ადგილების დატოვება და დევნილთა ნაკადთან შეერთება მოუწია. გაუმართლა. თბილისში მოხვდა. მაშინ ის ორსულობის ბოლო თვეში იყო. მომავალი ჟურნალისტი ოთარ არობელიძის ოჯახმა შეიფარა. მალე, მეათე დღეს დაიბადა პატარა, რომელსაც იანა დაარქვეს. ეს 1942 წელს იყო. მრავალი წელი იანა ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში, სადაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. მთელი ცხოვრება გულში დაჰქონდა მადლიერება საქართველოს და მისი ხალხისადმი. იანა ახლა ისრაელში ცხოვრობს...

სწორედ ასეთი ფაქტები, რომლებიც ასობით, ათასობით, ათობით ათასი არსებობს, ადასტურებენ ქართველების და ებრაელების ბედნიერ თანაცხოვრებას საქართველოში, რაც განსაკუთრებით მტკიცედ გამოვლინდა მეორე მსოფლიო



ომის დროს. ტოლერანტობის, კაცთმოყვარეობისთვის, დახმარებისთვის მზადყოფნისთვის ქართველებს მთელს მსოფლიოში სცემდნენ პატივს და უყვარდათ. და ამ სიყვარულის მსოფლიო ორკესტრში პირველი ვიოლინოს პარტიას ყოველთვის ვირტუოზულად ასრულებდა ებრაელი ერი. გინდ ომის, გინდ მშვიდობის ხანაში.

ამასთან დაკავშირებით ლოგიკური იქნება გავიხსენოთ საქართველოს დიდი მეგობარი, ჩვენი ეპოქის ღირსეული წარმომადგენელი, დიდი იოსებ კობზონი, რომელმაც ცოტა ხნის წინ დატოვა ეს ცხოვრება, მაგრამ არა ჩვენი გული. მის თვალებში თითქოს ყოველთვის ჩანდა დიდ სამამულო ომში სსრკ-ს უზარმაზარი დანაკარგები და ხოლოკოსტის ტკივილის ანარეკლი. მართალია, სსრკ-ს სახალხო არტისტი დაიბადა და გაიზარდა უკრაინაში, ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდა საქართველო და მისი ხალხი, უყვარდა გულწრფელად და მთელი გულით. წილად მხვდა მისი გაცნობის ბედნიერება და ყოველთვის მახსოვს მისი კეთილი ღიმილით წარმოთქმული სიტყვები: „ებრაელის გულში ქართველისთვის ადგილი ყოველთვის არის დაჯავშნილი“.



იოსებ კობზონი თბილისის სინაგოგაში 2001 წელი

სხვთაშორის, ომის მრისხანე წლებში ფრონტზე იოსებ კობზონის ბიძები გარდაიცვალნენ, მამამისი დავით კობზონი, ომის აქტიური მონაწილე ფრონტიდან კონტუზიით, ინვალიდად დაბრუნდა. ბევრმა ამის შესახებ იოსებ კობზონის გარდაცვალების შემდეგ გაიგო, ამის შესახებ ლაპარაკი არ უყვარდა. ალბათ არა ერთხელ და ორჯერ მოუწია ებრაელ ბიჭს, ჭაბუკს და ახალგაზრდას ცნობილი „მეხუთე პუქნტის“, „საიმოვნებების“ განცდა.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ სსრკ-ში ებრაელები, რბილად რომ ვთქვათ, კომფორტულად ვერ ცხოვრობდნენ. არავის სმენია, რომ იოსებ დავითის ძე კობზონი ბედზე ჩიოდა.



თბილისის სინაგოგა

ამ მხრივ ფოლადის კაცი იყო, ისევე როგორც ჩვენი საყვარელი ფრონტელი მომღერალი მარკ ბერნესი - ომის მონაწილე. თავის შემდეგ სვედიანი ტკივილი და ქართველი ერის მათდამი დიდი სიყვარული დატოვეს...


ყურადღება, გულისხმიერება, ერთმანეთისთვის სიურპრიზების გაკეთების მზადყოფნა ყოველთვის ახასიათებდათ ქართველებს და ებრაელებს, ებრაელებს და ქართველებს. მუდამ ასე იყო.

ამ კონტექსტში მახსენდება ისტორია, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში სახელოვანმა მწერალმა და ჟურნალისტმა გივი კარბელაშვილმა მეგობრების და კოლეგების წრეში მოყვა. ჩვენი საერთო ნაცნობი და კოლეგა, „საქინფორმის“ თანამშრომელი, აჭარის ფოტოკორესპონდენტი ისაკ ნონიკაშვილი 1981



წელს გერმანიაში აღმოჩნდა, სადაც დუსელდორფში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა სასწაული მოახდინა და თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ახლა უკვე გარდაცვლილი მწერალი იხსენებდა, რომ მაშინ უცნობი ადამიანი მიუახლოვდა, თავი წარუდგინა და გერმანიაში ამ ცნობილ მატჩზე ჩასული ჩვენი თანამემამულეების პოვნა და მისი სახელით ამ საოცარი მოვლენის აღსანიშნავად რესტორანში დაპატიუებაში დახმარება სთხოვა. 20 კაცამდე შეიკრიბა, თითქმის დილაამდე ქეიფობდნენ. გივი კარბელაშვილმა მხოლოდ მოგვიანებით გაიგო, რომ მრავალშვილიანი მამა ისაკ ნონიკაშვილი ისრაელიდან გერმანიაში სპეციალურად ამ მატჩისთვის მეგობრებისგან შეკრებილი ფულით ჩავიდა...

მეორე მსოფლიო ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რაბინები საქართველოდან, თავისი მაგალითით შთააგონებდნენ ქართველ ებრაელებს ფაშიზმთან უმოწყალო ომზე. რაბინების დახმარებით, პირიდან პირში გადაიციმოდა 1941 წლის 24 აგვისტოს მოსკოვში, ებრაელი ერის მიტინგზე ნათქვამი ცეცხლოვანი მიმართვა: „ძმებო, მთელი მსოფლიოს ებრაელებო!“ საქართველოში ჰიტლერის გერმანიასთან საბრძოლველად ყველა წამოიღო - დიდცი და პატარაც, ყველა ერის და ეროვნების წარმოამდგენელი. 1942 წლის თებერვალში კი სსრკ-ში ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტი შეიქმნა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა კავშირი მსოფლიოს ებრაელებს შორის. კომიტეტს სათავეში ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტული ებრაელი, 1939 წლიდან სსრკ-ს სახალხო არტისტი, ორდენოსანი სოლომონ მიხეილის ძე მიხოელსი (1890-1948) თავის მეგობარ, ომის ცნობილ მონაწილე ისაკ სოლომონის ძე ფეფერთან ერთად (1900-1952) ჩაუდგა.




აბრამ ჯანაშვილი

ფაშიზმთან ბრძოლის პირველ რიგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იდგნენ ქართველი ებრაელები რაბინების თაოსნობით. ერთ-ერთი მათგანი იყო აბრამ შალომის ძე ჯანაშვილი (1911-1982) სურამი-



დან, რომელმაც ომი თავიდან ბოლომდე გაიარა. რამდენჯერმე დაიჭრა. დემობილიზაციის შემდეგ აბრამ ჯანაშვილი თბილისის ახალციხის რაბინად აირჩიეს. და როცა ებრაელებს ისრაელში გადასახლების საშუალება მიეცათ, აბრამ ჯანაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გადადგა ეს ნაბიჯი. რაბინი აბრამ ჯანაშვილი ისრაელში 70 წლის ასაკში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული.

საინტერესო ბედი ჰქონდა რაბინს საქართველოდან ყიმა-



ყიმაწუელ
დავითაშვილი

წუელ დავითის ძე დავითაშვილს (1910-1982). ჯერ მშობლიურ ახალციხეში იყო რაბინი, 1938 წელს კი თბილისში ჩამოვიდა და ქალაქის სინაგოგის ეზოში დასახლდა. ომის დაწყებისას ფრონტზე ერთ-ერთი პირველთაგანი წავიდა. თითქმის მთელი ომი ჯარისკაცებთან, სანგრებში გაატარა. რამდენჯერმე დაიჭრა, მერე კონტუზია მიიღო. ფრონტიდან ინვალიდად დაბრუნდა.


1948 წელს ქართველმა ებრაელებმა მთავარ რაბინად აირჩიეს. რაბი ყიმაწუელ დავითაშვილი 23 წელი ღირსეულად ასრულებდა ამ საპატრიო მისიას, ისრაელში აღიამდე.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მთავარი რაბინი რამდენჯერმე დააპატიმრეს. მაშინ ბევრი სინაგოგა დაიხურა და არამარტო საქართველში. დაიწყო სამარცხვინო ანტისემიტური პროპაგანდა. საბედნიეროდ ეს ყველაფერი მალევე შეწყდა, როგორც მოსალოდნელი იყო.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ბელგიაში მცხოვრებმა იური ბერიძემ საკუთარი სახსრებით გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმი საქართველოს მთავარი რაბინის ყიმაწუელ დავითაშვილის მოღვაწეობაზე. სახელწოდებით „კგბ - ანგელოზი-დამნაშავეები“, რომელშიც მთავარი როლი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა, ქართული კინოს ლეგენდამ ოთარ კობერიძემ შეასრულა. ფილმის დემონსტრაცია თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა.




ფრონტზე იბრძოდა ახალგაზრდა რაბინი მოშე ჯანაშვილი (1910-2004), რომელიც ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გამო ინვალიდი დაბრუნდა ომიდან. იგი იყო დიდი რაბინის დავით ბააზოვის დის შვილი და მოწაფე, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბავშვობიდან იყო ჩართული რელიგიურ ცხოვრებაში. შემდგომში არჩეული იქნა თბილისის „ცხინვალელთა“ სინაგოგის რაბინად, სადაც მოკლე დროში მოახერხა მრავალი ადამიანის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მობრუნება სულიერებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ „ცხინვალელთა“ სინაგოგის დახურვის შემდეგ არჩეული იქნა თბილისის „ახალციხელთა“ სინაგოგის რაბინად. ყიმანუელ დავითაშვილის ისრაელში ასვლის შემდეგ კი საქართველოს ებრაელებმა რელიგიური წინამძღოლის ტვირთი სწორედ მას ხახამ მოშეს მიანდეს, იგი სამი ათეული წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურა თავის ხალხს და შემდგომში ისრაელში გადასახლების შემდეგაც კვლავინდებურად განაგრძობდა უმწიკვლოდ რელიგიურ მოღვაწეობას. ხახამ მოშე ჯანაშვილი დაკრძალულია ისრაელში.



მოშე ჯანაშვილი

დღეს მთელს მსოფლიოში რამოდენიმე ათასი ებრაელი-ფრონტელი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე დარჩა. მათი უმეტესობა ისრაელში ცხოვრობს, სადაც მათთვის მსოფლიოში საუკეთესო პირობებია შექმნილი. თბილისში მამაკაც ებრაელებიდან მხოლოდ ერთი ომის ვეტერანია ცოცხალი. ეს არის 94 წლის ბორის ილიას ძე გურიელაშვილი, ქალ-ვეტერანებს შორის კი ორი ებრაელია და ორივე საქა-



ბორის გურიელაშვილი



როველოს დედაქალაქში ცხოვრებს. 94 წლის ვალენტინა ბორისის ასული განეწვა და 96 წლის ცეცილია ალექსანდრეს ასული მახარაძე, რომელმაც სამხედრო კარიერა 19 წლის ასაკში, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებში, ტელეფონისტად დაიწყო. გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთის ფრონტზე მოხვდა.

ეს მონაცემები ელენა ბერკოვიჩმა მომაწოდა, საქართველოში ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდიდან.

საბედნიეროდ არ მყავს ისეთი მეგობრები, ახლობლები ვისაც თავში მოუვიდოდა კითხვა - რატომ შევეჭიდე ამ ებრაულ თემას, რა ცოტაა ებრაელი, რომლებსაც ამაზე დაწერა შეუძლიათ? ასეთი კითხვა უადგილო არ იქნებოდა. დაწერდნენ ებრაელებიც და დარწმუნებული ვარ, ჩემზე გაცილებით უფრო კვალიფიციურად და უკეთესად. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამ წიგნის დაწერის აზრი ძილში, 2018 წლის აპრილში მომივიდა. დიახ, ეს იყო უზენაესის ხმა! ებრაელი არ ვარ, წარმოშობით ქართველი ვარ, თბილისელი. თანაც ებრაელებთან არავითარი ნათესაობრივი კავშირი არ მაქვს. გავიზარდე და ვცხოვრობდი სოლოლაკში, ძერჟინსკის ქუჩაზე. დავამთავრე რუსული სკოლა ენგელსის ქუჩაზე, რომელსაც ორჯერ შეეცვალა ნომერი - იყო №3 შემდეგ №43 სკოლა ისე დავამთავრე, რომ არც კი ვიცოდი ვინ იყო ჩემს კლასელებს შორის ებრაელი, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს ეს დღეს. ქართველი ებრაელები ჩემთვის ქართველები იყვნენ, რუსი ებრაელები კი რუსები. და მე მაშინ გამონაკლისი არ ვიყავი. ასეთ „ნიუანსებში“ გარკვევა მოგვიანებით მოგვიწია.

ბავშვობიდან მიყვარდა ციბულევსკების ოჯახი, რომელიც ჩვენს ძერჟინსკის 6 ნომერში, ჩვენს ზემოთ, მეორე სართულზე იტალიურ ეზოში ცხოვრობდა, სადაც ერთ მეგობრულ ოჯახად ბინადრობდნენ ქართველები, სომხები, რუსები, უკრაინელები. ჩვენს შორის იყვნენ ებრაელები, პოლონელები, იეზიდები. ჩვენს ეზოში, როგორც მთელს თბილისში ერთი დიადი ეროვნება იყო - თბილისელი. ჩემი უფროსი ძმის - გიზო დოლიძის უფროსი მეგობარი იყო უჭკვიანესი შურა ციბულევსკი. მახსოვს, ჩვენი იტალიური ეზოს უფროს მეზობლებთან ერთად „კედლის გახეთს“ უშ-



ვებდნენ, რომელიც ჩვენი ოთახის პირდაპირ, პირველ სართულზე იყო გაკრული. ჩვენ კი, ეზოს პატარები, თავიდან ბოლომდე ვკითხულობდით მათ.


ასე მოხდა, რომ 1948 წელს შურა ციბულევსკი პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს და 10 წელი მიუსაჯეს, ბავშვებს არ გვესმოდა ეს რას ნიშნავდა, უფროსები კი ჩვენი თანდასწრებით ამაზე არ საუბრობდნენ. ყველაზე მეტად მასზე დედაჩემი დელავდა, რომლის ძმაც 1937 წელს დააპატიმრეს. მამაჩემის ძმა გერმანე დოლიძე კი 1938 წელს დააპატიმრეს, წითელი პროფესორი იყო, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი რექტორი. მოკლედ, შურას სახელში დედა დარჩა - ჩემთვის ღიზა დეიდა (დედაჩემის სეხნია) და მამა - სიომა ძია. ხშირად ავდიოდი მათთან. ვეხმარებოდი, (რა რიგები იყო მაშინ), პურზე და ნავთზე ვეგზავნებოდი. ძალიან თბილად მეპყრობოდნენ. 50-იანებში შურა გაათავისუფლეს, შემდეგ კი ცნობილი პოეტი ალექსანდრე ციბულევსკი გახდა.

მოგვიანებით ეს ოჯახი ჩვენგან ხეთაგუროვის ქუჩაზე გადასახლდა, სადაც ჩემი უფროსი მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტის გრიგორი ლევინის მეზობლად ცხოვრობდნენ, ასე რომ მათ იქაც პერიოდულად ვსტუმრობდი. შეიძლება ითქვას, „ებრაული აკადემია“ მაშინ, ჩემს ძვირფას მეზობელ და მეგობარ შურა ციბულევსკისთან გავიარე, რომელთან 10-12 დღე ვაკეში, ლეჩკომბინატის საავადმყოფოში ერთ პალატაში ვიწვექით. მოგვიანებით მასზე იტყვის ევგენი ევტუშენკო: „მაგრამ თბილისში ცხოვრობდა შურა ციბულევსკი - არსით რუს-ქართველი პოეტი“.

ებრაელებთან ძალიან მიმართლებდა. სკოლის ზოგი მეგობარი უკვე ვახსენე, ჟურნალისტიკაში, სამსახურში და ცხოვრებაში კი ჩამოთვლილების გარდა ძალიან ბევრი მეგობარი და კეთილი მრჩეველი მყავდა. ჩემი ნათლია ჟურნალისტიკაში იყო ძალზედ ინტელიგენტური ფიმა ვორობეიჩიკი - ნათელი თავი, რომლის წყალობით 50-იანი წლების ბოლოს რესპუბლიკურ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ჩემი პირველი მასალა გამოქვეყნდა, მაშინ ეს ადვილი საქმე არ იყო. ვიხსენებთ იმ რედაქციაში ჩემს კეთილ კოლეგებს – თენგიზ გამყრელიძეს, იული პოლიაკოვს, შალვა სვანის, ფიმა



სუსუნიაშვილს, სპარტაკ გრაჩოვს; „საქინფორმიდან“-ვოვა გოლოვინს, ძმებს იან და სტას გორელოვებს, შალვა შალვაშვილს, ალბერტ ვიგნანსკის; ქართული ტელევიზიიდან ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი მარკ რივკინი, რომელსაც სიყვარულით „ქართველ ლევიტანს“ ვეძახდი, ქალაქის გაზეთ „თბილისიდან“ - პასუხისმგებელ მდივან დავით მელუხას; „ვეჩერნი თბილისიდან“ - არსენ ერემიანს, ანატოლი კიკნაძეს, ირინა სპიცინას და ალა სტრატეევას, არონ რაბინოვიჩს, ალბერტ ვაჩიანს, ჩემს კურსელ და ახლო მეგობარს - სპორტული ჟურნალისტიკის კორიფეს, საქართველოს 11 გზის ჩემპიონს ცურვაში ბორია კამენსკის, უნივერსიტეტის ლექტორს, რუსული ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე პროფესორ ნატალია ორლოვსკაიას, მარკ კიპნისს, კლასელებს იური პისშიკს, ისაკ პალტაგაშვილს და იური ჩავესკის, მწერალს და მშენიერ თარჯიმანს კამილა კორინთელს, ძველ მეგობარს პიონერთა ბანაკის პერიოდიდან, ვირტუოზ აკორდეონისტს ლეონიდ ალპერტს, ჩემს პიონერებს - ონავარ და ყველასათვის საყვარელ მოცეკვავეებს მიშა ჯანაშვილს და ჯემალ ჯინჯიხაშვილს. .. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, რამდენიმე ათეული სახელია - ჩემი მეგობრების,



სიმონ იოსებაშვილი

კოლეგებისა და უბრალოდ კარგი ნაცნობების; ცხოვრებაში უფროსი მრჩეველის - ცნობილ სახელმწიფო მოღვაწე რაფაელ ელიგულაშვილით დაწყებული, მშვენიერი ადამიანით სიმონ იოსებაშვილით დამთავრებული. ყველა დასახელებულის და დაუსახელებელის გასაგები მიზეზებით დიდ ვალში ვარ და რომლებსაც ყოველთვის აწმყოში ვახსენებ, იმის მიუხედავად ცოცხლები არიან თუ არა. ასევე შემოიძლია ჩემთვის ძვირფასი ებრაელები ჩამოვთვალო პრესის მიღმა.

ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, ადრეული მუშური პროფესიების გარდა, - მე კი სამსახური ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას დამხმარე



მუშად დავიწყე - მიმუშავია ორ სახელმწიფო კომიტეტში, სამ სამინისტროში, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში, საქართველოს სახელმწიფო საბჭოში... ვერავინ შეედრებოდა ჩემს ებრაელ მეგობრებს სამეზობლოში, სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში და მის ფარგლებს გარეთ - ყურადღებაში, გულისხმიერებაში, მორალურ მხარდაჭერაში - მათ ტოლი არ ყავდათ. ყველა მათგანი დღემდე ჩემს გულშია და სამუდამოდ ჩემთან დარჩებიან!!!!...

წიგნის ბოლოს პირველად ქვეყნდება ომიდან არ დაბრუნებულების სია - 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი ებრაელების სევდიანი მარტიროლოგი. ეს შინმოუსვლელი ებრაელების სრული სია არ არის. აქ მხოლოდ საქართველოს დედაქალაქიდან, აფხაზეთის ასსრ-ს, აჭარის ასსრ-ს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან გაწვეულების სიაა გათვალისწინებული, რომლებიც 1905-1918 წლებში დაბადებულების საერთო მობილიზაციის პირველი ბრძანების მიხედვით გაიწვიეს ჯარში. ომის წლების უკანასკნელმა ბრძანებამ მობილიზაციის შესახებ უკვე 1927 წელს დაბადებულებს მიაღწია, თუმცა მათგან საბოლოო საბრძოლო მოქმედებებში ცოტას მოუწია მონაწილეობის მიღება.

თავს ნებას მივცემ კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ საქართველოს, კერძოდ კი ზემოთხსენებული რეგიონებიდან გაწვეულების დანაკარგის შესახებ. 1939 წელს მთელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული ომამდელი საყოველთაო აღწერის თანახმად საქართველოში 3 540 100 ადამიანი



**ჰოლოკოსტის მსხვერპლთა
მემორიალი ბერლინში**



ცხოვრობდა. დიდ სამამულო ომში მათგან 700 000 მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ანუ საქართველოს ყოველმა მეხუთე მაცხოვრებელმა! ომიდან 300 000 ადამიანზე მეტი არ დაბრუნდა, ანუ ყოველი მეთორმეტე. საქართველოს დედაქალაქში იმ დროს 538 000 ადამიანი ცხოვრობდა, ფრონტზე 80 000 ადამიანი გაიწვიეს, მათგან შინ 20 500 მეომარი არ დაბრუნდა. აფხაზეთის ასსრ-დან, სადაც მაშინ 312 000 ადამიანი ცხოვრობდა, ფრონტზე 55 000 ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგანაც ომიდან 5 860 მონაწილეზე მეტი არ დაბრუნდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომურმა ოლქმა 106 000 ადამიანიდან ფრონტზე თითქმის ყოველი მეხუთე - 20 000 მაცხოვრებელი გააგზავნა, მათგან 6 520 ადამიანზე მეტი არ დაბრუნდა.

მოცემული სტატისტიკიდან გამომდინარე, საქართველოს ამ ოთხი რეგიონიდან ფრონტზე დაახლოებით 180 000 ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგანაც 48 380 მეომარი არ დაბრუნდა. საერთო რიცხვიდან ფრონტზე გაწვეული 700 000 ადამიანიდან და არდაბრუნებული 300 000-დან, ზემოთხსენებული რეგიონებიდან ციფრები პროცენტულად ასე გამოიყურება: ფრონტზე წასული 25,6% და 16% მეტი არ დაბრუნებულა. ამ ციფრებიდან გამომდინარეც კი, საქართველოდან ომში წასული და არ დაბრუნებული ებრაელების ჩემს მიერ გამოთვლილი პროცენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია!

სამწუხაროა, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების 80 წლის თავზეც კი (01.09.1939) და დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 75 წლის თავზე (2020 წლის 9 მაისს), რომ საქართველოში დღემდე იმ ომიდან არ დაბრუნებულების სრული სია კი არა, დაახლოებითი სახელობითი სიაც არ არსებობს. ამიტომ მადლიერები უნდა ვიყოთ პატრიოტთა კოლექტივის - სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორიკოსებისა და მკვლევარების, რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატის, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის, რომელთა ძალისხმევით 1985 და 1987 წლებში გამოიცა დიდ სამამულო ომში საქართველოს ზემოდხსენებული რეგიონებიდან ცოცხალ ძალაში დანაკარგის სიის ორტომეული. პროექტი საქართველოს კომუნისტური პარტიის იმდროინდელი ცენ-



ტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის კურთხევით განხორციელდა, რომლის უფროსი ძმაც გმირულად დაეცა ბრესტის ციხე-სიმაგრის დაცვისას. შემდეგ ეს კეთილშობილური საქმე ცნობილი მიზეზების გამო შეწყდა...

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ზომით და მოსახლეობით პატარა საქართველოს ადამიანური დანაკარგი იმ მრისხანე ომში. ომის 1418 დღის მანძილზე ბრძოლის ველზე ყოველდღიურად საშუალოდ 200 ჩვენი თანამემამულე იღუპებოდა ან უგზო-უკვლოდ იკარგებოდა! სხვათაშორის, საქართველო დღემდე გრძნობს სამხედრო დანაკარგს მისი მწირი მოსახლეობის არ შევსების უკვე მეოთხე დემოგრაფიულ ტალღას.



მემორიალი ქ. ვენაში

როცა საქართველოს ებრაელების მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის შესახებ მასალების შეგროვებას შევუდექი აღმოჩნდა, რომ ამ თამაზე სტატისტიკური ან ანალიტიკური მონაცემები თითქმის არ არის. ან პირდაპირ უნდა აღვნიშნო, რომ ეს მასალა საერთოდ არ არსებობს. კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღემდე არ გვაქვს მასალები, მონაცემები, ციფრები საქართველოს მეომრების ბალტიისპირეთსა და პოლონეთში 1939 წლის „განმათავისუფლებელ ლაშქრობაში“ მონაწილეობის შესახებ, რის შედეგადაც საქართველოსადმი ყოველთვის მეგობრულად განწყობილმა ამ უზარმაზარმა ქვეყანამ დროებით შეწყვიტა არსებობა და გერმანიას, სსრკ-ს, ლიტვასა და სლოვაკეთს შორის იყო გაყოფილი. არ არსებობს ასეთი მონაცემები ფინეთთან ომის (1939 წლის ნოემბერი - 1940 წლის მარტი), რომელშიც დაიღუპა 53 522, დაიჭრა 163 772, გაიყინა 120 000, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 16 208 საბჭოთა მეომარი) და იაპონიასთან ომის (09.08–02.09. 1945) შესახებ, უფრო ადრე კი - 30-იანი წლების დასაწყისში მათთან



შეტაკებებზე. დღევანდელი ისტორიკოსებისა და მკვლევარებისთვის ეს დიდი სამუშაოა.

და რაც მთავარია! დღეს ძალიან რთულია დავითვალოთ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ებრაელები, და არა მარტო საქართველოში. არაფერი რომ ვთქვათ ომამდელ და ომის წლებზე, როცა ებრაელები იძულებულები იყვნენ თავიანთ წარმომავლობა დაემაღათ, ხშირად ქალები სპეციალურად თხოვდებოდნენ არაებრაელებზე, რათა შვილები ბედკრული „მეხუთე პუნქტისგან“ დაეცვათ. მთელს საბჭოთა კავშირში ასე ხდებოდა. უფროსმა თაობამ ეს კარგად იცის. მადლობა ღმერთს, საქართველოში ეს იმდენად მტკივნეული არ იყო და, დარწმუნებული ვარ, არასოდეს იქნება.

ამის დასტურად ერთ საინტერესო ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ. 1913 წელს ფრანკფურტში ებრაელთა მსოფლიო კონგრესზე, მთელი მსოფლიოდან ჩასული ებრაელები სინანულით ჩიოდნენ, რომ დედამიწაზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც ებრაელებს არ ავიწროვებდნენ, ყველამ სევდიანად

დაიწო თავის დაკვრა. უცებ დარბაზში ხმა-მაღალი ხმა გაისმა: „არის ასეთი ქვეყანა - საქართველო!“ ყველამ აღფრთოვანებით შეხედა კონგრესის იმ მონაწილეს. ეს საქართველოს ებრაელობის წარმომადგენელი რაბინი დავით ბააზოვი



დავით ბააზოვი ოჯახთან ერთად

(1883-1947) აღმოჩნდა. დღეს, ფეთხაინის ერთი პატარა ქუჩა, რომელზეც ეს დიადი ჰუმანისტი ცხოვრობდა, მის სახელს ატარებს. აი ასე მივდივართ გვერდიგვერდ ერთად. ქართველები და ებრაელები უკვე 2 600 წელიწადზე მეტია!

სხვათაშორის, ცოტა ხნის წინ, ცნობილი რაბინის, ჩვენი თანამემამულის შვილიშვილმა, რომელიც ახლა ისრაელში ცხოვრობს, ძალიან საინტერესო და საჭირო წიგნი „საქართველოს ებრაელები“ დაწერა, რომელშიც ბაბუის ზემოთ ხსენებულ სიტყვებს იხსენებს. როგორც მისი ბაბუა დავით



ცხინვალის სინაგოგა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ

ბააზოვი და მამა ხაიმ ბააზოვი – ქალბატონი ლილი ბააზოვა ღირსეულად აგრძელებს კეთილ ოჯახურ ტრადიციას - ქართველებს და ებრაელებს, ებრაელებს და ქართველებს შორის სიკეთეს თესავს!

საქართველოდან მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა სრულ ეროვნულ სურათს იმ შემთხვევაშიც ვერ აღვადგენთ, თითოეულის გვარი რომც ვიცოდეთ, რადგან 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად, ებრაელები იმდენად ასიმილირებულები გახდნენ, რომ მათ და ქართველებს ბევრი საერთო გვარიც გვაქვს. მაგალითად: ბაბალაშვილი, დავითაშვილი, კაკიაშვილი, მეგრელიშვილი, ფალიაშვილი, სეფიაშვილი, ყურაშვილი, იაკობაშვილი, ბერიძე, ჯანაშვილი და ა.შ.

ამის შესახებ ცნობილი მწერალი ელდარ მამისთვალაშვილი მოწმობს თავის ნაშრომში „ქართველი ებრაელების ისტორია“, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ რთულია განსაზღვრო „სად და რა არის ქართველი და სად და რა არის ებრაელი“. ვის შეუძლია დღეს ასპროცენტიანი სიზუსტით დაამტკიცოს, თუ როდის წარმოიქმნა ქართველი ებრაელების გვარები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს არამარტორიგით მკითხველს, არამედ ამ სფეროს სპეციალისტებსაც უჭირთ.



ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვიყენო ჩემი კლასე-
ლის და მეგობრის, ცნობილი მწერლის და ჟურნალისტის
გაბრიელ ნამთალაშვილის ინფორმაცია მისი არაჩვეუ-
ლებრივი წიგნიდან „გასეირნება ფეთხაინში“, რომელიც
თბილისში 2014 წელს გამოსცა და სამახსოვრო წარწერ-
ით მიბოძა. აი რა სოაცარი ფაქტი აღწერა მან თავის
ნაშრომში: „ერთხელ ისრაელში ვსტუმრობდი ისრაელ
ზელინგერს, საქართველოში სოხნუთის ყოფილ ხელმძღ-
ვანელს, ჩვენი ქვეყნის დიდ პატრიოტს. ის ამბობდა: „საქა-
რთველოში ცხოვრების რამდენიმე წელიწადში მაინც
ვერ მივხვდი, ვინ არის ქართველი და ვინ ებრაელი...“. და
კიდევ: „ყველა ქართველში ერთი წვეთი ებრაული სისხლი
მოიძებნება“ - ეს ერთხელ პათოსით თქვა ჩემს სახლში
ჩემი სიჭაბუკის წლების მეგობარმა შალომ ეთერაშვილმა,
ყოფილი პირველი მაისის ქუჩიდან თბილისში, რომელიც
ახლა ბედნიერად ცხოვრობს ისრაელში. ამით ყველაფერი
ნათქვამია!

ჩვენს სევდიან სიებში მკითხველი მარტივად შეამჩნევს
უგზო-უკვლოდ დაკარგულთა უზარმაზარ რაოდენობას.
ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა. ღმერთმა მაპა-
ტიოს, მაგრამ არ შემიძლია ამის შესახებ არაფერი ვთქვა
თვითმხილველი-ფრონტელების სიტყვებიდან. იერიში, სრო-
ლა, ნაღმების სეტყვა, ჰაერიდან ასობით ბომბი ეცემა, მერე
კი ველზე ფაშისტური ტანკები მოცოცავს, რომელთა მუხ-
ლუხებიც მოკლულებს, მძიმედ დაჭრილებს და კონტუზია
მიღებულებს ჭუჭყნარევ ფარშად აქცევს. ერთი და ორი კი
არა, ათობით ტანკია. ბომბების და ყუმბარების აფეთქებებით
წარმოქმნილი ორმოები ამ მასით ივსება. მიდი და მოძებნე
დაცემული მეომარი. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში
ასეთებიც ხვდებოდნენ. ასევე მდინარეებში, ჭაობებში, ტბებსა
და ზღვებში დახრჩობილები. და რამდენი წითელარმიელი
ჩავარდა ტყვეობაში? ომის დასაწყისში ე.წ. „ტომრებში“,
ასეულები და ბატალიონები კი არა, პოლკები, დივიზიები და
არმიები მოხვდნენ. განსაკუთრებით ბევრი ტყვე ფაშისტებმა
1941-1942 წლებში აიყვანეს.

გერმანიის მონაცემებით, ომის წლებში ტყვეობაში 5 მილ-
იონი საბჭოთა ჯარისკაცი აღმოჩნდა. ეს ომის დასაწყისში



წითელი არმიის მეომართა შემადგელობაზე მეტია (4 826 000). ფაშისტებმა სამი მილიონი ჩვენი ტყვე გაანდგურეს. ყველა სახელი დღემდე არ არის ცნობილი. რამდენიმე წლის წინ ბელორუსიაში, სადაც ბოლო წლებში ჩემს უფროს შვილ გიორგისთან ხშირად დავდივარ, ჩემი მეგობრის, ქალაქ მინსკის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის ადმინისტრატორის იგორ მაქსიმის ძე პლოტკინის წყალობით ცნობილი ბელორუსი ჟურნალისტი და მწერალი 85 წლის მიხაილ ნორშტეინი გავიცანი. მაშინ გერმანიაში ცხოვრობდა. ეს 2014 წელს იყო. მიყვებოდა, რომ ტყვე ებრაელები უსარგებლო საბუთებს იშორებდნენ, სხვა სახელებს, მამის სახელებს და გვარებს ითვისებდნენ. იყო პერიოდები, როცა საბჭოთა ტყვეებს მასობრივად ხვრეტდნენ, ეროვნებით არც ინტერესდებოდნენ. უკან სწრაფი დახვეისას კი ფაშისტები არამარტო ტყვეებს, არამედ სიებსა და არქივებსაც ანადგურებდნენ. ის საშინელი ომი დღემდე ბევრ საიდუმლოს ინახავს...

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება რუსეთის მთავარი რაბინის ბერლ ლაზარის სიტყვების მოყვანა, რომლებიც რუსულ გაზეთ „იზვესტიაში“ 2019 წლის 7 მაისის ნომერში წავიკითხე: „... ერთხელ ესესელი ებრაელის მოსაკლავად მოვიდა. უკვე ასწია პისტოლეტი და უცებ დაინახა, რომ ებრაელი იღიმის და რაღაცას ჩურჩულებს. „რას ბუტბუტებ, ებრაელო?“, - ჰკითხა ნაცისტმა. „ვლოცულობ, ღმერთს მადლიერების სიტყვებს ვეუბნები“. ესესელი უფრო გაოცდა: „რისთვის უხდი მადლობას შენს ღმერთს, თუ ახლა მოგკლავს?“ ებრაელი კი პასუხობს: „მადლობას ვეუბნები შენნაირი რომ არ შემქმნა“. რა შეიძლება ამას დავამატოთ? დაე ყველამ, ვინც ამ ადამიანის ყოფის სიღრმემდე გამაგონებელ სიტყვებს წაიკითხავს აღიქვას, რომ ისინი ფრონტელმა წარმოთქვა - შენი ქვეყნის, შენი ქა-





ლაქის ებრაელმა, შენმა მამამ, ბაბუამ, ახლობელმა, ნაცნობმა. იქნებ ამ რამდენიმე სიტყვაში იმალება იუდაიზმის სიბრძნე, ებრაელის ფილოსოფია...

მოცემულ მარტიროლოგიურ სიებში რა თქმა უნდა არის უზუსტობები და აცდენები. თუმცა, ეს ჩემი ბრალი არ არის. მე უბრალოდ გვარები, სახელები, მამის სახელები, წოდებები და თარიღები იმავე თანმიმდევრობით ამოვიწერე, რომლითაც ისინი ზემოთ ხსენებულ ორტომეულში „წიგნი მარადიული ხსოვნისა“ არის მოყვანილი. უზუსტობები კი შევამჩნიე, მაგრამ ყველაფერი ისე დავტოვე, როგორც იმ წიგნებშია, რათა არ გამემრავლებინა ორტომეულის ავტორების შეცდომები, რომლებიც, შესაძლოა თავადაც ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - იმის კონსტატირებას ახდენდნენ, რაც მიაწოდეს. ასე რომ დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ საქართველოს ებრაელთა და არამარტო მათი სიის დაზუსტება, შევსება, და რაც მთავარი სრული შედგენა უფრო ახალგაზრდა და ენერგიული ისტორიკოსების და მეორე მსოფლიო ომის მკვლევარების საქმეა. უნდა იჩქაროთ. მერე ასჯერ უფრო რთული იქნება...

ბრძნული ნათქვამია - ომი არ არის დამთავრებული, სანამ უკანასკნელი ჯარისკაცი არ დაიკრძალება. სხვათაშორის,



არც თუ ისე დიდი ხნის წინ, კავკასიის მთებში, 4000 მეტრის სიმაღლეზე, იალბუჯის ყინულებში, სადაც ბრძოლები 1942-1943 წლებში მიმდინარეობდა, ალპინისტებმა ქართველი მეომრის ამბროსი დიმიტრის ძე ბოგვერადის ნეშტი

აღმოაჩინეს, იქვე ახლოს მის გვერდით 12-14 წლის ბიჭის ნეშტიც ნახეს, რომელიც სავარაუდოთ ქართველი იყო, მას ქართულ ენაზე დაწერილი წერილი - საბრძოლო მოხსენება ჰქონდა თან. ომის კიდევ რამდენი დაღუპული მონაწილე



დღემდე არ არის დაკრძალული. ამ სევდიან ფაქტებს პერიოდულად გვაცნობებენ. პატრიოტი-მკვლევარების შრომა და საარქივო მასალების მოძიება რთული და სკრუპულოზური, თუმცა კეთილშობილური საქმეა. „ეს მკვდრებს კი არა, ცოცხლებს სჭირდებათ!“ - პოეტ - ჰუმანისტ რობერტ როჟდესტვენსკის არაჩვეულებრივი სიტყვებია.

და რამდენი დაღუპული დარჩა ყოფილი სსრკ-ს საზღვრებს გარეთ. წითელი არმიის მილიონ ჯარისკაცზე მეტი აღმოსავლეთ ევროპის ნაციზმისგან გათავისუფლებისას დაეცა. დღეს მესხიერების შენარჩუნების პროგრამები მხოლოდ ავსტრიასა და გერმანიაში მოქმედებს. სამაგალითოა ავსტრიის ქმედება, მათ ქვეყნის ტერიტორიაზე დამარხული წითელი არმიის 80 000 მებრძოლის სახელები დაადგინეს და პატივით ეპყრობიან მათ საფლავებს. ეს უზარმაზარი სამუშაო და ჰუმანური აქციაა. საქართველოს მთავრობა აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს ამ საკითხში მეგობარ სახელმწიფოებთან!

როცა მკითხველი ყურადღებით გაეცნობა წიგნის ბოლოს მოცემულ სიებს და ებრაელების დანაკარგს პროცენტული შეფარდებით შეადარებს თბილისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან და სამხრეთ ოსეთიდან ომში წასულების და არ დაბრუნებულების საერთო რაოდენობას, შენიშნავს, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ებრაელ სამხედროებს შორის დანაკარგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკმაოდ დიდია. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ აქ საუბარია საქართველოდან ფრონტზე გაწვეულთაგან მხოლოდ 25.6% და ყოველ მეექვსე (16.1%) არდაბრუნებულ მეომარზე. ვფიქრობ, უხეშ შეცდომას არ დავეუშვებ, თუ აღვნიშნავ, რომ ჩემი პირადი გათვლების მიხედვით, ქართველების შემდეგ პროცენტულად საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს შორის პირველ ადგილზე სწორედ ებრაელები არიან. ასეთ დასკვნას მხოლოდ ებრაულ გვარებზე დაყრდნობით ვაკეთებ, თუმცა დღეს ბევრმა იცის, რომ ებრაელად არა მარტო ებრაული გვარის მქონე, არამედ პირველ რიგში ებრაელი დედის შვილიც ითვლება.

შარშანწინ, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულამდე, გადავწყვიტე შემეგროვებინა მასალა მეორე



მსოფლიო ომში ებრაელების მონაწილეობის შესახებ. საქართველოს ბიბლიოთეკებსა და არქივებში ამ თემაზე მასალები ვერ აღმოვაჩინე, მხოლოდ რამდენიმე გამოცემაში სხვა გვარებთან ერთად იყო ნახსენები ერთი-ორი ებრაული გვარი. მაშინ დავიწყე შინაური არქივების საგულდა-



გულო გადახედვა, რეკვა და ჩემს ებრაელ მეგობრებთან, კოლეგებთან, ნაცნობებთან შეხვედრა. შევაგროვე არც თუ ისეთი მცირე მასალა, საიდანაც 2018 წელის გამარჯვების დღეს ორ-ორი გვერდი გამოაქვეყნდა გაზეთებში „Аргументы и факты Тбилиси“ და „Комсомольская правда в Грузии“, რამაც

მკითხველების დიდი ინტერესი გამოიწვია. მივიღე კეთილი შეფასებები, ზარები ჩემი მეგობრებისა და კოლეგებისგან, რამაც მიბიძგა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისკენ და კვლევის თემატიკის გაფართოებისკენ. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ჩემს საქმიანობაში გამუდმებით ვგრძნობდი ჩემი კარგი მეგობრის, მერაბ შალვას ძე ჩანჩალაშვილის დიდ მორალურ და მატერიალურ მხარდამჭერს, სწორედ მისი დამსახურებაა ამ წიგნის გამოცემა. ეს ქართველი ებრაელების მეორე მსოფლიო ომში მასობრივი მონაწილეობის პირველი გააზრებაა.

და კიდევ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩემი მშობლების ხსოვნა დავიფიცე, რომ ჩემ მოკძრალეულ შრომას ამ წმინდა თემაზე აბსოლუტურად უანგაროდ ვასრულებს. ამით მინდა გამოვხატო მადლიერება ჩემი კეთილი მეგობარი და ნაცნობი ებრაელებისადმი იმ უანგარობისთვის, მეგობრობისთვის და მხარდაჭერისთვის, რომელსაც მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვგრძნობდი...

